

# წერილები ოჯახს



1937-1957

*„ყოველ შემთხვევაში მონა ვარ*
*მაგრამ მონათმფლობელებს ვერ*
*და არავითარ შემთხვევაში არ მოუხრი*
*ქედს“*

*ლუკა ციხისთავი*

*ეძღვნება მამის – ირაკლი ციხისთავის,*
*ლუკა პაპისა და ნინა დიდედას ნათელ ხსოვნას!*

**ლუკა ციხისთავის (1901-1976)**
**ცხოვრებისა და პოლიტპატიმრობის ხსოვნისთვის**

*59 წერილი*
*20-წლიანი*
*პოლიტპატიმრობიდან*

# წერილები ოჯახს

## (1937-1957)

რედაქტორი: ᲜᲘᲜᲝ ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ-ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

წიგნი შეადგინეს ლუკა ციხისთავის შვილიშვილებმა:
ნანა ციხისთავი
ნინო ციხისთავი-ხუციშვილი
თამარ ციხისთავი

გამომცემელი: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

თბილისი
2011

## მადლობა ამ წიგნისათვის

*__უცნობ ადამიანებს__, რომელთაც იმ ბნელ ხანაში მოახერხეს და ქუჩაში ნაპოვნი რეპრესირებულთა წერილები საფოსტო ყუთში ჩაყარეს;*

*მადლობა ჩემს ქმარს გიორგის და შვილს ვიქტორია-სოფიოს, ჩემს დიდ ოჯახს - პაპა-დიდედას, დედ-მამას, დებს და მათ ოჯახებს. მადლობა ყველას, ვინც იმთავითვე გამამხნევა და მირჩია, ამ საქმისთვის ხელი მომეკიდა და ბოლომდე ჩემი და ამ წიგნის ერთგული გულშემატკივარი და მრჩეველი დარჩა.*

*და მადლობა __შენ, მკითხველო,__ რადგან ამ წერილების დაწერიდან თითქმის ასი წლის შემდეგ კვლავ გაქვს სურვილი და ინტერესი, წაიკითხო ისინი.*

*სიყვარულით,*
*ნინო ციხისთავი-ხუციშვილი*

ყდაზე:
ლუკა ციხისთავის წერილი ოჯახს გადასახლებიდან – ყარაგანდა, 1953 წ.
ფოტოზე ახლადშეუღლებულები – ლუკა ციხისთავი და მისი მეუღლე ნინო გუჩმაზაშვილი, 1927 წ.

ISBN: 978-9941-0-2697-3

© ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, 2011

## სარჩევი

**შესავლის მაგიერ წიგნის შემდგენელთაგან** .................................. 7

**პოლიტპატიმრის წერილები** ............................................................ 12
*(სულ 59 წერილი, რამაც ჩვენამდე მოაღწია ლუკას პოლიტპატიმრობისა და გადასახლებიდან)*

**არქივის მასალები** ...................................................................... 227

**ლუკა ციხისთავის ბიოგრაფია** .................................................... 241

**დანართები** ........................................................................... 248

## შესავლის მაგიერ წიგნის შემდგენელთაგან

**ლუკა ციხისთავი**... უპირველეს ყოვლისა, ჩემი წინაპრის სახელი ჩემში ასოცირდება იმ მაგალითად, რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ – ცხოვრების ყველაზე მტკივნეული და მძიმე გამოცდის გამკლავება, სულის სიმტკიცე, ადამიანური ფასეულობების შენარჩუნება, ოპტიმიზმისა და სამშობლოს გაუნელებელი სიყვარულის შეგრძნება. პაპაჩემის სახელი ჩემთვის იმ გმირთა და ნათელ პიროვნებათა გვერდითაა, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაამტკიცეს, რომ ადამიანი არ უნდა დაუვარდეს ძნელბედობას, თავზე დატეხილ გასაჭირს, რომ ბნელს აუცილებლად შეცვლის ნათელი, რომ სიკეთე სძლევს ბოროტებას, რომ კვალი კეთილი არასოდეს წაიშლება, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას ყოველთვის იპოვის, რომ ადამიანმა თავისი საქმეებით უნდა დაიმკვიდროს სახელი შთამომავლობაში.. სახელი, რომელიც უკვდავების ტოლფასია....

გულს მხოლოდ ის მტკენს, რომ დიდხანს ვერ იცოცხლა.... ბევრი რამ დარჩა დასასრულებელი, ბევრიც ახალი შესაქმნელი... შვილიშვილებთან და ახლობლებთან არასდროს წამოსცდენია თავისი, ერთი შეხედვით ძალიან საინტერესო, სინამდვილეში კი მართლაც რომ ტანჯული წარსული ცხოვრების შესახებ. ყოველივე, რაც ამ წიგნშია მოთხრობილი და თავმოყრილი, ჩვენ მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გავაცნობიერეთ და შეძლებისდაგვარად გადმოვიტანეთ ქაღალდზე. ვცდილობდით, მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი პორტრეტი შეგვექმნა ადამიანისა, რომელმაც მრავალთა ბედი გაიზიარა და პოლიტიკური პატიმრის ამპლუაში დიდხანს იტანჯა გადასახლებაში. 20 წლით მოწყვიტეს იგი ოჯახს, სამშობლოსა და საყვარელ საქმეს. მოწყვიტეს მის ძირითად ფუნქციას — აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას. შთამომავლობაზე ზრუნვას, რათა საკუთარი პრინციპებიდან და მრწამსიდან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, არ “გაემრუდებინა” სოციალიზმის მწვერვალებისკენ მიმავალი მათი ფიანდაზებით მოფენილი გზა. გარიყეს და შეურაცხჰყვეს იმიტომ, რომ გატეხილიყო სულიერად, მორალურად და ფიზიკურად. წაშლილიყო უკვალოდ ისევე, როგორც მრავალი მის ბედში მყოფი... მაინც ვერ გატეხეს. ბოლომდე მოუდრეკელი და უტეხი დარჩა.

სამწუხაროდ ასეთ ბედკრულ სახელმწიფოსა და ეპოქაში არგუნა მას ბედმა ცხოვრება. ეს იყო დრო, როდესაც თავისუფლად მოაზროვნე, პრინციპულ მამულიშვილთა და ინტელექტუალთა "სამოღვაწეო ადგილი" შორეული ჩრდილოეთის ან ციმბირის ბანაკებში იყო. რაც შეეხება საზოგადოებას, მასში უმეტესად სარეველა ხარობდა.

ვცდილობ გავიხსენო შემთხვევა, როცა პაპა გაკვრით მაინც ახსენებდა რეპრესიების ხანას, მაგრამ ასეთი რამ არ შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ალბათ უფრო იმიტომ, რომ იგი ყოველთვის გაურბოდა ამაზე საუბარს. ლუკა თავის წარსულზე არასდროს ლაპარაკობდაო, — ხშირად უთქვამთ უფროსებსაც. ბავშვობაში იმასაც შევსწრებივარ, თუ როგორ წამოუწყიათ პაპას თანდასწრებით საუბარი მის მეგობრებს იმ ავბედით პერიოდზე. სევდა შემოაწვებოდა ლუკას, თავს ჩაქინდრავდა, სიგარეტს მოუკიდებდა და დუმდა დიდხანს. შემდეგ თითქმის ჩურჩულით იტყოდა: "მე ალბათ არა, მაგრამ თქვენ კი მოესწრებით იმ დროს, როცა ეს საშინელი სახელმწიფო დაიშლებაო" — სსრკ-ს გულისხმობდა, რა თქმა უნდა.

ვინ არის ჩემთვის ლუკა ციხისთავი?! ჩაუქრობელი სანთელი, რომელიც დღენიადაგ მახსენებს ვინ ვარ, სადაური ვარ ან საიდან მოვდივარ...

... წავიდა ადამიანი მარადისობაში. თითქოს დაიხურა კიდევ ერთი ცხოვრების წიგნი სულით მდიდარი, განათლებული და განსხივოსნებული უანგარო, კეთილი საქმეებით... საოცარი ისაა, რომ მის მიერ დათესილი სიკეთე, ყოველი ფეხის ნაბიჯზე მხვდებოდა და მხვდება დღესაც.

**ნანა ციხისთავი, თბილისი, 2006 წ.**

**პაპუკი** – ასე ვიხსენიებდი ბაბუაჩემს, ლუკა ციხისთავს ბავშვობიდან. ბევრი მქონდა გაგებული მის შესახებ ჩემი მშობლებისგან, დებისგან. მათგან ვიცოდი, რომ გადაასახლეს მხოლოდ იმის გამო, რომ სამართლიანობას და სიმართლეს ეძებდა ყოველთვის. სჯეროდა, რომ საქართველოს სხვანაირი, უკეთესი მომავალი უნდა ჰქონოდა, რაც წარმოუდგენელი იყო საბჭოთა რეჟიმის პირობებში.

გადასახლებაში სტალინის მთავრობის გადაწყვეტილებით მოხვდა და ციმბირის ციხეში 20 წელი გაატარა. მისგან წერილებს მთელი ოჯახი წლების განმავლობაში ელოდებოდა, მაგრამ მხოლოდ მცირე რაოდენობის გამოგზავნა თუ მოახერხა პაპუკიმ, ამასაც უკრძალავდნენ თურმე.

რამდენჯერაც დავიწყე მისი წერილების კითხვა, იმდენჯერ საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ბევრის წაკითხვა ვერ შევძელი ბოლომდე. თურმე, ყველაფრის გადატანა შესძლებია ადამიანს, თურმე ყველანაირ ძალადობას, ტკივილს შეიძლება გაუმკლავდეს. მთავარია მიზანი და იმედი ჰქონდეს თურმე. პაპუკისთვის მთავარი მიზანი და იმედი თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა იყო. მისთვის ეს ბრძოლა საკუთარი პოზიციისა და აზრის არ შეცვლაშიც მდგომარეობდა.

იმ წლებში ბევრმა შეასხა ხოტბა სტალინის მთავრობას და გადაურჩა გადასახლებას. პაპუკიმ სხვა გზა აირჩია, ის ვერ უღალატებდა თავის ნაშრომებს, თავის კვლევებს, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებაც ყოფილა დოკუმენტები. შედეგად ეს ნაშრომები გაანადგურეს და პაპუკი კი – დაიჭირეს.

ბებიაჩემი, ნინა ციხისთავი კიდევ ერთი ადამიანია, რომელმაც არანაკლები ტანჯვა გამოიარა ქმრის გადასახლების პერიოდში. **დ**იდედა ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც ყველაზე ძლიერი და ლამაზი ადამიანი.

მე ვამაყობ, რომ მათი შვილიშვილი ვარ. იმედი მაქვს, რომ ღირსეულად ვიცხოვრებ და მათსავით არ ვუღალატებ ჩემს პრინციპებს ისევე, როგორც ეს მამაჩემმა და დედაჩემმა, ირაკლი და ჟანა ციხისთავებმა შეძლეს.

ის, რაც პაპუკიმ გამოიარა, შეიძლება ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში განმეორდეს. სტალინის მთავრობის სტრუქტურის

მოდელი დღესაც გვხვდება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკაში. დღესაც ბევრია შესაცვლელი მსოფლიო პოლიტიკაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, რათა ტოტალიტარული რეჟიმების ტრანსფორმაცია დაიწყოს და შედეგად რეალურად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები მივიღოთ.

**თამარ ციხისთავი, ვენა, 2006 წ.**

**ალბათ**, მეც უნდა ვთქვა რაიმე, თუმცა მიძნელდება. ამ წიგნის გამოცემის აზრი მხოლოდ ის იყო, რომ მამაჩემისთვის, ირაკლისათვის მიმეტანა კარგი პოლიგრაფიული ნაბეჭდის ერთი მძიმე ეგზემპლიარი და მეთქვა, ლუკაზეა-თქო. ჰო და სწორედ ეს ვერ მოვასწარი! თუმცა ის მაინც მიხარია, რომ პირველი ამობეჭდილი პირი წავუღე და წავაკითხე. მახსოვს, უკვე 80-ს მიტანებული იყო მამა, თან კითხვაც უჭირდა, და რომ წაიკითხა მამის ეს ძველი წერილები (ვინ იცის, მერამდენედ) – ატირდა.
ისე გარბის ყოველდღიურობა, ისე გარბის, რომ 2006 წელს გამზადებული წიგნი (ელ.ვერსია) წლევანდლამდე კომპიუტერში ინახებოდა და მხოლოდ წელს, 2011 წელს-ღა ნახავს სინათლეს. მამა კი უკვე მესამე წელია, რაც გავაცილეთ სამუდამო სასუფეველში, დავაგვიანე! ამ წიგნის დასტამბვა ახლა უკვე ჩემი ვალია მის წინაშე. თუმცა, ვალის მოსახდელად და ჩემი სინდისის გასათავისუფლებლად არა მგონია, ვაქვეყნებდე. მე მაინც ვფიქრობ, აქ, ამ წიგნში ის დიდი ენერგიაა ჩაფლული და დამალული მძიმე, სევდიან და დადარდიანებულ წერილებში, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. ამიტომ, სიცოცხლისთვის ვბეჭდავ. პაპაჩემისა და ჩემი შთამომავლისთვის ვბეჭდავ და ჩემი შვილისთვის, უპირველესად, რადგან მათ, ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ, რომ არა არს ტკივილი, რომელიც არ დაყუჩდეს და არ არის უსამართლობა, მისაგებელი რომ არ მიეზღოს და ნათელი არ მოეფინოს ადრე თუ გვიან.
და მაინც თავზე დამტრიალებს ერთი მთავარი კითხვა: რატომ?!
წარმოდგენილი წერილებიდან ზოგი უთარიღოა, ზოგი კი – უსათაურო: მათზე არ არის პირველი ტრადიციული და ჩემთვის უკვე საყვარელი სიტყვები: “ნინა, შვილო ირაკლი!” – ვფიქრობ, ეს მაშინდელი დროისთვის უბრალო შემთხვევითობა არ იყო და ამის უკან უსაფრთხოების რეალური დაცვის სურვილი იდგა – რათა წერილების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლო თავდასხმა აერიდებინა წერილის ადრესატთათვის . . . თუმცა, ეს და ბევრი სხვა გამოცანა მომავალი კვლევის საგანია, რომელიც, ეჭვი არ არის, მომავალი თაობის მსჯელობის საგანი კიდევ არაერთხელ გახდება.

**ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, თბილისი, 2011 წ.**



ნინა!

კარგათა ვარ, მომწერე ბინის, ბავშვების საქმე ნუ მიმალავ. ჩემი საქმე თითქოს უბრალოა, სრულიად არა მაქვს ბრალდება, მაგრამ როგორც სჩანს შეიძლება გადამასახლონ. ახლა ცოტა ნაავადმყოფარი ვარ, თუ გაქვს თან გამომიგზავნე ასი (ერთი ასი) მანეთი, მაცნობე ჯამაგირი მომცეს თუ არა.
თუ გადამასახლეს და ვერ გნახე გაბარებ ბავშვებს. შენ იცი, ლეილა არ დაჩაგროთ, ეყოფა უბედურება. ირაკლის მოუფრთხილდი. წიგნებს ნუ დამიქსაქსავთ თუ ძალიან არ გაგიჭირდეს.
ტანისამოსი გაყიდეთ. ვიმეორებ, იმდენი ბრალდებაც კი არა მაქვს, რომ მშვიდობიან დროს საყვედური ეთქვათ. ეტყობა გადასახლებისას არაფერს აძლევენ ტყუილად ნუ დახარჯავ ფულს ფუფაიკა, ძველი ხალათები და იქნებ იაფასიანი პალტო თბილი მიყიდო. სამაგიეროთ გაყიდე ჩემი პალტო, ძალიან გთხოვ სწორად მაცნობე ბინის ამბავი. ამ დარდს ნუ გამაყოლებ, იქნებ დეპეშის გამოგზავნა დამჭირდეს უნდა ვიცოდე.
მომტანს მიეცი ოცი მან.

ლ. ციხისთავი


...ние. Я пока что лично здоров, нахожусь до отказа и всё же не теряю бодро. Пиши почаще, старайся чтобы хорошо присматривались за детьми, прошу, если есть какая нибудь возможность, не отвлекать Ираклия от изучения иностранных языков.
Поцелуй Ираклия, Лейлу, как Лейла? поправилась или нет, какие меры принимаешь — напиши всё.
Целую твой [illegible]
7.II.38.
[illegible]
Нина! если Ниноша вернется [illegible] Тамары [illegible] живущая в Москве [illegible] передай, что я жив здоров.

Получил твое письмо и очень обрадовался, до сегодняшнего дня не получал ни письма, ни посылки, а вы оказывается присылали, посмотрим, может быть получу. Успокоился, что вы все здоровы. Пока не пишите и не присылайте посылку, так как переводят на другой участок. Когда получите письмо и точный адрес, напиши мне детально все, где работаешь, как вопрос с квартирой, моей зарплатой, сколько писем получила от меня, что ты послала и т.д.

Пришли в письме фотокарточку твою, мамы, детей. Поклон и поцелуй Отцу, маме, брату. Сообщи как живут. Я пока здоров, буду стараться быть здоровым. Нина, у меня никаких вещей больше нет, приготовь мне фуфайку, безрукавку с ватной подкладкой, кальсоны, брюки простые и рубашку теплую, одно полотенце, платки, простые перчатки - теплые, ботинки или туфли старые №43 . дают здесь шапку - кепка старая, зимняя - и все. Мои вещи стащили воры. Всё это. Одним словом ты поймешь мое положение. Я пока жив, здоров, похудел до отказа, но все же не болею, чувствую себя бодро. Пиши по чаще, старайся хорошо присматривать за детьми, прошу, если есть какая-нибудь возможность, не отвлекать Ираклия от изучения иностранных языков.

Поцелуй Ираклия, Лейлу, как Лейла, поправилась или нет, какие меры принимаешь - напиши все.

Целую твой Лука Цихистави

5/VII/1938 г.
<u>НЫРОБ</u>

*Нина! со мной Никуша Церетели, муж доктора Тамары Абашидзе, живут ул. Месхи №15, передай, что он жив, здоров.*

ნინო!

[illegible]

5/XII-38 წ.

[illegible signature]

ნინა!

ამ ჟამად სოლიკამსკში ვარ, გამომიძახეს სასამართლოში მოწმედ, მიმდინარეობს პროცესი იმ უფროსებისა, რომლებიც აწვალებდნენ ხალხს სამუშაოზე სადაც მე ვიყავი.

უკვე სამი დღეა რაც აქა ვარ. ვხლაფოთობ ეგებ აქ მოვეწყო სამუშაოზე კანტორაში, უკიდურეს შემთხვევაში მინდა საავადმყოფოში დავწვე ჭაჭების გამო. ერთი სიტყვით ყველაფერს გაცნობებ მალე. თუ სოლიკამსკში დამტოვეს ძალიან კარგი იქნება, მით უმეტესად ამ ზამთარში სადაც ვარ ე.ი. ზაპადნიაში ტყეში მუშაობა ახლა ძალიან ძნელია.

ასე იცოდე ჩემი წერილის მიღებამდე ნურაფერს გამოგზავნი, წერილი ყოველთვის ღია ბარათზე გამოგზავნე, უფრო ადვილად მოდის.

ერთი წერილი, ამასწინად როცა ნირობიდან გამაგზავნეს ზაპადნიაში, გამოგიგზავნე. მისამართს გატყობინებდი. მას შემდეგ მომიხდა წასვლა სოლიკამსკში. ასე იყავით კარგად. დედასაც შეატყობინე არაფერი გამოგზავნოს, თუ აქამდე გამოგზავნილი გაქვთ რაიმე მივიღებ მხოლოდ დაგვიანებით.

გაკოცებთ ყველას.

5/XII/1938 წ. ლ. ციხისთავი

[illegible]
[illegible]
[illegible]

[signature]

12/XII – [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[signature]

12/XII-3[illegible]

г. Со[illegible]
[illegible] област[illegible]
[illegible]

[illegible]

ნინა!

ამ უკანასკნელად ორი წერილი მოგწერე. ერთი ზაპადნიადან ღია ბარათი, რომელშიაც გწერდი ახალ მისამართს, მეორე სოლიკამსკიდან. სოლიკამსკში ჩამომიყვანეს 3/XII მოწმეთ, მე, ნ.წერეთელი და სხვები.

ასამართლებენ ჩვენი სალაგერო პუნქტის ადმინისტრაციას ხალხის ცემისა და სხვა ამბებისათვის. ერთი სიტყვით აქ სოლიკამსკში დროებით მოგვიყვანეს, ბარგი ბარხანა ადგილზე დავტოვეთ. მე ცოტა ავად შევიქენი და ამხანაგებმა მირჩიეს ექიმთან მისვლა. მომათავსეს საავადმყოფოში. ექიმი ძალიან კარგია, ვასო გაბუნია, ბათომიდან პატიმარი. შემამოწმეს და სცნეს, რომ მსუბუქ სამუშაოზე უნდა ვიქნე გაგზავნილი. შეიძლება მალე გამაგზავნონ სურმაეში - სოლიკამსკიდან 35 კმ. ინვალიდებისა და სუსტების ლაგერია. ძალიან კარგია, როგორც ამბობენ. ჯერ კი აქა ვარ საავადმყოფოში. დიდხანს არ დავრჩები ალბათ.

ნინა, თუ ამ წერილის მიღებამდე არ გამოგიგზავნია ამანათი, მიღებისთანავე გამომიგზავნე, რადგან სურმაეში რომ გამაგზავნიან, მანამდე მისამართს გაცნობებდე დაიგვიანებს. წერილს ვერ ვღებულობ. თქვენ ამბავს მხოლოდ ამანათით ვიგებ. ამანათი გამოგზავნე პატარა სუხარი, სულ არ არის საჭირო არც კისელი, რადგან გაკეთება არსად ხერხდება. გამომიგზავნე ცოტა ქონი, ერბო. საავადმყოფოში კვება შედარებით კარგია. გამომიგზავნე ნაბდის ან სხვაგვარი ჩუსტები ოთახში სასიარულოდ და თუ მოახერხებ მოაწყე შიგ სამალავი ფული 3-4 თუმანი. ფოსტით ფულს ტყუილად აგზავნი, ახლა უკვე ჩემს ანგარიშზე 360 მან. და ამ ხნის განმავლობაში სულ 20 მან. ძლივს მივიღე - ძნელად იძლევიან. ეგებ როგორმე გადვირჩინო თავი ავადმყოფობის და სიკვდილისაგან. თუ მოახერხებ და ნახავ ჯაბაურს ჯავახეთის ქ.11. სომხის სემინარიასთან. გასწავლონ როგორ გამოაგზავნო ამანათი. მათი შვილი არჩილი აქ არის. თუ მოახერხებ და

მალე გამოგზავნი კარგია, თუ არა მაშინ დაიცადე, მანამდე გაირკვევა ჩემი საქმე საით გამაგზავნიან.

მისამართი:
Пермская область
Соликамск, Лазарет
Усольсапы, з/к Л.И.Цихистави

სხვა რა მოგწერო, მაქედან წერილს ვერ ვიღებ, ვერაფერი გავიგე თქვენი. ამბავი, სჯობია ღია ბარათებით მომწერო, უფრო მალე მოდის. დამიკოცნე ბავშვები, ყველა ნათესავი. იყავით ყველანი კარგად. გაკოცებთ ბევრს.

ლ.ციხისთავი
10/XII
სოლიკამსკი, ლაზარეთი

ნინა, ნურაფერს ნუ გამოგზავნი მეორე წერილის მიღებამდე, ეგებ მალე გამწერონ საავადმყოფოდან და ყველაფერი დაიკარგება. დეპეშა გამოგზავნე მხოლოდ.

ლ.ციხისთავი
12/XII/1938 წ.
г. Соликамск
Пермская область
почтовый ящик №1

სალამი პატ. ნინას!

ქალბატონო ნინო გიგზავნით ლუკას წერილს დავაგვიანე ცოტახანი იმისთვის, რომ ყოველდღე ველოდები ამის გაგზავნას სურმაგში და მინდოდა ბარემ გამესტუმრებინა და თქვენც დამემშვიდებინეთ, მაგრამ სიცივეებმა ხელი შეუშალა და ამისათვის გადავწყვიტე წერილის გამოგზავნა. ლუკამ გუშინს წინ თქვენს წერილთან ერთად მეც გამომიგზავნა წერილი, სადაც მწერდა, როგორმე გაგზავნა დამეჩქარებინა. მე თითქმის ყველა ქაღალდები მოუხერხე, მთავარ ექიმსაც დავარეკინე ტელეფონით რომ გააგზავნონ პირველ რიგში ისე რომ ალბათ მალე გააგზავნიან. რაც შეეხება ავადმყოფობას დღეს უკვე მწერს, რომ კარგათ არის, სიცხე სულებით აღარ აქვს და ჯანზედაც კარგათ გრძნობს თავს ისე რომ დარდი ნუ გექნებათ ნურაფრის.
რაც შეეხება ამანათს. არ მიუღია ერთის მეტი. ამბობენ ნირობში არისო და იქიდგან მიიღებს თუ არა არ ვიცი. ჩემის აზრით, სჯობს ამანათების გამოგზავნას ჯერჯერობით თავი დაანებოთ რადგან არ ვიცით, როდის წაიყვანენ და ვაი თუ დაიკარგოს. როცა გააგზავნიან მაშინვე შეგატყობინებთ და გაუგზავნეთ ახალ მისამართზედ მანამდის კი ფიქრი ნუ გაქვთ შეძლებისდა გვარათ ვეხმარებით. მეტი რა მოგწეროთ, დანარჩენს ლუკა გწერთ. იყავით კარგათ და ჯანმრთელათ. მართლა, პატ. ნინო, აქ ხმები დადის, ვითომ თბილისში ბევრი პატიმარი დაბრუნდა გამართლებულიო. თუ ამის ირგვლივ რაიმე იცით, გთხოვთ შეგვატყობინო შეძლებისდაგვარათ. თუ თქვენ ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ შეგიძლიათ ამ ამბის მოწერა, გთხოვთ ჩვენებს გადასცეთ და ისინი მომწერენ.

[illegible]

26/II [illegible]

[illegible]

[illegible]

პატივის ცემით, არჩილი ჯაფ.[1]
26/II/1939 წ.

ბოდიშს გიხდით წერილის უმარკოთ გამოგზავნისათვის, მიზეზი მხოლოთ ის არის, რომ ამბობენ, უმარკოთ უფრო კარგად მიდისო.

[1] ხელმოწერა გაურკვეველია. სავარაუდოდ წერია არჩილ ჯაფარიძე. (რედ.)

ნინა!

რასა იქთ როგორა ხართ, შენ, ბავშვები, დედა, მამა და სხვა. მე კარგათა ვარ, მივიღე ამ ცოტა ხანში ორი ამანათი, ორთავე ნოემბერში გამოგზავნილი, ერთის შესახებ უკვე გწერდი, არ ვიცი მიიღე თუ არა. საჭირო არ არის ჯერჯერობით ამდენი პასტა. მაქვს საკმაოდ. მეტის ქონა არც არის საჭირო, როცა ცოტა დამრჩება მოგწერ.

წერილები მივიღე, გავიგე ყველაფერი, ჩემი აზრით აქ კარგად ვარ მოწყობილი და იმედია უკეთ მოვეწყობი თუ არსაით გამაგზავნეს, ამიტომ იმ შორეულ პუნქტში გადასვლა არ მინდა. დღეიდან - პირველი დეკემბრიდან არა მაქვს მძიმე სამუშაო - სახერხ მანქანაზე გადაველ, ხოლო მალე მპირდებიან უკეთეს სამუშაოს. ერთი სიტყვით აქ მირჩევნიან.

ნინა, არაფერს მწერ საქმის შესახებ, რა გითხრეს, რა პასუხი მოგცეს, მე ძალიან მაინტერესებს უეჭველად მომწერე სწორად სიმართლე, მე უკვე შეურიგდი ჩემს მდგომარეობას, მაგრამ მაინც მაინტერესებს, ეგებ აქ გამოგზავნის შემდეგ მომინახეს ბრალდება. ამ ხუთ ექვს დღეში ყოველდღე უსოლლაგიდან ანთავისუფლებენ 20-30 კაცს, სამწუხაროდ ვერ გავიგე ქართველებიც მოხვდნენ თუ არა. ამ დღეებში კიდევ გავგზავნე საჩივარი, ვნახოთ.

ნინა! მწერ ტანისამოსის შესახებ, არაფერი არა მჭირდება, ყველაფერი მაქვს, რაც ლაგერს შეეფერება, გწერდი სპეცოვკას – ტუჟურკასავით მამაშენი რომ იცვავს და თბილ ქუდს, ესენი გამომიგზავნე, მეტი არაფერი მინდა.

რა ამბავია ეს ძვირფასი პაპიროსები საამისოდ მაქვს საქმე? მე გთხოვდი თითო კოლოფს, რადგან ამან გამიკეთა სახერხზე გადასვლაც. შენ კი ოთხ ოთხი გამომიგზავნე, საჭირო არ არი მე გამომიგზავნე იაფი.

ერბოს შესახებ როგორც შენ მწერდი ისე ჯობია რა თქმა უნდა და თუ კარაქს ყიდულობ და ადნობ მაშინ კარაქათ გამომიგზავნე ნუ გაადნობ. თუ მარჯვედ შეგხვდეს მიყიდე

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
„безопасная бритва“ [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 244/11 [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

ერთი სამართებელი *«безопасная бритва»* ბევრი პირებით და ჩადე ამანათში, როგორმე გამოვიტან. საწერი ქაღალდი და კონვერტებიც. ღია ბარათები ბევრი მაქვს.
სხვა რა მოგწერო, იყავით კარგათ, დამიკოცნე ბავშვები.
მივიღე ორი წერილი, დედაშენისგან და გოგიასგან. მისამართზე მხოლოდ ეს წერეთ *Пермская область, гор. Соликамск, почтовый ящик 244/II.* მე!
არ უნდა სხვა არაფერი, არც პატიმარს, პირდაპირ გვარი და სახელი. სხვას გვიკრძალავენ.

1/XII/1939 წ. ლ.ციხისთავი

[illegible]!

[illegible], 10/XII, [illegible]

[illegible]

ნინა!

დღეს 10/XII მივიღე შენი ამანათი, რომელშიაც კალოშები, შაქარი და სხვა იყო. ამას წინაც მივიღე ორი ამანათი, გაცნობე კიდეც. წერილი მიიღე თუ არა არ ვიცი. სხვათაშორის ბევრ წერილებსა ვგზავნი იღებთ თუ არა არაფერი ვიცი. რამოდენიმე წერილი გამოუგზავნე დედაჩემს, თქვენებს, გრიშას. მიიღეს თუ არა არ ვიცი. ამ ცოტახანში მივიღე დედაშენის და გოგიას წერილი. არაფერს მწერენ მამაშენის შესახებ. რას შვრება, როგორ არის.

ნინა, კალოშები ჯერ კიდევ ახლები მაქვს ზაფხულზე რომ გამომიგზავნე. ახლა უფრო მიჭირს თავზე ჩამოსაცმელი მოქსოვილი თბილი ქუდივით დინამოში იყო ხოლმე თუ კიდევ იშოვება რაიმე დინამოში, და სვიტრი საყელოიანი უბრალო თბილი. თუ არა და ეგებ უბრალო ყაბალახი მიშოვნო ეს ყველაფერს აჯობებს.

მე კარგათ ვარ, თქვენი ჯავრი მაქვს, თუ არ დაგეზაროს გადაიღე ჩემი გოგო ბიჭი ფეხდგომელები უბრალო სასწრაფო და გამომიგზავნე.

ამ ცოტა ხანში ერთ განთავისუფლებულს წერილი გამოვატანე, ჯაბაურებს გადასცემდა, ისინი მოგიტანენ ალბათ თუ ჩამოიტანა.

ამანათი კი მივიღე მაგრამ წერილს ვერ ვღებულობ კარგა ხანია. არც ამ ამანათით მომწერე, ამანათს წერილი მირჩევნია. მომწერე ხოლმე ვრცლად მანდაური ამბები. გაზეთები მეტი გამომიგზავნე ხოლმე. მართალია ცუდ ხასიათზე მაყენებს ქართული გაზეთის წაკითხვა, მაგრამ მაინც გამომიგზავნე ზარია ვოსტოკა, სალიტერატურო გაზეთი და სხვა.

დედაჩემი ჩამოვიდა თუ არა, თუ მანდ არის ხომ დიდი მოკითხვა თუ მანდ არ არის ეს წერილი მაინც გაუგზავნე, ეგებ ჩემს წერილს ვერ იღებს.

მოკითხვა თქვენებს, გრიშას ბავშვით, ალბათ შალიკო დიდი იქნება.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible] 11/XII-39.

მართლა, ამ უკანასკნელი წერილით, რომელიც დედაშენისაგან მივიღე, გავიგე სალომეს - დეიდაშენის ამბავი. ძალიან მეწყინა. რა უნდა ქნას საწყალმა, ალბათ ძალიან უჭირს. ქეთო სად არის ან თამარა რას შვრება. ბაგრატის შესახებ მაინც არაფერი მომწერეთ, მე ყველაფერი ვიცი. შეიძლება თქვენზე მეტიც, მაინც თქვენი დადასტურება მინდოდა.
ასე იყავით კარგათ, მარჯვეთ. შეიძლება მალე დავბრუნდე, ამ უკანასკნელ ხანებში რაღაც ბევრს ანთავისუფლებენ.
დამიკოცნე ირაკლი და ლეილა. ირაკლიმ ხშირად მომწეროს, ძალიან მახარებს მისი წერილი.

ლ. ციხისთავი 11/XII/1939 წ.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 243/9

[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]

3/II-40 წ. [illegible]

...[2]

...აქვე სოლიკამსკში ამ ორ დღეში კოლაში მოიყვანეს და გაგზავნეს სხვა პუნქტში, არ ვიცი სად. ეშინოდა გაძარცვისა, ბევრი დაჰგროვებოდა სახლიდან გამოგზავნილი და თხუთმეტი თუმანი გადმომცა მე სახლში გასაგზავნათ. მე ვიტოვებ აქ და შენ მანდ გადაეცი და აუხსენი.
უბედურს შვილის სიკვდილის ამბავი მოუვიდა, ძალიან შეწუხებული იყო, ბევრი დავაწყნარეთ, ვამშვიდეთ. დიდი ხანია შვილი მოჰკვდომია და მხოლოდ ამ დღეებში გაიგო, სისულელე მოსვლია მის ნათესავებს, რომ ამდენ ხანს არ აცნობეს.

მომიკითხე ყველანი, დედაჩემს მისწერე წერილი, მისამართი გაუგზავნე. მე ბევრი წერილი გავუგზავნე, პასუხი არა მაქვს. დამიკოცნე ბავშვები.
თუთბერიძის მისამართი:
ტფილისი, ჩელუსკინელების ქუჩა 2. მეორე სართული, თამარა თუთბერიძეს.

როგორც მიიღო, პასუხი მომეცი.

3/II/1940 წ. ლ.ციხისთავი

[2] წერილის დასაწყისი დაკარგულია





Нина! Напиши дельно, как здоровье детей, как занимается Ираклий и прочее, привет всем, почему ничего не пишешь как живут папа, мама, Гоги, они то перестали мне писать. Так будьте здоровы.
Нина если не очень затруднит пришли мне шапку с наушниками, кроме того не забудь прислать несколько иголок и нитки. Весь оборванный, хоть починю сам.

Здоровье поправилось, только ноги прибаливают, время от времени появляются чирии но чаще по немножку.

29-IX-45г.

Дорогой сын Ираклий!

Получил твои письма, очень рад, что успешно кончил десятилетку, но не одобряю твое решение поступить на физмат. факультет. Было бы лучше поступить на какой нибудь факультет, но раз желаешь — воля твоя.

Так дорогой сын Ираклий, пиши почаще, сообщай как живете, как здоровье мамы, Лёвочки, бабушки и всех родных. Твои письма опаздывают от вас очень сильно, ведь я здесь один без родных, без родственников.

Ираклий, видимо мне зимовать здесь, потому прошу попроси у дяди Гриши и Нико они тебе достанут семена капусты цветной, красной и обыкновенной, помадоры, перец горький, луку кинзы, петрушку укроп и прочие и пришли их в з[illegible].

Привет всем. Л. Х[illegible]

Дорогой сын Ираклий!

Получил твои письма, очень рад, что успешно кончил десятилетку, но не одобряю твое решение поступить на физмат факультет. Было бы лучше поступить на какой-нибудь спец факультет, но раз желаешь - воля твоя.

Мой дорогой сын Ираклий, пиши по-чаще, сообщай как живете, как здоровье мамы, Лейлы, бабушки и всех родных. Когда письма опаздывают от вас, очень скучаю. Ведь я здесь один без родных, без родственников.

Ираклий, видимо мне зимовать здесь, потому прошу попроси у дяди Гриши, у Нико, они тебе достанут семена капусты цветной, красной и обыкновенной, помидора, горького перца, лука, киндзы, петрушки, укропа и прочее и пришли их в январе.

Привет всем.

Л. Цихистави

29/IX/1945 г.
г. Соликамск.

1-V-46წ.

ნანა!

[illegible]

1-V-46წ.

[illegible]

ნინა!

შენი დეკემბრის წერილი მივიღე და პასუხიც გამოგიგზავნე, მწერდი ამანათს გიგზავნიო, ჯერ არ მიმიღია. ქაჯაის მეტად სანდო კაცი გაუგზავნე მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს, თუ არ გამოგზავნა გაცნობებ და უკეთესია მანდ გამოგიგზავნოს. მე ჩვეულებრივად ვცხოვრობ, ვმუშაობ ძველ ადგილზე. ნინა! დღეს როზამ - მიწურში რომ ცხოვრობდა, მთხოვა მოგწერო, რომ შენ გამოუგზავნო გამხმარი ხილი 300 მან. ღირებულებისა ბავშვისთვის - თვითონაც მოგწერს როცა დასჭირდება და ფულსაც გამოგიგზავნის. ერთი სიტყვით თუ ძნელი არ არის გამოუგზავნე, თვითონ აქ მუშაობს ნორმიროვშიცას ადგილზე, ქმარი უფროსი ნორმიროვშიკია მთელი ლაგერის.

აქ ჩვეულებრივი სიძვირეა, განსაკუთრებით ქონეულზე. მეორე თვეა ზეთი სრულიად არ არის და არც ელიან ამ ორ სამ თვეში. მომწერე მანდ როგორ ცხოვრობთ - სიძველეა თუ არა, რას შვრებიან, როგორ არიან თქვენები, დედა, მამა, გოგია, დედაჩემი ხომ არ ავადმყოფობს. ერთი სიტყვით ნუ დაიზარებ, მომწერე ყველაფერი ხშირად. შენი წერილი რამოდენიმე დღეს მაინც გამიქარვებს ჯავრებს, საშინელი მოწყენილი - დაღონებული ვარ, რაც ცოტა დრო რჩება მით ძნელი გახდა გადატანა ამ უბედურებისა. თუმცა დრო ცოტაა თუ ბევრი ალახმა უწყის. ჯერჯერობით ვისაც ვადა უმთავრდება ან სრულიად არ უშვებენ – განსაკუთრებულ განკარგულებამდე სტოვებენ, ანდა უშვებენ - ზოგიერთს, მეტად მცირე გამონაკლისად ადგილზე სტოვებენ სამუშაოდ. ასეთია მდგომარეობა - ვნახოთ შემდეგ.

რას შვრება ჩემი ირაკლი, როგორ ჩააბარა საგნები იანვრის სესიაზე, ხომ არ უძნელდება, როგორ გრძნობს ლეილა, დაემსგავსა თუ არა თავისი ხნის ბავშვებს - სწავლობს თუ ისევ ისეთი ჩამორჩენილია. მომწერე, ნინა, მომწერე ყველაფერი, როგორმე გამოჰყავ თვეში ერთი საათი.

გაკოცებთ ყველას, ლ.ციხისთავი

1/II/1946 წ.

აზლასი



ნინა! წერილი დაწერილი მქონდა, საღამოს უკვე მივიღე ამანათი, შალი და სხვა. რა ღირს ეს შალი არ ვიცი, ალბათ მსურველი ბევრი აღმოჩნდება. ლ.ციხისთავი

кому: Грузинская ССР
Гор. Тбилиси
ул. Рафиеля Эристави №4
«Ваке»
Нине Николаевне Цихистави


ПОЧТОВАЯ КАРТОЧКА

ნინა!

გარდა ამისა, გთხოვ წიგნები, რომლებსაც გწერდი, გამომიგზავნო.

ნინა! შეიარე ხალათოვის ოჯახში და გაიგე, რატომ არ სწერენ წერილს.

მომწერე ხშირად, როგორ ცხოვრობთ, რატომღაც მგონია, რომ წელს ძალიან გიჭირს ცხოვრება საერთო სიძვირესთან დაკავშირებით.

ნინა, ძალიან ნაწყენი ვარ, რომ ათი წლის განმავლობაში ერთი ღია ბარათი არ მომწერა არც ნიკომ, არც დათიკომ, როცა შეხვდე, ჩემი საყვედური გადაეცი. შეიძლება შევხვდე მათ ოდესმე და თუ მთლად არ ჩამოერეცხათ სინდისი რას იტყვიან. უფრო მეტად დათიკოსგან მწყინს, არაფერს ვამბობ სხვა ნათესავებზე. მომიკითხე დედა, მამა. დამიკოცნე ბავშვები.

შენი ლ.ციხისთავი
6/X/1946 წ.
აზლასი

куда: Грузинская ССР
Гор. Тбилиси
ул. Рафиеля Эристави №4. “Ваке”
Н.Н.Цихистави

адрес отправителя:
Молотовская Обл.
Соликамск
9.10.1946

[illegible]!

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 13 [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 19 [illegible]
[illegible]
[illegible] 19 [illegible]
[illegible]
[illegible]!

11 [illegible]. [illegible]

ნინა! შვილო ირაკლი!

რასა იქთ, როგორ ხართ, რამოდენიმე წერილი გამოვგზავნე ამ მოკლე ხანში, მიიღეთ თუ არა?
თქვენი წერილები დიდი ხანია არ მიმიღია, ალბათ გაჯავრებული ხართ, მაგრამ რა უყო, წერილით ახსნა-განმარტება ვრცელი არ შემიძლიან. წინა წერილში განგებ გამოვგზავნე განცხადების ასლი, ცოტას მაინც მიხვდებით. მე თვითონ ნახევრად ცოცხალი ვარ, ახლოვდება 13 ივლისი და გული დადაღული მაქვს. ველოდი ეგებ ერთი ნახვა მაინც მეღირსოსო და ასეთი უბედურება, ცხადია ნახვის იმედი აღარ მაქვს. ძნელია გაძლება ამ პირობებში.
ათი წელი ათი დღე არ არის, ამ მეტად ვრცელ მანძილზე მხარ და მხარ მომდევდით მამაგრებდით მამხნევებდით და ახლა ნუ იზამთ რომ წერილიც არ მომწეროთ - ამით მთლად მომიკლავთ ისედაც მკვდარ გულს. მომწერეთ ხშირად ყველაფერი, ირაკლი ახლა მალე 19 წლის შესრულდება. გადაუღე სურათი და გამომიგზავნე, დამიკოცნე 19 წლის თავზე - მე კი აქ მხოლოდ ცრემლი მომივა თვალზე ამ დღეს. ასე მოკითხვა ყველას.

11/V/1947 წ. ლ.ციხისთავი

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
244-5 [illegible]

[illegible]

ამ მოკლე ხანში ორი ამანათი მივიღე. ერთში გამხმარი ხილი იყო, მეორეში ქონი, ჩაინიკი კრუპით, საცვალი, წინდები, ხელთათმანები და სხვა. დედაჩემი მწერდა, რომ ამანათში იქნება შალი და შარვალიო. ასეთები არ აღმოჩნდა. ამანათები კარგ დროს მივიღე, აქ ცხოვრება გაძნელდა.

მისამართი: Молотовская Область, Гор. Соликамск, 244-5 «Нагорная»

ლ. ციხისთავი

ნანა!

მივიღე შენი წერილი 15/V-ით დათარიღებული. [illegible]

[illegible]

ნანა! [illegible]

ნინა!

მივიღე შენი წერილი 15/X – გამოგზავნილი. რამდენიც არ მისაყვედურო და მლანძღო არაფერი მეწყინება შენგან არასოდეს. მწყინდა მხოლოდ უწერილობა, მივიწყება. მე ჯერ კიდევ არ დამიკარგავს ადამიანური გრძნობა, მხოლოდ ეგოისტი არასოდეს არ ვიყავ და არც ახლა ვარ, როგორ შემიძლიან დავივიწყო ნამდვილი შენი ზრუნვა და ყურადღება ჩემდამი.

თუ ვწუხდი, თუ ვწერდი დედაჩემს რა დაემართა ნინას, რატომ არ მწერს, ეს იმიტომ, რომ შენგან პასუხს ვერ ვეღირსე ჩემს წერილებზე თვე, ორი, სამი მაგრამ მთელი წელი უწერილობა რაიმეს აფიქრებინებს ადამიანს.

მართალია, დედაჩემი შენი სიზარმაცით ან მეტი გადა-ტვირთვით ხსნიდა უწერილობას, მაიმედებდა რომ კარგათ არიან, კარგათ იქცევიანო, მაგრამ ეს მე მაინცა და მაინც არ მაკმაყოფილებდა - ვწუხდი, დარდი მემატებოდა და ჩემდა უნებურად ვღონდებოდი, ვნერვიულობდი, უკანასკნელი იმედის დაკარგვის გრძნობა მძლევდა – შენ თითონ იფიქრე და წარმოიდგინე ჩემი განწყობილება – მეც ხომ ადამიანი ვარ, მეც ხომ მაქვს გრძნობა, სურვილი, სიყვარული მახლობლებისადმი - მით უმეტეს ტყვის საშინელ პირობებში მხოვრებს მეორე ათეული წლის მანძილზე.

ვიმეორებ, მაგინე რამდენიც გინდა მხოლოდ ხანდახან წერილით მაცნობე შენი და ბავშვების სიცოცხლე და კარგათ ყოფნა, ყველაფერს ვერ გამოვთქვამ, ყველაფერს ვერ აღვწერ, თუ მეღირსა შეხვედრა მაშინ სრულ სურათს დაგიხატავთ ჩემი ცხოვრებისას და ბევრი რამ უცნობი და ახალი იქნება, ბევრი რამ აატირებს ყოველ მოაზრე ადამიანს - ახლა კი ამით ვკმაყოფილდები.

ნინა! ჩემი მდგომარეობა გაინტერესებს, ყველაფერს ხალათოვი გიამბობს 10 ნოემბერს თავისუფლდება. ისე კი არა მიჭირს რა, ამ ბოლო ხანებში მეტისმეტი უაპეტიტობა

[illegible] 10 [illegible]

[illegible]

[illegible] „несправедливый обман вашихъ" [illegible]

[illegible]

2 8/x - 475.

[illegible]

დამჩემდა, ამიტომ მეტად გავთხელდი, გარდა ამისა, მაყრის წვრილ წითელ მუწუკს მკლავებზე, ბარძაყებზე, მკერდზე, ექიმმა მითხრა საჭიროა *C* და *Д* ვიტამინი თუ *B* არ მახსოვს, «неправильный обмен веществ», თუ რაიმე წამალი იშოვება გამომიგზავნე, აქ არაფერი აქვთ, კიდევ პირი მიშრება, ამიტომ არის რომ საჭმელი არ მინდა. ხახვი, ნიორი და შავი პილპილი გამომიგზავნე, ეგებ მიშველოს. ტკივილით არაფერი მტკივა, ჯანზედაც კარგად ვარ.

მოკითხვა ყველას, მომწერე დაწვრილებით ირაკლის ამბავი, როგორ იქცევა, მუყაითობს თუ არა სწავლაში, მიეხმარე, რომ რაიმე დარგში დაწინაურდეს, იკითხოს, განვითარდეს.

სად გყავთ ძროხა ან როგორ მოუვლით. რაც შეეხება მოსკოვში წასვლას, ჩემის აზრით ზედმეტი და ფუჭი ხარჯი იქნება, თქვენ მანდ უკეთ იცით და აკვირდებით დღეს მდგომარეობას ახლა ჩემს საქმეზე არავინ არაფერს შეიწუხებს თავს.

ასე დაუკვირდი და ისე იმოქმედე. მოკითხვა დედას, მამას, გოგიას,

იყავით კარგათ, ლ.ციხისთავი

27/X/1947 წ.

გიგზავნი ერთი ქართველის წერილებს, ეგებ როგორმე გადასცე ან ფოსტით გაუგზავნო, ეს კაცი ტრამვაის პარკში მსახურობს, ეგებ მამამ გადასცეს.

ლ.ციხისთავი

[illegible]!

[illegible]

[illegible]

[illegible]

შვილო ირაკლი, ნინა!

რასა იქთ როგორ ხართ, კარგა ხანია ირაკლი შენი წერილი არ მიმიღია. მე ბევრი წერილები გამოვგზავნე, არ ვიცი მიიღეთ თუ არა. ვწუხვარ დედაჩემის შესახებ. როგორ არის, წინა წერილებში გთხოვდით ხშირად გეცნობებიათ, პირიქით გამოვიდა, თითქმის თვენახევარია არაფერი ცნობა არ მაქვს. მაინტერესებს მოგიტანათ თუ არა ჩემი წერილი ოთარ ლეჟავამ. ირაკლი! მე დარწმუნებული ვარ, რომ გადატვირთული ხარ, მუშაობა ბევრი გიხდება ინსტიტუტში, სახლში, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად თვეში ერთხელ შეგიძლია გამონახო ერთი ორი საათი და მომწერო დაწვრილებით როგორც სხალის ამბავი, ისე საერთო ახალი - ჩემთვის ყველაფერი ახალია - ამბები. ამას გთხოვდი ყოველთვის და კიდევ ვიმეორებ. თქვენგან მიღებულ წერილებს არაერთხელ ვკითხულობ, ეს ყველაფერზე ძვირფასი სიამოვნებაა. ხშირათ მინდა ბევრი რამ მოგწეროთ, გიამბოთ ჩემი ცხოვრების შესახებ, გაგაცნოთ ჩემი თავგადასავალი, მაგრამ მიძნელდება არა იმიტომ, რომ დროს ვერ ვშოულობ, არა იმიტომ, რომ წერა მეზარება, არა, აქ სხვაა შემაფერხებელი მიზეზი. შენ კი რა გიშლის ხელს არაფერი, უბრალოთ ამიწერ ოჯახის, მახლობლების ამბავს, ეს ყველაფერი გამახარებს.
ჩემი საქმიანობის შესახებ გწერდით, მოვეწყე, კანტორაში, ალბათ აქ ვიმუშავებ გაზაფხულამდე, შეიძლება ზაფხულშიაც. ეგ არის, რომ ყინვებში არ მიხდება სიარული, ოთახში ვმუშაობთ. ეს კი დიდი შეღავათია. წინა წერილებში გწერდით, ქუდს და ხელთათმანებს, ტყავი შარშანდელი სულ ახალი მაქვს. მიჭირს მხოლოდ ქუდი და თბილი ხელთათმანები და თუ საქმე მეტად ცუდათ არ გაქვთ, თფილი ნიფხავი ან შარვალი. საქმე იმაშია, რომ რადგან კანტორაში ვმუშაობ, არაფერს იძლევიან. აქ ყიდვის საშუალება კი არ მაქვს. საერთოდ ტანსაცმელი ცოტაა, ყველას არ ყოფნის.

[illegible]

8/XI-937

[illegible]

აქ უკვე საკმაო ყინვებია - თოვლი, და თუ მოახერხებთ ამეებს დაჩქარებით გამომიგზავნეთ.
ამ წერილთან ერთად გიგზავნით ჩემ სურათს ბანდეროლით. სექტემბერში ჩემდა დაუკითხავად, როდესაც სალამოხანს ეზოში ვიჯექი განმარტოებით, ერთმა ნაცნობმა დამხატა. თითქოს ცუდათ არ გამოუვიდა, ეგ არის ცოტა გასუქებულად გამომიყვანა. გადავწყვიტე გამოგიგზავნოთ, ვატან ერთ ნაცნობს თავისუფალს, გამოგზავნის ფოსტით არ ვიცი მოგივათ თუ არა, თუ მოგივათ მაშინვე მაცნობეთ.
სხვა რა მოგწეროთ, იყავით კარგად, მოკითხვა ოლას ბავშვებით, გრიშას ბავშვებით, ბებიას, პაპას, გოგიას ცოლშვილით და სხვებს. სასწრაფოდ მომწერე ღია ბარათით ბებიას - დედაჩემის ამბავი. როგორ არის, საავადმყოფოშია თუ გამოვიდა. იყავით კარგათ,

8/XI/1948 წელი ლ.ციხისთავი
სიმი.[3]

[3] იხილეთ დანართი 1 ლუკა ციხისთავის პორტრეტი, დახატული ასევე რეპრესირებული მხატვრის მიერ 1948 წ. სექტემბერში.



Дорогая Нина!

Получила твое письмо от 6/х, правда пишешь мало, но все же обрадовалась, так как давно нет от тебя [illegible].

Очень рад, что [illegible] в Тбилиси, правда [illegible]

уже взрослый, но все же ему наверно трудно было без тебя.

[illegible] в одиночестве от

[illegible]

В [illegible] меня все это [illegible]

[illegible]

Так как будто ничего не было, [illegible]

[illegible]

В предыдущем письме писала, что устроилась в [illegible]

[illegible]

Целый день в комнате работаю и это [illegible]

[illegible]

Но главная беда в том, что [illegible]

[illegible]

Пока что я не нуждаюсь ни в чем, [illegible]

[illegible]

Дорогая Нина!

Получил твое письмо от 6/X, правда пишешь мало, но все же обрадовался, так как давно от тебя не получал писем.

Очень рад, что сын переходит обратно в Тбилиси, правда Ираклий уже взрослый, но все же ему наверно трудно было без тебя, знаю как живется и достается молодому в одиночестве от родных, на своем горбу испытал, сколько бы не имел никогда по-человечески не сможешь жить. Так постарайся поскорее перебраться, лучше иметь меньше, но жить поблизости к детям.

Я оказался несчастным, оторвался от жизни, изолировали от семьи, не имел счастья наблюдать и любоваться развитием своих детей, половину своей жизни провожу в глухой тайге в качестве презренного, униженного и оскорбленного, да еще вопрос, придется ли, хотя бы перед смертью, увидеть свою семью.

Двенадцать лет в заключении не двенадцать дней, плюс и условия жизни, отдаленность от родины и суровый северный климат, но все это усугубляется самой работой и условиями работы.

Здоровье конечно не то, что было, поседел, как уже писал, получил грыжу, к этому добавилось еще одно- воспаление сердечного нерва, не знаю на почве ревматизма или простуды.

(აქ წერილი ნაწილობრივ მოხეულია. რედ.)

В данный момент мучит меня вот эта болезнь, лечение простое, когда есть возможность, согреваю горячим кирпичом.

Так как будто ничего не болит, правда худой, но полным никогда не был, кстати недавно прислал свой портрет, нарисовал один товарищ - когда получите сообщите.

В предыдущих письмах писал, что устроился в конторе сельхозчасти, контора не очень далеко от зоны, утром выводят с другими вместе, вечером обратно. Целый день в комнате работаю и это большое счастье в здешних условиях, правда -

существование.

Пишешь о моем деле, обо всем этом я уже раньше писал Оксане и прошу не говорить но вы все мои мучения. Я в одно время дошел до такого состояния что приготовил все для уничтожения самого себя, но в решительную минуту все мысли перевернулись и сразу решил жить во что бы то ни стало, а дальше видно будет.

Оправдываться, утверждать, что я не виноват нельзя. видимо на самом деле виноват потому что родился и жил на этом свете и так далее - много чего бы писал но на этом прекращаю.

Теперь прошу одно пишите по почте, пришлите фотоснимки, неужели это представляет такую трудность, в под раз. пишите как здоровье мамы, вчера получил посылку от нее, сушеные фрукты, соль, свитер, зубную пасту и другой за что спасибо.

Обещают пропуск но навряд ли получу - сейчас дадут немного легче будет это наверно к весне.

Привет мама, папа, Зоя с семьей и всем знакомым. Не ожидал что так забудут

неужели в под раз трудно, письмо не

зато получаю сравнительно мало, но черт с ним, лучше меньше есть да зимой быть в тепле под крышей. Но другая беда в том, что одежду, обувь не дают, дадут если будет второго срока - рваную, но пока и этого не видно.

Пока что я не нуждаюсь особо, только прости если есть возможность теплые брюки или кальсоны так как больной ноге очень холодно - да ишьяз на правой стороне - и грыжа на правой - может быть от грыжи? Мне очень совестно просить, стараюсь воздержаться, но когда не нахожу никакого выхода, как говорят, с трудом, но смываю совесть и начинаю просить. Что делать, такая моя судьба. Когда-то же работал, а теперь неимоверным трудом себе не могу обеспечить нищенское существование.

Пишешь о моем сроке, обо всем этом еще в августе писал я вам и просил не говорить, но вы все женщины. Я в одно время дошел до такого состояния, что приготовил все для уничтожения самого себя, но в решительную минуту все мысли перевернулись и строго решил, жить во чтобы то не стало, а дальше видно будет.

Оправдываться, утверждать, что я не виноват, надоело, видимо на самом деле виноват, потому что родился и жил на этом свете и так дальше - много чего было, написал бы, но на этом прекращаю.

Теперь прошу одного, пишите почаще, пришлите фотоснимки, неужели это представляет такую трудность, в год раз. Напишите как здоровье мамы, вчера получил посылку от нее, сушеные фрукты, лоби, свитер, зубную пасту и прочее, за что спасибо. Обещают пропуск но навряд ли получу - если дадут немного легче будет, это наверное с весны.

Привет маме, папе, Гоги с семьей и всем знакомым. Не ожидал, что так забудут, неужели в год раз одно письмо не могут написать, неужели не понимают, какую ценность составляет

могут писать, неужели не понимают какую
ценность составляет письмо для бедного оторван-
ного от родины, покинувшего родных 10-12 лет
тому назад. Да это мелочь, я ни на кого
не обижаюсь, в силу сложившихся обстоятельств или
роковой судьбой очутился в таком состоянии, стараюсь
перенести все это, вам очень хорошо
ясно как это нечего мне обижаться, но видимо
мои некоторые родные или знакомые считают себя
лучше меня и давно решили что мне не
выйти из этой ямы потому думают выпить
за мой упокой, и это [illegible] в вашем
бережно для меня.

Пока до свидания дорогая Ника.
Пиши не забывая целую Л. [illegible]

24 XI - 48 г.

письмо для арестанта, отдаленного от родины, покинувшего родных 10-12 лет тому назад. На это между прочим, я ни на кого не обижаюсь, я с течением обстоятельств или роковой судьбой очутился в таком состоянии, стараюсь перенести все это. Если осилю хорошо, если нет, то нечего уже обижаться, но видимо мои некоторые родные или знакомые считают себя поумнее меня и давно решили, что мне не вылезти из этой ямы, потому заранее выпили за мой упокой, и это ничего, я все же борюсь за жизнь.

Так до свиданья, дорогая Нина.

Пиши почаще. Целую Л.Цихистави.

24/XI/1948 г.



სალამი სიმამრს და სიდედრს!
მივიღე თქვენგან გამოგზავნილი ამანათი რაზედაც დიდ მადლობას გიძღვნით, თანაც შევწუხდი, რადგან ვფიქრობ, რომ თქვენ თვითონ გიჭირთ ცხოვრება მოხუცებულებს, თქვენ კი არ უნდა მეხმარებოდეთ, მე უნდა გამეწია თქვენთვის პატრონობა მაგრამ რას იზავს კაცი როდესაც უკუღმართად დაუტრიალდება ცხოვრება. არაფერია ეგებ მალე შევძლო თქვენი ყურადღების გამართლება.
ალბათ მემდურით, რომ წერილებს ვერ გწერთ, უეჭველია ნინა გიამბობდათ, რომ ამ ლაგერიდან სადაც ახლა ვარ წელიწადში ორი წერილის უფლება გვაქვს, ისე კი თუ მოვახერხე ვწერ ნინას ყოველთვის მაგრამ არ ვიცი იღებს თუ არა. მე ძალიან იშვიათად მომდის წერილი ისიც მეტად მოკლე. არასოდეს არ მომწერს ვინ როგორ არის ჩემიანები. ეგებ მემდურიან, მაგრამ მე ხომ არ ვემდური და ყოველთვის ვკითხულობ თქვენს ამბავს. ალბათ არ მოდის ჩემი წერილები - მე ვაგზავნი შემდეგი წესით, როცა სამუშაოზე მივყავართ გამზადებულ წერილს გზაზე ვაგდებ თხოვნით რომ მნახველმა ჩააგდოს საფოსტო ყუთში. ამისათვის კი საჭიროა ბევრი ქაღალდი მე კი არა მაქვს. მოვწერე ხშირად მაგრამ არ მომივიდა არც ღია ბარათები და არც კონვერტები.
ჩემი ცხოვრების შესახებ რა მოგწეროთ, ვერაფერი სანუგეშოა აქაური ცხოვრება, მეტად მძიმე რეჟიმია. მაგრამ მაინც ვუძლებ და კარგათ და ყოჩაღათ ვარ.
მე თვითონ მიკვირს რამდენი ათასები მოიხარა წელში, დიდი ხანია აღარ არიან მე კი ყველა უბედურებას გავუძელ და მარჯვედ ვარ ჯერჯერობით.
ვწუხვარ როცა წერილს ვერ ვღებულობ, ათასი ფიქრი მოდის თავში, ირაკლი ახლა დიდია და ეს მეტად მაფიქრებს არაფერი უსიამოვნება არ შეხვდეს.
ერთხანს სურათებიც ჩამოგვართვეს, ახლა ისევ დაგვიბრუნეს და მეტად გახარებული ვარ, რომ სურათს მაინც ვუყურებ

[illegible]

20 II 51 წ.

ყოველ დღე. ერთსა გთხოვთ, შთააგონეთ ირაკლის, რომ კიდევ გამომიგზავნოს ახალი სურათი და მომწეროს ხანდახან. გარდა ამისა გთხოვთ გადასცეთ ნინას რომ წინა წერილში ვთხოვდი თამბაქოს თესლს "სამსუნი"'- 30 გრამი და "ტრაპიზონი"'- 30 გრამი. აქ მთხოვეს ეზოსათვის და ისედაც სხვაგან. ეს აუცილებლად მჭირდება.
მოკითხვა გოგიას ცოლშვილით.
ყველა სხვა ნათესავებს.

თქვენი ლ.ციხისთავი
20/II/1951 წ. [4]

[4] იხილეთ დანართი #2 – ლუკა ციხისთავის სიდედრისა და სიმამრის ფოტო.

ნინა, ირაკლი!
რასა იქთ როგორ ხართ, კარგა ხანია წერილი არ მიმიღია. არ გამოგიგზავნიათ თუ არ მოვიდა, არ ვიცი. ამანათები მივიღე ერთი ხილის და ერთი პროდუქტები რძე და სხვა. წერილი მოგწერეთ, ახლა შემთხვევა მაქვს მოგწეროთ, ვატან ერთს შემთხვევით მომავალს მაქეთ, მოგივათ თუ არა არ ვიცი, თუ მიიღოთ გამაგებინეთ - კონვერტები ჩადეთ ამანათში.
ახლა მაინტერესებს თქვენი ამბავი დაწვრილებით, როგორმე მომწერეთ წერილი, ამანათში შეიძლება ჩასდოთ ან ქაღალდის პარკში ან სხვა რამეში მოფარებულად. სად მსახურობ, როგორია ცხოვრების პირობები, განსაკუთრებით ირაკლის ამბავი, როდის ამთავრებს საბოლოოდ, ჯარში აუცილებლად მიყავთ თუ არა, თუ ჯარს გადაურჩა, ეგებ ახლო სადმე მოაწყოთ სამსახურში, შორს არ გააგზავნოთ. როგორია ცხოვრებაში, როგორი უნარი აქვს, ცუდ ამხანაგებს ხომ არ მისდევს, ერთი სიტყვით ყველაფერი მომწერეთ.
ნინა! მე მგონი დროა იფიქროს ოჯახზე, უფრო მშვიდსა და მკვიდრ ცხოვრებას მოეკიდება, ცხადია ყველაფერი ეს დაკვირვებით უნდა გააკეთოს. გარდა ამისა, ლეილას ამბავი როგორ არის, რა ეტყობა.
რამოდენიმეჯერ გთხოვეთ დედას ამბავის მოწერა, არაფერი ვიცი დღევანდლამდე რა დაემართა, როგორ არის, ცოცხალია თუ არა. ერთი სიტყვით ყველას ამბავი მომწერე, მე არაერთხელ გწერდი წერილის მოწერის საშუალება არა მაქვს, წელიწადში ორჯერ გვაძლევენ ნებას, მეტი არსაიდან არ შეიძლება, დიდი სიფრთხილით ხან ვახერხებ, ისიც შიშის ქვეშ, თუ ნახეს, ამიკრძალავენ ერთი წლით ყველაფერს. ამიტომ ვერ ვწერ ვერც ოლას, ვერც გრიშას, ვერც სიდედრ-სიმამრს - ამიტომ ნუ დამემდურებიან. მძიმე რეჟიმი გვაქვს. ძნელია წარმოდგენა თქვენთვის, რადგან გარემო თქვენს აზროვნებას და წარმოდგენას და შეხედულებას ნივთებზე სისწორით შეუძლებელსა ხდის სხვა წყარო ამის გასაგებათ არ არის.

[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

იმდენად მძიმე და საეჭვო რეჟიმში ვართ, რომ ადვილი შესაძლებელია რაიმე საგარეო გართულების შედეგად ველარც განახოთ ცოცხალმა, მაგრამ ყოველივე ამას ურიგდებით და ვიმედოვნებთ, რომ ასე არ იქნება, ყოველ შემთხვევისათვის კი რომ იცოდეთ ცუდი არ არის. ყოველივე ამის გამო უფრო მეტად მაინტერესებს თქვენი ამბავი. ჯანმრთელობის მხრივ თითქოს არაფერი მიჭირს რაც მეტი სიძნელე მხვდება, იმდენად ვმაგრდები. სამუშაოდ დავდივარ. სამუშაოზე სხვა უფროსები გვყავს - მშენებლები. იქ მოვეწყე ათისთავი მშენებლად, მძიმე არ არის - მუშაობისათვის აქ არაფერს გვაძლევენ გარდა 200 გრ. პურისა დამატებით, ისიც თუ მუშამ 150% გამოიმუშავა, რაც მეტად ძნელია. თუ ვღონღილობ, ისევ თქვენი დახმარებით, ასეა ყველა აქ მყოფი.
ნინა! პირად ანგარიშზე ამჟამად კიდევ მაქვს 100 მან, ისე რომ როგორც მოგეცემათ საშუალება, ცოტაოდენი გამომიგზავნეთ, რადგან ფულის ოპერაცია გვიან ხდება, მანამ ჩემამდე მოაღწევს, თვეში 60-75 მან. გვაძლევენ ყიდვის ნებას ერთხელ პურის, ქონის და სხვა.
გარდა ამისა, როცა მიგზავნით, პაპიროსის მაგიერ თუთუნი გამომიგზავნეთ. პაპიროსი უფრო ძვირია, თუთუნი კი მეტი გამძლე. შავი ფანქარი ამაზე უკეთესი, რითაც ვწერ, კონვერტები და ღია ბარათები და თუ ძვირი არა ღირს ნუცუბიძის თარგმნილი «ვეფხის ტყაოსანი» და ახალი რაიმე საქართველოს ან რუსეთის ისტორიიდან. ალბათ ეს ძვირი ღირს - ეგებ ნიკოს ჰქონდეს მეტი ეგზემპლარი, ქართული ჟურნალები, ან რუსული ჟურნალი “Новое время», დღეში ერთი ორი საათი დრო მაქვს და წასაკითხი არაფერი მაქვს, გარდა თანამედროვე ბელეტრისტიკისა, რაც სრულიად არ არის საინტერესო, ზოგჯერ მავნეც ნერვების აშლისათვის.
ასე იყავით კარგად, იფიქრე ირაკლის მოწყობის, ოჯახის შესახებ. მოკითხვა ყველას, ოლას ბავშვებით, გრიშას, გოგიას,



დედას, მამას და ყველა ნათესავს, ვინც მიგონებს მაინც ხანდახან.
ვიმეორებ, წერილის მოწერის ნება წელიწადში 2 მაქვს. მიღება თქვენგან, რამდენსაც გამოგზავნით ას ორას ათასს და ასე.

ლ.ციხისთავი 5/XII/1951 წ.


Нина!
Первым долгом сообщаю, что
получил посылку с книгой, прошу когда
есть возможность присылать в новые
книги [illegible] литература и [illegible]
Нина, [illegible] назначение этого

кому обратиться и кого спросить
помощи и утешения.
Поэтому прошу оказать ей
помощь в смысле устройства
на работу — [illegible]
это будет помощь человеку
который лишен возможности
оказывать помощь и содействие
своей семье, [illegible]
[illegible]
[illegible]
Я решил [illegible] благодарности
чувство и намерения
выразить [illegible]
оказать — [illegible]
ибо мы [illegible] в одной клетке
[illegible] посредством [illegible]
мне человека. Надеюсь
[illegible] все
возможное

Нина!

Первым долгом сообщаю, что получил посылку с книгой, прошу когда есть возможность присылать новые книги из области литературы и истории.

Нина, основное назначение этого письма следующее: гражданка, которая принесет тебе это письмо, она жена моего друга по лагерю, ты должна знать семью моего друга – он брат жены Левана Чачанидзе. Зная хорошо семью Чачанидзе, их взаимоотношения и прочее, не буду распространяться и коротко сообщу, что подательница письма находилась в крайней нужде, не только нашла приют у этих извергов, наоборот, подверглась с их стороны разным лишениям и гонениям. Имеет ребенка, как ни говорите не в родном городе - безусловно нуждается и не находит человека, к кому обратиться, у кого искать помощи и убежища.

Потому прошу оказать ей помощь в смысле устройства на работу - она медработник. Это будет помощь человеку, который лишен возможности оказывать помощь и содействие своей семье, друг мой - муж гражданки, которая с тобой будет говорить - застенчивый, милый, очень беспокоится и я решил человеку с благородными чувствами и намерениями выразить соболезнование и оказать помощь - если не сам лично, ибо мы с ним в одной клетке - то посредством ближайшего мне человека. Надеюсь позаботишься и сделаешь все возможное.

3/II/1952 г. Л.Цихистави

[illegible]!

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

ნინა და ირაკლი!

დიდი ხანია წერილს არ ვიღებ, რა მიზეზით არ ვიცი, აგზავნით და არ მოდის, თუ არ გამოგიგზავნიათ. ამანათებს რეგულარულად ვღებულობ, რაზედაც გმადლობთ, მაგრამ უწერილობა მაღონებს ძალიან. ველოდი დაწვრილებით მომწერდით ირაკლის ამბავს, როდის ამთავრებს საბოლოოდ, რა ბედი ელის, ჯარში მიჰყავთ თუ განთავისუფლებულია, როგორ ამთავრებს, ისე უჩინრად თუ როგორც კარგი მოსწავლე, ნიჭიერი და უნარიანი.

ვგრძნობ, რომ გადატვირთული ხარ მუშაობით და გულისყური ირაკლისკენ გაქვს, მაგრამ ვერ წარმოგიდგენია როგორ მიმძიმს უამბობა და როგორ მაინტერესებს და მოუთმენლად ველი ირაკლის ამბავს. თვითონ არ ან ვერ მწერს, გასაგებია, თუმცა ჩემთვის არავითარი მიზეზი არ არსებობს, მაგრამ დაე ასე იყოს. მგონი მისგან მეტის მოთხოვნის უფლებაც არ მაქვს. შენ კი დაგემდურები თუ ახლო მომავალში ყველაფერი არ მომწერე.

სხვა რა მოგწერო, ვცხოვრობ ძველ პირობებში, გწერდით ამ პირობების შესახებ და მგონი მიღებული გაქვს. ვმუშაობ მშენებლობაზე ათისთავად – მძიმე სამუშაოა – არაფერს გვაძლევენ, რადგან განსაკუთრებულ პირობებში – რეჟიმის ქვეშ ვართ – რა ბედი გვეწვევა ძნელია თქმა. მეტად ცოტა დრო მრჩება თავისუფალი, მაგრამ ამ ცოტა დროსაც ვიყენებ თუ კი რაიმე მაქვს საკითხავი, ამიტომ გთხოვდი ზოგიერთ წიგნს, რუსთაველი მივიღე, ახლა თუ არ გაგიძნელდებათ, გამომიგზავნეთ "დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია" – ახალი გამოცემა ყოფილა გაზეთიდან გავიგე და თუ რაიმეა ახალი რუსეთის და ევროპის ძველი და ახალი ისტორიის შესახებ.

ამანათში არასოდეს ჟურნალს არ ჩასდებთ, ალბათ არ კითხულობთ, ირაკლისათვის აუცილებელია ლიტერატურის


3 VII 52 წ.

კითხვა საერთო განათლებისათვის. თუ ეს წერილი მიიღოთ კბილის პარაშოკი გამომიგზავნეთ, შიგაც პატარა წერილი. მოკითხვა ყველას, დედას, მამას, გოგიას ცოლშვილით, ოლას, გრიშას და სხვებს.
რატომ არ მწერთ დედაჩემის ამბავს, ცოცხალია თუ არა, ანდა ჟურნალ «Наука и жизнь»-ში წავიკითხე – ერთს მოსდის-დეფექტიანი ბავშვების მკურნალობის ახალი აღმოჩენების შესახებ. მიიღე რაიმე ზომა ლეილას შესახებ, თუ არა, მომწერე ყველაფერი ძალიან გთხოვ.

ლ.ციხისთავი
3/III/1952 წ.

Нина Иракли!

Сегодня получил посылку - сахар, сало, носки мыло - за все это большое спасибо, но не могу понять почему не пишете, или может быть пишете и до меня не доходят. Не могу выразить беспокойство которое переживаю изза отсутствия письма, обычно мысли проходят за всё не случилось ли с вами что нибудь неприятное, ведь знаете, время такое, что возможно ожидать. Вот уже третий месяц как не получаю писем, посылки регулярно идут что очень даже хорошо, но обязательно не радует меня что ничего не знаю про вашу жизнь, что с вашим положением может быть и не следует мне поддерживать свое здоровье

Несколько раз писал сообщить подробно как идут дела Ираклия, пошли или нет институт, работает где нибудь или призвали на военную службу, писали что параллельно приняли на юридическом факультете, продолжает учиться или бросил и пр. Кроме того скоро исполнится ему 24 г. думает ли заводить семейную жизнь, лучше чтобы не увлекался пустой, разумной воспитанной девушкой, и об этом прошу писать, но до сих пор ничего не получал и ничего не знаю. Все время думаю и с нетерпением

Нина, Ираклий!

Сегодня получил посылку – сахар, сало, пачку киселя. За все это большое спасибо, но не могу понять, почему не пишите, или может быть пишите и до меня не доходят. Не могу не выразить беспокойство, которое переживаю я из-за отсутствия писем, тысячи мыслей приходят за день, не случилось ли с вами что-нибудь неприятное, черт знает, время такое, что все можно ожидать. Вот уже третий месяц как не получаю писем, посылки регулярно идут, это очень даже хорошо, но абсолютно не радуют меня ибо ничего не зная про вашу жизнь, о вашем положении, может быть и не следует мне поддерживать свое здоровье.

Несколько раз писал сообщить подробно, как идут дела Ираклия, кончил или нет институт, работает где-нибудь, или призвали на военную службу, писали, что параллельно учится на юридическом фак-те, продолжает учиться или бросил и пр. Кроме того, скоро минует ему 24г., думает ли заняться семейной жизнью, боюсь чтобы не увлекся пустой, распутной холостяцкой жизнью, и об этом просил написать. Но до сих пор ничего не получал и ничего не знаю. Все время думал и с нетерпением ожидал, что вот-вот получу подробное письмо от возмужалого, спелого во всех отношениях сына, но видимо не дождаться мне такого счастья. Не думайте, что я не учитываю положения созданного вокруг вас и вам подобных, не думайте, что я предъявляю вам сверх возможные требования, нет, я прошу абсолютно естественное и возможное при наличии любви, отцовского уважения и человеческого сознания. Не взирая на любые препятствия, или порицания и предупреждения, которыми вам наверное, ежедневно надоедают официальные и домашние вновь выпеченные иуды.

Все же настойчиво прошу, Нина! напиши сама подробно обо всем, какого бы взгляда и направления не был бы, он все же

ожидал, что вот вот получу подробное письмо
от возлюбленного, любимого во всех отношениях сына
но видимо не дождаться мне такого счастья.
Не думайте, что я не учитываю положения создан-
ное вокруг вас и вам подобных, не думайте, что я
предъявляю вам сверхвозможное требование, нет
я прошу абсолютно естественное и выполнимое
при наличии любви, отцовского уважения и человеческого
сознания, не взирая на любые препятствия, или
поручения и предупреждения, которыми вас
наверно ежедневно наставляют официально и
домашние вновь выпеченные люди.
Все же настойчиво прошу Нина, напиши сама
подробно обо всем, каковы его взгляды и направления
не был бы он весь как и не могу отречься пока жив,
и при всех условиях буду интересоваться и отрадой
его жизнью и за его неприятности. В данный момент
я мирюсь с его положением и прощаю, и не
требую писать если это сопряжено с неприятностями,
но в то же самое время не очень-то хвалю ~~[illegible]~~
слабый примиренческий и трусливый характер.
Нина прошу прислать с удобной передачей [illegible]
[illegible]

сын и не могу отречься пока жив, и при всех условиях буду интересоваться и страдать его жизнью и за его неприятности. В данный момент я мирюсь с его положением и прощаю, и не требую писать. Это сопряжено с неприятностями, но а в то же самое время не очень то хвалю такой примиренческий и трусливый характер.

Нина, прошу прислать зубной порошок хлородонт.

Да, не раз просил написать о маме, и этого не добился получить весть, жива ли она или нет, я же должен знать, и это не трудно вам.

Ничего уже не пишу о брате, сестре, они уже видимо отреклись, извините за выражение, и не нужны мне их письма, если сами не желают и не думают, и не нуждаюсь как сама видишь.

Нина! конечно сверх всякого ожидаемого нахальства с моей стороны в течении 15 лет обременять тебя всякими просьбами сопряженными с материальной стороной, тем более, что на твоей опеке еще 2 человека: дочь и сын, но роковая судьба и обстоятельства закопали меня в такое пекло, где требуется систематическая поддержка ради спасения жизни, и имея таковую, безусловно систематически и своевременное, выдержал всякие лишения и сохранил жизнь из сотни тысяч один, и дожив до сегодняшних дней, хочется еще продержаться несколько и увидеть вас и многое прочее, потому не обижайся, сам досаждаю просьбами в другой раз.

Недавно писал прислать книги. «Курс западно-европейской литературы» и из истории запада и России, новые книги, знаю, что дорого стоят, и если будет возможность вместо продуктов пришли книги. В течении 15 лет лагерной жизни так сузились мои потребности в пище, что не чувствуя особых лишений могу жить годами на одном хлебе, но потребность читать, следить за достижениями науки ничем не могу заменить. Правда времени очень мало, работаем с 7 утра до 7 вечера, но все же за счет


[illegible]
Я не раз пробовал написать о маме, и всегда
не решался нарушить, пока не знаю как? Я не
умею знать, и это не трудно вам.
Конечно уже не вижу образы, вспомню, они уже
видимо в - моих [illegible] воображении, и не
нужно мне их писать если вами не [illegible]
и не думаете и не чувствуете, как сама видишь
пока ты жива и здорова.
Мама! Конечно сверх всякого ожидания
[illegible]

и Россия новые книги, зная что дорого стоит, и если
будет возможность вместо продуктов присы-
лать книги. В течение 15 лет лагерной жизни так
сузились мои потребности в пище, что не чувствую
особых лишений могу жить задами на одном
хлебе, но потребность читать, следить за достижени-
ями науки никак не могу заглушить. Правда времени
очень мало работаю с 7 утра до 7 вечера, но
всё же за счёт сна - отдыха урываю время
на [illegible], достаю у других
кое что но таких у кого нет гораздо больше
чем тех у кого есть - отсюда - мои [illegible]
Прошу в этом не отказать.
Меня пока жив, не болею, [illegible]
[illegible] - [illegible], и [illegible]
что [illegible] и на [illegible] [illegible]
которые быстро [illegible]. [illegible]
поэтому [illegible] не [illegible] - [illegible] что [illegible]
Привет маме, [illegible] и
прочим.

Л. [illegible]

16.III.52. [illegible]

сна – отдыха урываю время, но к сожалению книг нет, достаю у других кое-что но таких у кого нет гораздо больше, чем тех, у кого есть – отсюда – мне редко достается.
Прошу в этом не отказать.
Так пока жив, не болею, страдаю сильной неврастенией – стал вспыльчивым, и малейшее что-нибудь и на теле появляется красная сыпь, которая быстро исчезает, так же головная боль. Потому стараюсь не сердиться – если это возможно.
Привет маме, папе, Гоги с семьей и прочим.

Л.Цихистави

16/III/1952 ლ.ციხისთავი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნინა! ირაკლი!

მივიღე 8 მარტში გამოგზავნილი ღია ბარათი, ბევრი რამ გამახსენა ამ მოკლე წერილმა, მაგრამ ყველაფერი გაქრა ჩემთვის. ჟამთა ვითარებამ და ბედის უკუღმართობამ ისეთ ჯოჯოხეთში ჩამაგდო, რომ წარსულიც გამიმწარა და მომავლის შუქიც დამიხშო.

ადამიანზე საშინელი ცხოველი ძნელი წარმოსადგენია, რამდენი წამება შეუძლიან აიტანოს. მაშინაც კი როდესაც უბედურებისაგან თავის დახწევის რაიმე ოდნავად რეალური პერსპექტივაც კი არსაით მოსჩანს, – მაინც რაღაცას იმედოვნებს, რაღაცას გაურკვეველსა და ბუნდოვანს ელის ინსტიკტურად – შეუცნებლად.

ასეთია დღეს ჩემი და მრავალი ასიათასი და მილიონის – მონის ცხოვრება.

ძნელია თქვენთვის და მრავალი სხვისთვის წარმოდგენა იმისა რასაც განიცდის ადამიანი ათეული წლებით ჩავარდნილი ამ საშინელ ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში.

ხუთმეტი წელი სრულდება – თავისუფლებას მოკლებული ვარ – მაგრამ უბრალო სათქმელია – თავისუფლებას მოკლება – ამ ცნების გახსნა განმარტება მისი დამახასიათებელი ნიშნები აღწერა დღევანდელი დღის მიხედვით ტომების დაწერას მოითხოვს. ყოველ წუთს შებორკილი, შელანძღული, ყველას მიერ შეგინებული თუ შეუგინებლად მოძულებული, ტიტველი, მშიერი, მწყურვალი, გაყინული აი ჩემი ბედის ადამიანის მოკლე მკრთალი სურათი.

ეხლა ოდნავად მაინც წარმოიდგინეთ ასეთ ბედ ქვეშ მყოფი ერთად ერთ მანუგეშებელ საყვარელ ოჯახთანაც მოწყვეტა რის შედეგაც ცასა და მიწას შორის ჩამოკიდებული რჩება – დაუკვირდით და განსაჯეთ მართალი ხართ თუ სტყუიხართ. გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი თქვენი აზრები და საზოგადოებრივი სოფლმხედველობა სავსებით ემთხვევა მტანჯველთა აზრებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი

მახლობელი, ნათესავი – სისხლი და ხორცი რაღაც გამონაკლის შეადგენს ნებსით თუ უნებლიეთ, ფარულად თუ აშკარად ასე ყოფილა კაცობრიობის არსებობის მანძილზე ასეა დღეს და ასე იქნება, ძნელია ამ გრძნობის შეცვლა ადამიანთა მოდგმაში – ცხადია მხედველობაში არ მაქვს ცალკეული პირუტყვული გამონაკლისები.

თუ ასეა – რატომ წერილს არ მწერთ – შენ და ირაკლი მაინც, აღარაფერს ვამბობ დაზე და ძმაზე. რატომ არ მწერთ იმის შესახებ, რაც გამახარებს – ჩემს მდგომარეობაში მყოფს, რამდენჯერ გთხოვეთ დედის ამბავი, ირაკლის ცხოვრება, დაამთავრა, ან როგორ დაამთავრა, მუშაობს, ავარაა, თუ ადამიანი, ფუქსავატი თუ წესიერი ახალგაზრდა, ან შენ რას ან სად მუშაობ, ან ლეილას დაწვრილებითი ამბავი – მე მეტი არაფერიღა მაქვს და ნუ თუ არ შეგიძლიანთ თქვენთვის არაცუდ ადამიანს რამოდენიმე წლის წინათ – ახლა მონობაში მყოფს დაუკმაყოფილოდ ეს თხოვნა. სჩივიხართ უდროობაზე – გეთანხმებით დაუგდეთ ყური ჩემს დროს:

დილით ხუთის ნახევარზე წამოგვყრიან, შვიდის ნახევარზე ძაღლივით შემოღობილში ვდგევართ – ყინვა-წვიმა, ქარიშხალი – არაფერი გვაფერხებს – შვიდზე – რვის ნახევარზე მივდივართ ვაი ამ მსვლელობას აღწერა შეუძლებელია. ვმუშაობთ საღამოს 7 საათამდე – მერე ვიკრიბებით და დაახლოებით რვაზე ცხრის ნახევარზე ვბრუნდებით, გვიმასპინძლდებიან სალაფავით ათზე გვკეტენ დილამდე.

იფიქრეთ მაქვს დრო, ალბათ არა, თუ მიუმატებთ, რომ დაწერაც ფარულად გამოგზავნაც და სხვა.

მაინც ვცდილობ, მაინც ვახერხებ.

მაშასადამე გულგრილობაა დამნაშავე რაზედაც მაინცა და მაინც ვერ გაგამტყუნებთ – ბუნებრივია.

მაინც გაწუხებთ და გთხოვთ, რადგან მეტ ვერავის მივმართავ ახლა თქვენ იცით უკიდურეს შემთხვევაში მოაწერეთ სხვა სახელი, გვარი და სხვა.

[illegible]

[illegible]

5 IV 52

[illegible]

არავის მოკითხვას არ ვწერ, მომიკითხეთ მხოლოდ მოხუცები, დედა, მამა, როგორ არიან მომწერეთ.
ამანათებს ვღებულობ ბევრი მადლობა მოგწერეთ, ბევრსაც მეხმარება კიდევ მადლობელი ვარ – მაგრამ იტყვიან ხალხში „თუ მადლს შვრები საფანელიც მოაყარეო“.
ჯანმრთელობას იკითხავ – თითქოს არაფერი მტკივა მაგრამ ძალიან გამხდარი ვარ, მეტად ნერვიული. ვცდილობ სიწყნარეს სულ ერთია ფიქრიც კი მოქმედებს. უძილობა შემეჩვია. სისხლოვან სიწითლეზე გწერდი – ცინგის ნიშნებს, ხანდახან სასაშიაც გამიჩნდა ბურთულა გასკდა სისხლი გამოვიდა – თუ მოევლება რამე გამომიგზავნე. ვიტამინები მივიღე. სხვა რა მოგწერო იყავით კარგათ ბედნიერად. როცა მოახერხოთ ერთი უბრალო პირსახოცი და ორიოდე თალხი ცხვირსახოცი გამომიგზავნეთ, თეთრი მალე ისვრება და გარეცხვაც არ შველის უბრალო ფანქრები და ღია ბარათები. გარდა ამისა თუ მეტად არ დაგამძიმებთ ერთად გადაიღეთ სურათი შენ და ირაკლიმ ფეხდგომელა და გამომიგზავნეთ
ცოტცოტა თამბაქო. ფული კიდევ მაქვს პირად ანგარიშზე 60 მან. მაგრამ აქ შემოაქვთ მეტად ძვირი პროდუქტები თამბაქოც ძვირი ალბათ განგებ ისევე პურსა და ცხიმს ვყიდულობ როცა არის თვეში ერთხელ.

იყავით კარგათ გაკოცებთ ბევრს
არაფერი გეწყინოთ, როცა ვწერ და ვფიქრობ
მეტად ცუდათ მოქმედებს და ვნერვიულობ
დღეს დასვენება გვაქვს მე 15 დღეს ხშირად
მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ ვისვენებთ.

6 IV 52 წ. ლ.ციხისთავი

ნინა! შვილო ირაკლი!
რამოდენიმე დღის შემდეგ, 19 მაისს 24 წელი უსრულდება ირაკლის, ალბათ ამ დროისათვის ინსტიტუტსაც დაამთავრებს. ეს მეტად ბრწყინვალე და შესანიშნავი თარიღია ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებაში. აქედან იწყება გარდატეხა მის ცხოვრებაში. ეს მომენტი ამდენათვე და უფრო მეტად სასიხარულო და საამაყოა მშობლისათვის. საკუთარი ნაყოფის ორსავე ფეხზე დადგომა, დამოუკიდებელი ცხოვრების გზით სვლის მომენტია – ამიტომ განსაკუთრებით აღინიშნება ხოლმე თუ კი ოჯახს რაიმე განსაკუთრებული მდგომარეობა არ შეხვდა, თუ კი რაიმე უბედურება არ შეემთხვა.
თქვენი მდგომარეობა ამ მხრივ უდაოდ ნაკლოვანია მაგრამ რამდენიც ამ ბედის უკუღმა ტრიალით გამოწვეულმა ნაკლმა, მამის მოცილებამ დიდი არაფერი ავნო ოჯახის აღმავალი გზით სვლას დედის სიმამაცისა და გულმოდგინების მეოხებით, ამიტომ გთხოვთ, მიეცით თავი სრულ მხიარულებას ამ დღის აღსანიშნავათ, ერთხელ კიდევ ნუ აგრძნობინებთ ირაკლის უმამობას. მე კი აქედან ამ შორეული ჯოჯოხეთიდან მოგილოცავთ მამობრივი სიყვარულით და გისურვებთ შემდგომშიაც ბედნიერათ და გამარჯვებით განგეგრძოთ ცხოვრება. ეგებ ადრე თუ გვიან მეღირსოს თქვენი ნახვა – უკვე სრულყოფილ, დამკვიდრებული ოჯახის – რომელსაც ხელმძღვანელობდეს და ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენდეს ირაკლი.
ასე ჩემო ნინა, იყავით კარგად, ბედნიერად, სწიეთ კიდევ ჭაპანი უჩემოთ – ახლა უკვე სრულფასოვანი და სრულყოფილი თანაშემწით ირაკლისთან ერთად.
მოკითხვა ყველას ვინც მკითხულობს და ვისაც არ ეწყინება ჩემი მოკითხვა.
ორი ამანათი მივიღე ამ ორი დღის წინ. გთხოვდით ცხვირსახოცს, რაიმე წიგნს ისტორიიდან – თუ მოახერხოთ გამომიგზავნეთ. გარდა ამისა, ნინა! ვფიქრობ ურჩიე ირაკლის

[illegible]
[illegible]
[illegible].
[illegible]
[illegible].
[illegible].
[illegible]
[illegible]
[illegible].

[illegible]

14 V 52 წ.

ოჯახს მოეკიდოს – ცოლი ითხოვოს, ავად თუ კარგათ მოახერხებს ცხოვრებას – უამისოდ კი შეიძლება ფუქსავატ ცხოვრებაში გაებას.

იყავით კარგათ ლ.ციხისთავი
14/V/1952 წ.

[illegible]!

[illegible]

გთხოვ ძალიან [illegible]

გთხოვ ძალიან [illegible]

გთხოვ ძალიან [illegible]

[illegible] „Наука и жизнь" [illegible] Всесоюзн. общ. науч. знан. [illegible]

ნინა!

მივიღე ღია ბარათი და ამანათი ჟურნალებით. ღია ბარათში მწერდით, რომ დაწვრილებითი წერილი გამოგიგზავნეო და მთხოვ პასუხს, სამწუხაროდ ეს წერილი არ მიმიღია, ალბათ ვერც მივიღებ, რადგან გამსინჯავი ერთია მთელ ხალხზე და ეზარება დიდი წერილები თუ რა მიზეზია – ვერ ღებულობენ. მე გთხოვდი გამოგეგზავნა პასტა კბილის ან ბანკა მურაბაში უფრო კარგია.

გარდა ამისა მწერდი ფულის გადმორიცხვის შესახებ, თუ არ გადმოგირიცხავს თავი შეიკავე, რადგან აქ ახალი წესია – შეიძლება ამანათში ხუთი-რვა თუმანი ხელზე იძლევიან და დუქანიც როცა არის ფულზე ყიდის.

რამოდენიმე წერილი გამოგიგზავნე, მიიღე თუ არა არ ვიცი. ბევრს გთხოვდი მოგეწერა ირაკლის შესახებ, როგორ მიდის მისი საქმე. რას ფიქრობს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ. ჯარში წაიყვანენ თუ სამუშაოთ მოეწყობა. ყველაფერი ეს მეტად მაინტერესებს. გარდა ამისა, დამთავრების შემდეგ გადაიღოს სურათი და გამომიგზავნე, თუმცა ხელზე არ იძლევიან მაგრამ ამანათის გახსნისას მაინც მაჩვენებენ. ერთი სიტყვით ყველაფერი მომწერე.

გარდა ამისა, გთხოვ, სადაც ეს ჟურნალები გიშოვია სხვებიც უნდა იყოს იქ: «наука и жизнь», «Вестник Акад. Наук СССР», და სხვები, შედარებით ახალი ნომრები და ძველებიდან ჩემთვის საინტერესო გამომიგზავნე.

მოკითხვა ყველას.

მე ძველებურად ვცხოვრობ, მისაყვედურებ მოკლე წერილზე ამანათის მიღების შესახებ – მეტის დაწერა არ შეიძლება.

ამასაც ვწერ მოდის თუ არა არ ვიცი. თუ მიიღებ ეგებ ამით მაცნობო, რომ ორი სამი მოთალხო ცხვირსახოცი, ერთი წყვილი უბრალო საზაფხულო ნასკი და კბილის პასტა გამომიგზავნო. კიდევ მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

[illegible]

[illegible]

[illegible]

31 V - 52 წ.

[illegible]

კიდევ ირაკლის ამბავი, ვგრძნობ და ვხვდები, თვითონ არ შეუძლია, რა ვუყო, დროა ასეთი.

იყავით კარგათ, ბედნიერათ.
მისამართი ძველი.

31/V/1952 წ. ლ.ციხისთავი

ნინა! ჩემო ძვირო

მივიღე ამანათი და ყველა დეპეშა 16 [illegible]
ჩურჩხელა, თაფლი, [illegible] და სხვა.
ყველაფერმა დიდი [illegible], განსაკუთრებით
[illegible]

[illegible]

ნინა! შვილო ირაკლი!

მივიღე ამანათი და წერილი დაწერილი 18/X – შაქარი, პასტა, ნიორი, ცხვირსახოცი და სხვა. ყველაფერზედ დიდი მადლობა, განსაკუთრებით კი წერილზე, რადგან დიდი ხანია არ მწერდით და ვწუხდი, ახლა დაახლოებით მაინც ვიცი თქვენი მდგომარეობა.

ჩემს ამბავს იკითხავთ, მე თითქოს არამიჭირს რა ჯერჯერობით კარგათ ვარ, ალბათ შევეგუე მრავალი წლის მანძილზე ამ მეტად თავისებურ არასანატრელ ცხოვრებას და არაფერი არ მოქმედებს ჩემზე. სხვა მდგომარეობაში, ორი სამი დღით ასეთი პირობები, რაც უნდა მძლე კაცი ყოფილიყო, შეატყობინებდა. მე თითქოს არაფერი, თითქოს ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ამბავი იყოს ჩემთვის. ვმუშაობ, რადგან უმუშევრად ყოფნა არ შეიძლება. არავითარი ჩათვლა არა გვაქვს, რადგან ეს განსაკუთრებული ადგილია იშვიათი მხეცებისათვის – ასე სთვლიან და უყურებენ – ამიტომაა განსაკუთრებით მკვეთრი ცხოვრების პირობები. მაგრამ ადამიანიც განსაკუთრებული პირუტყვია და თავისივე მსგავის მიერ შექმნილ ყოველგვარ გაჭირვებას თავისებურად ეგუება, ზოგიერთ გამოსავალს პოულობს.

არავითარი განცხადება არ გასჭრის და არც ვფიქრობ ამის შესახებ, კანონით – თუ კი ჩემს მიმართ კიდევ არ შეიცვალა – ორმოცდა ხუთმეტი წლის მაისში უნდა მოვათაო. ასეთია ჩემი მდგომარეობა, რომელიც არ გავს თქვენს ახლო მცხოვრებ ჩემგვარების მდგომარეობას – ისინი ეგრეთწოდებულ საერთო მდგომარეობაში ითვლებიან, მე და აქ მყოფნი – განსაკუთრებულს, სპეციალურში.

ახლა ირაკლის შესახებ – ძალიან გამახარა, რომ კურსი დაუმთავრებია და კიდევ განაგრძობს უნივერსიტეტში, მაგრამ ვერაფერი ამბავია ჩრდილოეთ ოსეთში გაგზავნა. ამის შესახებ ცოტა ხნის წინათ მოგწერეთ. ყოველშემთხვევაში ეცადეთ ადგილზე მოწყობას, თუ არაფერი გამოვიდა – ული-


2 XI 52 წ.

ტერატუროდ არ გაუშვათ, ახალგაზრდა ექიმს დაუხმარებლად გაუძნელდება – დამხმარე მისთვის ფართო სამედიცინო ლიტერატურა უნდა იყოს.
ნინა! თუ კი დახმარებას პირდებიან ძალიან კარგია და უდაოთ დიდათ დასაფასებელი, მაგრამ მე ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ დახმარების გაწევისათვის ახალგაზრდა კაცი მათხოვრად და მახვეწარად აქციოს ვინმემ. თუ კი სურთ და შესაძლებლობა აქვთ, ისე უნდა მოეხმარონ, რომ მან დამცირება არ იგრძნოს. თუ არა და თუ აქამდე მივიდა, რომ ინსტიტუტი დაამთავრა – ახლა როგორმე გზას გაიკაფავს თუ უნარი აქვს და თუ კი უნარს მოკლებულია, არავითარი დახმარება არ უშველის, ასე მესმის მე ეს ამბავი.
მოხარული ვარ, რომ მოხუცები კარგათ არიან. მომიკითხე ყველანი. მათთან ერთად სალომე თავის ქალებით. სად ცხოვრობენ, როგორ არიან, ამისთანა ამბების მოწერა რატომ გეზარება. რას შვრება გოგია, როგორ ან სად ცხოვრობს. გადაეცი მოკითხვა ცოლშვილით.
გრიშა ტირის ალბათ ხვალინდელ თუ გუშინდელ დღეს ვერ გარკვეულა, რა ატირებს, ვინ რას ედავება ან რას სთხოვს, ალბათ მოთხლევდა – ყავარჯნებით ხომ არ დადის?
მე დარწმუნებული ვარ, რომ მას არავინ აწუხებს და მით უმეტეს თვითონ თავს არ შეიწუხებს. არ მინდა გავაგრძელო – რადგან მე მშვიდათ არ მაქვს ნერვები და ყველაფრის აქ ჩამოწერა რაც ყელზე მომადგა არ ივარგებს.
თუ გაუძელ ამ ქარიშხალს და შევხვდი, არ ეგონოს მოვებოდიშო, თუ არა და ძვლები ყარაგანდის უდაბნოს ქარიშხლით ჰაერში ატანილი ჩაუჭედავენ თავში ადამიანურ მოქმედების შეგნებას.

იყავით კარგად ლ.ციხისთავი

2/XI.1952 წ.



На днях получил посылку: сахар, фрукты, мыло и прочее. Посылки присылают по крайней мере 1–2 раза в месяц, но, конечно не знаю откуда и от кого [illegible], или вообще доходят ли [illegible]

[illegible]

6 XI 52 г.

Л. [illegible]

На днях получил посылку – сахар, фрукты, пасту и прочее. Письма присылаю, по крайней мере 1-2 раза в месяц, но, конечно не знаю попадают к вам или нет, или вообще доходят ли мои письма до почтового ящика. Вот на днях прислал письмо, но не зная попадет ли в почт. ящик пишу второе с тем, что одно из них да попадет в почтовый ящик а дпльше безусловно дойдет до вас.

Я живу по старому, работаю, ибо без работы нельзя жить, работаю на строительстве, не болею.

Волновался о вас, давно не писали, но теперь приблизительно знаю, что все здоровы. Рад, что Ираклий кончил курс учебы в институте, но не совсем хорошо, что его определили в Север. Осетию, ему там будет трудно, молодому врачу необходимо получить практику где нибудь в хорошей клинике, а в Сев. Осетии в каком нибудь заброшенном районе к чему он может научиться.

Привет всем родным старику и старушке, Гоги с мамой.

Привет и благодарность сестре и зятю.

А как брат мой родной живет и как его самочувствие, пусть меньше плачет, некого оплакивать, отец давно скончался, я пока здравствую и выгляжу не хуже чем лет 15 тому назад, а кроме того не особенно обижаюсь на свою судьбу, а если и беспокоюсь кое о чем, это обыкновенное явление для живого человека в большей или меньшей мере, для свободного и лишенного свободы.

Словом не беспокой его, не собираюсь беспокоить до самой смерти, и в этом последнем неминувшем для каждого – случае не побеспокою его – может быть спокойным.

Пишите по чаще.

Л. Цихистави

6 XI 1952 г.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნინა, ირაკლი!

ამ ერთ კვირაში მივიღე ორი ამანათი, ორთავეში ხორცი, კაკალი, პასტა და სხვა. ერთი დეკემბერშია გამოგზავნილი, მეორე იანვარში. მეტად შემაწუხა ირაკლის უმუშევრობამ, ნუთუ ამდენ ხანს ვერაფერი მოუხერხეთ, უკიდურეს შემთხვევაში წასულიყო თუ ორჯონიკიძეში არა ბათომში მაინც, უმუშევრობა არ ვარგა, ყველას თვალში ეჩხირება ერთი, და მეორე, საჭიროა პრაქტიკა. დიდხანს უმუშევრად გაჩერებას მოჰყვება დეკვალიფიკაცია. ეცადე, როგორმე დროზე მოაწყო, მაინცა და მაინც ნურავის იმედი ნუ გექნება, ახლა სხვა დროა და ხალხიც სხვაა.

დაიწყოს მუშაობა და თუ კი ეცდება თვითონ გაიკაფავს გზას და ეს უკეთესი იქნება, თუ კი ეძნელება მარტოს, შენ ხომ მოახერხებ ადგილის შოვნას, შენც წადი მასთან, რას უყურებთ თბილისში, კარგ ნათესავებს ალბათ. სადაც კარგათ და წესიერად იმუშავებთ, მოიხვეჭთ ავტორიტეტს, ნათესავებზე უკეთეს მეგობრებს გაიჩენთ. ჩემი რჩევაა თუკი დამიჯერებთ იმ შემთხვევაში, თუ მეტად გაძნელდა თბილისში მოწყობა, წადით სადაც გეტყვიან.

მეტად დამაღონა მოსეს ბაგრატისა და ვალოდიას დაღუპვამ. ბევრი სხვა დაიღუპა კარგი, მრავალი ლაზღანდარა გადარჩა და კაცებათ მოაქვთ თავი, თუმცა ვეტყვი აქედან, ადამიანები ისინი არასოდეს არ იქნებიან. სესილიას გადაეცით ულრმესი თანაგრძნობა, ასევე სალომეს.

ფული არ მჭირდება ჯერჯერობით, მანამდე არ მოგწეროთ, ნუ გამომიგზავნით. ჯერ კარგა ხანს მეყოფა. აქ ისე თავისუფლად ვერაფერს იყიდი. როცა შემოიტანენ ცოტა რამეს თავპირის მტვრევაა. ჯერჯერობით კარგათა ვარ, მხოლოდ ვღონდები, როცა იგვიანებს წერილი, ათასი ფიქრი მაწვება, ვნერვიულობ და ამ დროს რაღაც ცუდათ ვხდები. როცა მოახერხოთ სხვა -დასხვა ვიტამინები გამომიგზავნეთ – დარღვეულია «обмен веществ» და საჭიროა ვიტამინები, გარდა ამისა, ერთფეროვანი

[illegible]

[signature]

22 II 53 წ.

კვებისა და ალბათ ავის მიზეზითაც ცინგა მძვინვარებს. ასე სხვა რა მოგწეროთ, იყავით კარგათ.
წამალი მივიღე და გადავეცი ამხანაგს, მეტად გაუხარდა, აქ არ იშოვება, თუკი უშველა – ამდენ ხანს ცხვირი გვერდით ჩირქის ამოღების შემდეგ დარჩენილი ღრუ არ შეუხორცდა.
წინა წერილებში ირაკლის ვთხოვდი სურათს კურსის დამთავრებასთან დაკავშირებით, ალბათ დაეზარა გადაღება.
მოკითხვა ყველას, მოხუცებს და ყველას, ვისაც ვახსოვარ.

ლ.ციხისთავი

22/II/1953 წ.

[illegible]!

[illegible]

[illegible]

[illegible] 10.VI.53 წ.

ნინა!

დღეს მივიღე ამანათი. მისამართი ჩვენია, ხელს აწერს ოლა, ალბათ მისგან – დიდი მადლობა. ერთ კვირაზე მეტია სამუშაოზე არ დავდიოდი – კბილები მტკიოდა. გამიჩნდა ფლუსი. დღეს გაველ პირველად.
სხვამხრივ არა მიშავს კარგათ ვარ. თქვენ რასა იქთ როგორ ხართ, არაფერს მწერთ. როგორ ეწყობა ირაკლი ბათუმს – განმეორებით გთხოვთ გამომიგზავნოთ სურათი. ოლას გოგოები ალბათ დიდებია, ელისომ დაამთავრა თუ არა, მაინტერესებდა მანდაური ამბები, ერთი გაზეთი მოუვიდა აპრილის თვეში ერთ ერთ ქართველს ეწერა მრავალი ცვლილებები მთავრობის შესახებ. საინტერესოა საერთოდ ვინ გამოცვალეს – ამ გაზეთში მხოლოდ მდივნების შესახებ იყო. თუ მოახერხებ და არ დაგეზარება რამოდენიმე ძველი გაზეთი შეახვიე და ფოსტით "ბანდეროლი" გამომიგზავნე. ასე სხვა რა მოგწერო. კარგია, თუკი მომწერ ყველაფერს ვინ მოკვდა, ვინ დარჩა ნაცნობ ნათესავებიდან. მოკითხვა ყველას ოლას ოჯახით, გრიშას, გოგიას, მოხუცებს.

იყავით კარგათ ლ.ციხისთავი.
10/VI/1953 წ.

ნინო.

[illegible]

[illegible]

ნინა!
მივიღე წერილი და ამანათი. ყველაფერზე დიდი მადლობა. წერილს ხშირად მეტად გვიან ვღებულობ, ალბათ გეზარებათ ყველას. ირაკლი სულ არაფერს მწერს, ეზარება თუ ეშინიან, არ ვიცი.
როცა მწერ, მომწერე ყოველთვის პირველ რიგში ირაკლის ამბავი, როგორ მოეწყო, როგორ მისდის საქმე, ეწყობა თუ არა სამუშაოს, ადგილს, სადაც ცხოვრობს, ისევ ბათომშია თუ სხვაგან და სხვა.
ყოველთვის ამას გთხოვ, და მგონი დიდ საქმეს არ წარმოადგენს ამის შესრულება. მე დარწმუნებული ვარ შენ ალბათ წერილის გარდა გაიბილიკე ბათუმში მის სანახავად, მე კი მეთვრამეტე წელია არ მინახია და თითქმის სახეც დამავიწყდა, ბავშვი იყო, ახლა უკვე ვაჟკაცია, რატომ არ უნდა მაცნობოთ წერილით მაინც მისი ამბავი. ბევრს გწერდი სურათზე, წელიწადში ერთხელ მაინც, ამასაც ვერ მივაღწიე და გავჩუმდი. რომ ვიყვირო ვინ გამიგებს, მაგარი კედლები აქვს ჩემს საბყრობილეს.
ახლა ჩემი ამბის შესახებ, გწერ უცბათ, უფრო დაწვრილებით ამ დღეებში მოგწერ თუ მოვახერხე. ბერიას ამბავი არაფრის მომასწავებელი არ არის ქვეყნის შიგნით მეტადრე დანაშაულით თუ უდანაშაულოდ დასჯილთათვის. მისი ამბავი მხოლოდ მაღალი ფენების ურთიერთშორის ჭიდილის ამბავია პირველობისთვის, ვინც ძლიერი გამოდგა მან გაიმარჯვა – სხვა ყველაფერი რასაც ერთად ყოფნისას აკეთებდნენ უცვლელად რჩება, არავინ მათგანი არ შესცვლის, რადგან ეს იქნებოდა იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც ზიან.
საჩივარი დარჩენილთ ასიამოვნებთ მხოლოდ ისეთი, რომელიც საშუალებას მისცემთ ბერიას პიროვნება კიდევ მეტად შელანძღონ, რათა ამითი თავისი ავტორიტეტი აიმაღლონ. ფიქრობენ რა, რომ მოქალაქენი დარქიანებულნი არიან და არაფერი ესმით მათი სულელურ ეშმაკური მოქმედებისა.

[illegible]

ამიტომ არ ვთვლი საჭიროდ არავითარ საჩივარს, არაფერი მაქვს სათხოვარი და მოსანანიებელი, ჩვიდმეტი წლის სრული მონობის, ყოველმხრივი დამცირების შემდეგ მახრჩობელას შვებას არ ვთხოვ.
შესაძლებელია სხვა პირობებში შეხვედრა და სხვაგვარი «თხოვნის» წაყენება, იმედია ადამიანის მაცოცხლებელი და გონებით ჯანსაღს არასოდეს არ სტოვებს იმედი, თუ კი ჯანსაღი თვალით უყურებს აწმყოს და ოდნავად ერკვევა მომავლის პერსპექტივებში.
ასე, ნინა! ჯერჯერობით ასეთ აზრს ვადგევარ, მერე ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში მონა ვარ მაგრამ მონათმფლობელებს ვერ და არავითარ შემთხვევაში არ მოვუხრი ქედს.
იყავით კარგათ, გთხოვეთ მაისის თვის გაზეთები, არც ის გამოგზავნეთ. ვიფიქრო არა გაქვთ, არ შემიძლია, ალბათ დაგავიწყდათ. ამდენი ოჯახია, ყველა თითქოს განათლებული, ახალ წიგნს არ იფიქრებთ ჩასდოთ ამანათში, ეგებ გგონიათ წერა-კითხვას მივანებე თავი.

მოკითხვა მოხუცებს და ყველას, ვინც მკითხულობს.

11/VIII/1953 წ. ლ.ციხისთავი

[illegible]!

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]!

ნინა!

მივიღე ღია ბარათი 30/VIII გამოგზავნილი, რაშია საქმე, რატომ წერილები არ მოდის. ამანათების შესახებ მწერ, ორთავე მივიღე და მაშინვე გამოვგზავნე წერილები. მართალია ხშირად ვერ გწერ, პირველად ყოვლისა იმიტომ, რომ ძნელია გამოგზავნა, მეორე რა მოგწეროთ, ჩემი ცხოვრება მეტად ერთფეროვანია, ყოველგვარ შთაბეჭდილებების გარეშე. დილით სამუშაოზე, საღამოს უკან, წინ უკან, გვერდებიდან ხიშტები, ხელები უკან, თავზე, ზურგზე, წინ უშველებელი ნომრები.

მაგრამ ერთი მაკვირვებს, რატომ ასე იშვიათად მწერ, სხვა არავინ მწერს, ალბათ ეშინიათ, შენც ასე იშვიათად, ისიც მოკლე წერილს. ნუ თუ დიდი დროა საჭირო ცოტა ვრცლად დასწერო, მაცნობო ამბავი შინაურების. ირაკლის შესახებ სრულიად არაფერს მწერ, მეტად ვწუხვარ, როგორ არის, როგორ მოეწყო სამუშაოზე, ნუ თუ ხანდახან მაინც არ მიგონებს, რომ ერთ სიტყვას არ მწერთ, დაუშვათ მას უძნელდება ან რაიმე მიზეზით არ მწერს, შენ ხომ შეგიძლიან. აქ ყველას მოსდით შვილებისაგან, ნათესავებისაგან წერილებიც სურათებიც, მე კი ამდენი ხანია გწერ და ერთი სურათი ვერ გამომიგზავნე. წელიწადში ერთხელ სურათის გამოგზავნა ძნელი არ უნდა იყოს.

ყველას მადლობა, განსაკუთრებით კი ოლას, ეტყობა ყველაზე მეტს ცდილობს ჩემთვის. რას შვრება გრიშა, მთლად ჩაიფსა, წერილის მოწერაც შეწყვიტა უკვე მეოთხე წელია.

მე ჯანმრთელობის მხრივ არაფერი მიჭირს. ყელი ხან მტკივა ხან არა. აქაურ კვების პირობებში საჭიროა ვიტამინები. აქ ბევრი ღებულობს სხვადასხვა სახის ქიმიურ ვიტამინებს, თუ მოსახერხებელია ხანდახან გამომიგზავნე. ყველაფრით კარგათ ვარ. მხოლოდ ცუდ ამინდში ხელ ფეხი მაწუხებს. გარდა ამისა, რატომღაც კანი ხელებზე მეტად სუსტია, უბრალო შეხება რაიმეზე ტყავს მაცლის და გვიან რჩება – რის გამოა ეს არ ვიცი.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]

12/I-53 წ.

მოკითხვა ყველას, მოხუცებს, ოლას, სხვებს.
ნუ დაიზარებთ ხანდახან ახალი გაზეთი, ჟურნალი ან წიგნი გამომიგზავნოთ. შეიძლება ბანდეროლითაც.
იყავით კარგათ ლ.ციხისთავი

12/IX/1953 წ.

Получил письмо от 13.I.53 г., которое очень удивило
меня, потому не могу понять не доходят мои письма.
Может быть тем вредит кто-нибудь, письма посы-
лаю ежемесячно, одно как правило, а порой
и второе. В чем же дело? Недавно писал
и товарищам, видимо и они не получили.
К сожалению и адресов что не знаю. Я бы
написал кому-нибудь но дальше может быть
получили бы.
Сюда доходят все письма и посылки,
получаю своевременно без опозданий.
Жалею, что опять ничего не пишешь
про сына. Как он устроился, как работает
каковы успехи и учеба, адреса его более
не знаю, сам живу в полной неизвестности.
Прошу иногда и присылай последних новых
книг и журналов.
Недавно читал в лит. газете доклад
Чиковадзе, какое молодое поколение
в руках этих литераторов, про которых говорит
докладчик. Где [illegible] занимается,
работает ли на старом месте или заменили
кретином под фамилией, как всех пишущих,—
читал в газете.
Пока пока я вдали друзей, [illegible]
чем когда-нибудь возвращаюсь к любимому творчеству
всем что происходит в стране, интересуюсь, обидно,
что никогда ничего не присылаешь мне
новых изданий, ни одного журнала, ни
газету. Привет всем

29.I.53 г.

[illegible]

Получил письмо от 13/IX/53 г., которое очень удивило меня, понять не могу, почему не доходят мои письма. Может быть там вредит кто-нибудь, письма посылаю ежемесячно, одно как правило, а порой и второе. В чем же дело? Недавно писал и старикам, видимо и они не получили. К сожалению и адреса то не знаю, я бы написал кому-нибудь подальше, может быть получили бы.

Сюда доходят все письма и посылки, получаю своевременно без опоздания. Жалею, что опять ничего не пишешь про сына, как обустроился, как работает, какие успехи и прочее, адреса его тоже не знаю, вновь живу в полной изоляции. Просил иногда присылать кое какие-нибудь книги и материалы.

Недавно читал в грузинской газете доклад Чхиквишвили, жаль молодое поколение в руках этих “профессоров” про которых говорит докладчик. Где Нико, чем занимается, работает или заменили кретином – что должно как видим исполниться – читал в газете.

Нина, пока я вполне здоров, неважно здоровье. Чем когда-нибудь в прошлом интересуюсь всем, что происходит в стране, повторяю, обидно, что никогда никто не пришлет мне новых изданий, ни единого журнала, или газету. Привет всем.

29/IX/1953 г. Л.Цихистави

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

მივიღე საახალწლო ბარათი, მეტად გამახარა, კარგა ხანია არ მიმიღია წერილი. რატომ გიძნელდება წერილის მოწერა არ ვიცი.
გილოცავთ ახალ წელს, თქვენ მაინც იყავით ბედნიერად და უვნებლად. მოკითხვა და მილოცვა ყველა ჩვენს მახლობლებს. ნუ ივიწყებენ "შიში არ იხსნის სიკვდილსა" წელიწადში ერთხელ მაინც ორი სიტყვის მოწერა არაფერს ავნებთ:
მე ჯერჯერობით კარგათ ვარ – ვმაგრობ რაც შეიძლება ვმოძრაობ. ერთი ეს მჭირს, რომ როცა იგვიანებს წერილი საშინელი სევდა მაწვება და არავის ხმას არ ვცემ, დღეობით ორ სიტყვას არ ამოუშვებ, გულს მიღრღნის საშინელი ფიქრები. ყოველთვის არეულია ცხოვრება სიწყნარე და მშვიდობა შედარებითი მაინც არ ეღირსა ხალხს და უწერილობა ყოველთვის ამაზე მაფიქრებს. მე ბავშვობიდანვე ასეთი ხასიათი დამყვა, თითქოს მე ყველაფერს გაუძლებ და უძლებ კიდეც, ხოლო ჩემი მახლობლის უსიამოვნება – უბედურება, საშინლად მოქმედებს ჩემზე – ამიტომაა, რომ თქვენი ამბის კარგათ ყოფნის უცოდინრობა ჩემს გაჭირვებათა შორის ყველაზე მეტად მოქმედებს. ამიტომ კიდევ გთხოვთ, ორივეს, შენ და ირაკლის, როგორმე სძლიოთ სიზარმაცე.
წერილი გუშინ მივიღე – ამანათი ჯერ არ მიმიღია, მაგრამ თუ სურათი არ არის ამანათში ყველაფერი შხამი იქნება ჩემთვის – ეს იცოდეთ და თუ ასეა ახლო მომავალში გამოასწორეთ, სურათი წერილშიაც შეიძლება.
ნინა! ახლა ზოგი რამ ირაკლის შესახებ, არ ცდილობ თუ ძნელია მისი თბილისში გადმოყვანა ეს ერთი, მეორე, უკვე 26 წელი უსრულდება, რატომ არ ფიქრობ, არ აწუხებ ოჯახის შესახებ. მარტოხელა ცხოვრება ამ დროში ახალგაზრდა კაცს არასასიამოვნო და არასასარგებლო საქმეზე ადვილად იზიდავს. საჭიროა მე მგონი უკვე იფიქროს და გადაწყვიტოს მოეკიდოს ოჯახს – ნუთუ ამდენ ხანს ვერ გამონახა შესაფერი. მაშინ არ ვარგებულა – ასე უთხარ ჩემს მაგიერ. თუ ყავს

[illegible]

12/5/50

მხედველობაში, რატომ არ გამაცნო, ნუთუ ეს სიხარული გშურთ ჩემთვის?
მომწერე ყველაფერი. გაზეთი შენ გამომიწერე ალბათ, ორი თვეა ვღებულობ "კომუნისტს" ახალი წლიდანაც მივიღებ თუ არა?
სად არის ნიკო, ხომ მუშაობს, მწერდი მიშას შესახებ. გაზეთში არაფერია – ერთი სიტყვით, მომწერე ყველაფერი. რას შვრებიან ოლას გოგოები, ან შალიკო, დაამთავრეს თუ არა სწავლა.
მოკითხვა ოლას ოჯახით, მოხუცებს, გოგიას ოჯახით, გრიშას ოჯახით. იყავით კარგათ.

ლ.ციხისთავი

12/I/1954 წ.

[illegible] 1955 [illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 58 [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 3.20 [illegible]
[illegible] 18 [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 53 [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

მივიღე წერილი, გიპასუხებ ყველა კითხვებზე; ვადა მიმთავრდება 1955 წ. მაისის დასაწყისში; ისე რომ დამრჩა თოთხმეტი თვე დღეიდან. ვადის დამთავრების შემდეგ ხმის უფლების აყრა არა მაქვს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თბილისში მომცემენ ცხოვრების უფლებას.
ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოთ, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რომ ჩვენში არსებულ რეჟიმის პირობებში ერთხელ დასჯილ – სამართლიანათ თუ უსამართლოდ – ადამიანისათვის ადამიანურ უფლებებში აღდგენა შეუძლებელია. ასი წელი რომ ვიცოცხლო დღეიდან, ათასი საგმირო საქმე რომ გავაკეთო არსებული რეჟიმის სასარგებლოდ, მაინც ყოველთვის საეჭვო, არასანდო და არასრულუფლებიანი ვიქნები მათ თვალში. აი ამიტომ ვადის დამთავრების შემდეგ 58 მუხლის ხალხს აქედან – ამ ჩვენი ეგრეთწოდებული «სპეცლაგერიდან» აგზავნიან მოუსავალში. აქამდე მიდიან ენისეის ქვედა დინების ნაპირებზე. ახლა – სულ ერთი წელია – ყაზახსტანში. ან ადგილობრივ კარაგანდაში და მის რაიონებში, ანდა მოსამზღვარე ოლქებში.
ამგვარად მეც, როგორც დამსახურებული მოღვაწე მე-20 საუკ. მონათა ლაგერებისა – უკვე 18 წელია გაუხსნელად მონურ შრომას ვეწევი – ასეთსავე ბედს მოველი თუ მშვიდობა იქნა და ჯანმრთელობა შერჩა ხელისუფალს ჩემი ვადის დამთავრებამდე.
არა ერთხელ გწერდით და გთხოვდით ამ საკითხებზე ნუ იფიქრებთ. უკვე საკმაო დრო გავიდა, ცხოვრება უჩემოთააწყე, შვილი გამიზარდე, მე არ მომაკელ მზრუნველობა, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა ჩვენს დროში – ერთი სიტყვით საკმაო სიგმირე გამოიჩინე, რაზედაც შემიძლია მხოლოდ შორიდან მადლობით განვსაზღვრო ჩემი გრძნობა ჩემ დაუფასებელი ოჯახისადმი, სხვა საშუალებას მოკლებული ვარ.
მეტად დამაფიქრა ერთმა საკითხმა, სახელდობრ რა ოჯახური საკითხები გაქვთ, რა შემიძლია გიშველოთ გარდა რჩევისა.

რა დაემართა სახლს, ეგებ გართმევენ ან რაშია საქმე. გთხოვ, მომწერო დაწვრილებით. ეგებ ახლო ხანში პატარა ამანათი გამოგზავნო. დიდი ხანია პასტა არა მაქვს და ამასთან დაწვრილებით მომწერო ყველაფერი.
ახლა მთავარი საკითხის ირგვლივ; ამ საკითხის შესახებ ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინ მწერდი და გიპასუხე, რომ ბერიას «გამომჟღავნებით» და დაპატიმრებით არაფერი არ ეშველება არც ჩემს და არც სხვის საქმესთქო. ასეთი აზრის ვარ დღესაც. თუ ვინმემ სხვაგვარად გირჩია, ალბათ თვალები დახუჭული აქვს მრჩეველს და აზროვნება მეტად განსაზღვრული ან შებორკილი.
ბერიას მიერ გაკეთებული საქმე საკმაოდ გრძელ მანძილზე მთავარი საფუძველია, რომელზედაც თავმომწონედ სხედან და მტკიცედ გრძნობენ თავს ყველანი, ვინც ბერია მოღალატედ გამოაცხადა და მოკლა. ყველა მის მიერ დაჭერილი ხალხი რომ გაუშვან უსაქმოდ დარჩებიან და საფუძველიც გამოეცლებათ – მათ მისი მოცილება უნდოდათ თავიდან და არა შეცვლა იმ პოლიტიკის, რომელსაც ის აწარმოებდა. განა მთლიანად და შეუჩვლელად არ გრძელდება ის, რაც იყო მის სიცოცხლეში მისი მოკვლის შემდეგ? თქვენ თუ ვერ გრძნობთ, ჩემთვის და ჩემთან ერთად ჩემ ბედში მყოფ მრავალი მილიონისთვის ეს ყველაფერი ცხადზე უცხადესია.
რას უშველის საქმეს ის გარემოება, რომ ოდესღაც თავის მოხსენებაში მაკრიტიკებდა მე და მრავალ სხვას – ეს არაფერი საბუთია. ამ ნიადაგზე აგორებული საჩივარი იქნება მხოლოდ ზესტაფონური კინკლაობა, კლაუზა, მეტად უსაფუძვლო, მეტად უკადრისი ადამიანისათვის, რომელცას სავსებით არ დაუკარგავს ადამიანური გრძნობა, საზოგადოებრივი შეგნება, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით არ დაცემულა მორალურად.
ანდა ვინ მიაქცევს შენს საჩივარს ყურადღებას გინდაც რომ მცირეოდენი საფუძველი ჰქონდეს, განა ამისთვის გაიცხელებს ვინმე თავს ანდა რა საფუძველი აქვს ვისმე ამისთვის,

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[signature]

11 III-[illegible]

P.S. [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[signature]

განა ბერია დაისაჯა შინსახკომის საქმეების არასწორად წარმოებისათვის? ერთი სიტყვით ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთ საჩივარს არაფერი შედეგი არ მოყვება და უკეთესია სინდისის ქენჯნა არ განიცადო.
თქვენ ალბათ ვერ გრძნობთ ან არ გინდათ იგრძნოთ, მაგრამ ბევრი რამ ბევრი რამ სხვა ელფერს ღებულობს ერთის სიკვდილისა და მეორის მოკვლის შემდეგ. არც მათი სიცოცხლე ძენდა დიდ რამეს საქართველოს, მაგრამ მათ შემდეგ მოსალოდნელია მთლად გასრესა, წაშლა, გადაგვარება – ე.ი. მათ დაწყებულ საქმეს თამამად განაგრძობენ – მოურიდებლად. ამიტომ არ მინდა არაფერი მათგან.
მპირდებოდი გაზეთებს – არაფერს არ ვღებულობ, კარგი იყო ქართული გაზეთი, რუსული აქ მოსდით და მეც ვსარგებლობ ამხანაგებისაგან. ქართული კი არავის არა აქვს. ყველაფერი ნელ ნელა ქრება მეხსიერებიდან – მგონი წესიერი ენაც დამავიწყდეს ამ ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში მეხუთედი საუ-კუნის მანძილზე.
ძალიან გთხოვ, მომწერო ყველაფერი დაწვრილებით, მეტად გიჭირს წერილის წერა თვეში ერთხელ მეტს არ გთხოვ. სხვაც არავინ მწერს, ხანდაზმულობამ თავისი გააკეთა. უკვე ყველას დავავიწყდი, მათ შორის «უფალსაც», არ მღებულობს დასაწვავი.
მე მაინც იმედს არ ვიტეხ, რომ ოდესმე გნახოთ. ეგებ ძალიან კარგათაც, ჯერჯერობით ჯანმრთელი ვარ, თუ სხვა რაიმე არ დამმართა ბედმა ჯანმრთელობამ შეიძლება გამაძლებინოს თქვენს ყველას ნახვამდე.

მოკითხვა ყველას, ვისაც არ ეწყინება და არ შეეშინდება ჩემგან შემოთვლილი მოკითხვა.

ლ.ციხისთავი
11/II/1954 წელი

11 III-[illegible]

[illegible]

P.S. [illegible]

[illegible]

*P.S.* გთხოვ, პასტასთან ერთად კარგი ხარისხის კბილის ჩოთქიც გამოაყოლო, თუმცა ცოტა დამრჩა კბილები, მაინც მოვლა უნდა. თანაც მომწერე სახლისა და ირაკლის-ლეილას ცხოვრება და საქმიანობა.

ლ.ციხისთავი

ნანა!

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 5.4.56.

ნინა!

მივიღე ამანათი მურაბა, ქონი და სხვა. ყველაფერზე დიდი მადლობა. წერილი დიდი ხანია არ მიმიღია, უკანასკნელ წერილში მწერდი ბევრი რამ მოსაწერი მაქვსო – ოჯახის ამბები, დღემდე არაფერს მწერ. მაშინ მე გიპასუხე გწერდი პასტა გამომიგზავნეთქო. ვფიქრობდი დაწვრილებით მაცნობებდი ყველაფერს, მაგრამ არც პასტა და არც არაფერი ამბავი. მომწერე ყველაფერი.

აქ ჩვენთან ზოგიერთი ცვლილებები გაატარეს ჩვენი ყოფის გაუმჯობესების ხაზით, მოგვხსნეს ნომრები, ღამე კარს არ გვიკეტავენ. დაგვპირდნენ ბევრს, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს. ამ მოკლე ხანში ყველაფერს გვეტყვიან თუ მშვიდობა იქნა – ერთი სიტყვით ეს ლაგერი აქამდე ითვლებოდა სპეც-ლაგერათ ახლა საერთო პირობებს ქმნიან როგორც სხვა ჩვეულებრივ ლაგერებში.

თვეში ორი წერილის უფლება გვაქვს. გამოგვიცხადეს ნახვის ნებართვა სამი საათიდან შვიდ დღემდე. ერთი სიტყვით ყველაფერს მალე გაცნობებთ როგორც კი დამკვიდრდება ახალი წესი.

ახლა! რატომ ირაკლის სურათს არ მიგზავნი ამდენი ხანია გთხოვ გადაიღეთ ერთად და გამომიგზავნე.

მე ჯერჯერობით კარგათა ვარ. როგორ არიან მოხუცები ან სხვა ნათესავ ნაცნობნი. მოკითხვა ყველას.

ლ. ციხისთავი. 5/V/1954 წ.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] [signature]

[illegible]

გუშინ მივიღე ღია ბარათი, იწერები ბინის შესახებ, მაგრამ ვერაფერი გავიგე, დანგრევას აპირებენ საერთოდ თუ მარტო ჩვენი სახლი ხვდება. მომწერე ყველაფერი დაწვრილებით პასტით. გარდა ამისა მწერ რომ ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყავხართ, რა არის მიზეზი, გთხოვ ყველაფერი მომწერო. დღეს ღია ბარათი გამოვგზავნე ლაგერიდან, ახლა ორი წერილის ნება გვაქვს თვეში. გთხოვ ირაკლის ამბებიც მომწერო სრულიად არაფერი ვიცი. უკვე ოცდაექვსი წელი შეუსრულდა და რატომ ოჯახზე არ ფიქრობს, როდემდე უნდა იაროს ასე. ეგებ მატერიალურად ცუდათ არის მოწყობილი. მომწერე ყველაფერი. მე თერთმეტი თვე დამრჩა, შემდეგ რა მელის არ ვიცი, ეგებ ჩამოვიდე სახლში. ბევრი რამის მოწერა მინდოდა, მაგრამ დავანებე თავი, თუ მეღირსა ჩამოსვლა, მაშინ გავიგებთ ყველაფერს.
ახლა რა მოგწერო მეტი, მოკითხვა ყველას

ლ.ციხისთავი

4/VI/1954 წ.

ნანა!

[illegible]

ნინა!

მივიღე შენი წერილი 10/V დაწერილი. ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ვერაფერი კარგია, რომ ასე ახლოს დაუნგრევიათ სახლები. ვნახოთ, თუ დარჩით ადგილზე კარგი და თუ არა და სადღაც მოგცემენ ბინას – ცის ქვეშ ხომ არ დაგტოვებენ. სხვა როგორ ცხოვრობთ, სად მუშაობ, როგორია ცხოვრების პირობები – მომწერე ყველაფერი.

არა ვარ თანახმა შენი მოტივების ირაკლის შესახებ – დღევანდელ პირობებში ოჯახის მთელი შემადგენლობა მუშაობს და ასე ირჩენს თავს, ისე რომ 600 მან არ არის საბუთი მარტოხელათ ხეტიალისა, გარდა ამისა, გავა დრო და მგონი უკეთეს სამუშაოს იშოვის თუკი ცდილობს გააღრმავოს ცოდნა – შეიძინოს პრაქტიკა.

მეორე საბუთი – თითქოს მე მელის – სრულიად მიუღებელია, რადგან არაერთხელ მოგწერეთ, რომ თითქმის არავის არ უშვებენ სახლში და შეიძლება მეც რომელიმე მივარდნილ კუთხეში გამამწესონ საცხოვრებლათ – შეიძლება სულ სხვაგვარადაც მოტრიალდეს საქმე და სახლში გამომიშვან – ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაზე რატომ უნდა ააგოს თავისი მომავალი ახალგაზრდა კაცმა.

აქ შენი მოქმედებაა მთავარი და ეს მაფიქრებს, რომ შენ აჭარმაგებ საქმეს რა მოსაზრებით არ ვიცი – ერთი სიტყვით მოიფიქრეთ და მოიქეცით ისე, როგორც ცხოვრება გიკარნახებთ. ჩემი საქმე 10 თვის შემდეგ გაირკვევა.

დამრჩა 10 თვე და როგორმე გავუძლებ. მე არაფერს მწერ მოხუცების შესახებ – დედ-მამა – როგორ არიან. ალბათ მეტად მოხუცდნენ. მოკითხვა.

დანარჩენებს არავის ვწერ მოკითხვას ვინც ქვეშ იფსავს შისისაგან – წერილით მოკითხვის შემოთვლისაც რომ ეშინიანთ – ქვეშ ჩაფსმა მათთვის აუცილებელია – ისედაც და ასედაც ან ახლა ან შემდეგ თუკი იცოცხლეს – როდის ურჩევნიათ თითონ ირჩიონ.

გაუგზავნეთ. ჩემი [illegible] 10 დღის შემდეგ [illegible]
[illegible] 10 დღე, და [illegible] [illegible].
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] — [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] — [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] —
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] და [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] [illegible]
[illegible] [illegible].
[illegible] [illegible] — [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible].

[illegible] [illegible] [signature]

22/v. 545

ირაკლის მიეხმარე – გული არ გაიტეხოს მცირე ხელფასის გამო, იმეცადინოს, იმუშაოს დროთა განმავლობაში მდგომარეობა გაუმჯობესდება.

იყავით კარგათ, ლ.ციხისთავი

22/VI/1954 წ.



Нина!

Получил открытку от [illegible], рад что все живы и здоровы, но жалко, что [illegible] досихпор не может [illegible] работой в школе. [illegible], что трудно по [illegible] последних [illegible] что [illegible] человеку. [illegible] на [illegible]. [illegible] плохо, [illegible] быть [illegible] вернуться домой. Привет всем родным.

12 VII-54 г.

[illegible]

ПОЧТОВАЯ КАРТОЧКА

Куда: Грузинская ССР
Гор. Тбилиси
ул. Рафиэля Эристави № 4 [illegible]

Кому: Н.Н. [illegible]

Адрес отправителя: Караганда 4 419/12
И.И. [illegible]

Нина!

Получил открытку от 7/VII, рад что все живы и здоровы, но жалею что Ираклий до сих пор не может устроиться с тобой вместе. Верю, что трудно, но при желании некоторых близких можно было предоставить это удовольствие молодому человеку. Не понимаю, почему так часто меняешь работу, почему ты не хочешь подробно написать.

Пока я чувствую себя неплохо, осталось 9 месяцев, может быть придется вернуться домой.

Привет всем родным.

22/VII/1954 г. Л.Цихистави

ПОЧТОВАЯ КАРТОЧКА

куда: Грузинская ССР

Гор. Тбилиси

ул. Рафиеля Эристави №4 «Ваке»

кому: Н.Н.Цихистави

адрес отправителя: Караганда 9 419/12

Л.И. Цихистави

5ა

ნანა!

[illegible] 15-ს [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 2/3

[illegible] 7 [illegible]

[illegible]

[illegible] 28 [illegible]

[illegible] 26 [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნინა!

მივიღე ღია ბარათი 15/IX გამოგზავნილი, აგვისტოში რამოდენიმე წერილი გამოვგზავნე ნუ თუ არც ერთი არ მოვიდა. ამანათი ღორის ქონი და რძე და სხვა მივიღე აგვისტოს დასაწყისში თუ ივლისში არ მახსოვს, პასუხი მაშინვე გამოვგზავნე. მეტი არაფერი მიმიღია.

წინა წერილებში გწერდი, რომ 2, ორი თვის წინ უკაზი, რომლის მიხედვითაც თავისუფლდება ყველა, ვისაც მოხდილი აქვს 2/3 სასჯელის, მე დამრჩა მხოლოდ 7 თვე, მაშასადამე მოვხვდი ამ უკაზში. გამოაცხადეს, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის ამ ხნის განმავლობაში სულ 28 კაცი გაუშვეს გასაშვები კია 300-ზე მეტი. ეს 28 კაცი გაუშვეს სახლში გარდა დიდი ქალაქების ყოველშემთხვევაში საშუალება მისცეს წასულიყვნენ სამშობლოს რომელიმე რაიონულ ქალაქში ან სოფელში.

ახლა ხმები დადის, რომ შეიცვლება ბრძანება და განთავისუფლების შემდეგ წასვლა შეიძლება მხოლოდ ყაზახსტანში ციმბირში და შუა აზიაში – რამდენად მართალია, ვერ გეტყვი – მხოლოდ ფაქტია, რომ ჯერ არავის უშვებენ – ვნახოთ როგორ ხასიათს მიიღებს ეს განთავისუფლება.

ამ წერილს საჰაერო ფოსტით ვგზავნი – ასევე მიპასუხე თუ არ დაიზარებ. წერილის მოწერა ოჯახური ამბის ჩაწერა მეტად გეზარება მიუხედავად ხვეწნის და მუდარის – არ უნდა ფიქრი, შენ რომ ყოფილიყავ ჩემს მდგომარეობაში მე ასე არ მოვიქცეოდი – მაგრამ ეს არაფერია.

ახლა შემდეგს გთხოვ: მომწერე საფაერო ფოსტით, არ ჩაწერო რომ წერილი მიიღე, გაკვრით ჩაწერე რომელიმე რაიონული ქალაქის სახელი, რომელშიც მირჩევ ავირჩიო თუ მომცეს საშუალება მაქეთ წამოსვლის – მე ვფიქრობდი ან საგარეჯოს, ან ლიუქსემბურგს – ან დუშეთს, შენ რომელს მირჩევ, ანდა ეგებ აჯობებს კლუხორი – ეს საქართველოს რაიონია ჩრდილოეთ კავკასიაში – რა ქვია ამ რაიონის ქალაქს არ ვიცი კარგად. თუ ამას მირჩევ, ჩაწერე – ყველაფერი გაიგე დაწვრილებით


30.I.1957 წ.
419/12

– ოლიას ჰკითხე.
მე ჯერ ჯერობით კარგათ ვარ.
თუ გაწყრა ღმერთი და მაქეთ არ გამომიშვეს მაშინ ვფიქრობ ავირჩიო ალტაის მხარე, რადგან შუა აზია სახიფათოა ჰავის მხრივ და მომავალში.
ახლა მე მგონი ისე აღარ გდევნიან და ნუ თუ ერთი წერილი ვერ მომწერა ირაკლიმ. ვინ იცის რა მელის და ნუთუ ისე ჩავალ საფლავში, რომ შვილის წერილი მაინც ვერ მივიღო 18 წლის მანძილზე.
როგორ არის, როგორ ცხოვრობს, შენ მაინც მომწერე, ნუ თუ ასე დაჩლუნგდით, რომ ორიოდე სიტყვის მოწერა არ შეგიძლიანთ.
ვფიქრობ, უკვე სეეჩვიეთ ჩემს მდგომარეობას და უკვე არაფრად მიგაჩნიან თუ რას განიცდის კაცი 18 წლის მანძილზე მუდამ შებოჭილი. მარჯვნივ და მარცხნივ რომ ვერ მოიხედავს თავისუფლად ვერ დაისვენებს, თავისუფლად წყნარად ვერ დაიძინებს 18 წლის მანძილზე, ადამიანურ საწოლზე ვერ დაწვება, ადამიანურად საჭმელს ვერ მიიღებს, დანარჩენი თითონ წარმოიდგინეთ – ასეთ პირობებში მყოფს – შეგიძლიანთ თუ არა წარმოიდგინოთ – როგორ გაახარებს კარგი ამბავი დატოვებული ოჯახის.
რად მინდა თქვენი ამანათები, არ გამოგზავნოთ. თქვენ უარესად გიჭირთ და მე არაფერს მწერთ. მე ყოველთვის იოლას წავალ – მაცნობეთ მხოლოდ თქვენი ამბავი.
ასე ნუ იწყენთ ჩემს გაჯავრებას წარმოიდგინეთ თქვენი თავი ჩემს მდგომარეობაში და თუ სხვა გვარად მოიქცეოდით მაშინ გთხოვთ პატიებას, მე ადამიანის ნერვები აღარ მაქვს.
მოკითხვა ყველას თუ ვინმე მკითხულობს.

ლ.ციხისთავი

30/IX/1954 წ.

კარაგანდა 9. п/я 419/12



ნინა!

სრულიად მოულოდნელად გამანთავისუფლეს 9 ნოემბერს – ველოდი 15 დეკემბერს. 9 ნოემბრიდან დღემდე «პერესილნი პუნკტში» ვარ – ხვალ წავალ დანიშნულებისამებრ სამუშაოზე – იმ უბანში სადაც ლაგერიდან ვმუშაობდი. ამდენ ხანს პერესილკაში დამაგვიანა დავამ – მე უნდა გავენთავისუფლებიეთ საერთო წესით რადგან არა მაქვს საქმეში ხმის უფლების ართმევა, არც სპეცგადასახლება – აქაურმა ხელისუფლებმა ვერ გადაწყვიტეს ეს საკითხი – საქმეს ვითომდა აგზავნიან ზევით და საქმის გარჩევამდე მაგზავნიან სამუშაოზე. ჯერ არ ვიცი მისამართი სად ვიცხოვრებ – ორ სამ დღეში გამოგიგზავნით წერილს. ცხადია კარაგანდაში ვიქნები – გაცნობებთ ქუჩას და ნომერს. ახლა რას გთხოვთ – მაქედანაც აღძარით საქმე – ეგებ როგორმე პირადად ინახულოთ ცეკას მდივანი მჟავანაძე – მოუყვები ჩემს საქმეს 37 წელს რომ შურით და ცილისწამებით ადგილის გულისთვის ჩამაგდეს – ბრალდება აშკარად შეთხზეს და მოწმეც არ ყოფილა ამიტომ. მომისაჯა «ტროიკამ» 10 წელი მუხლი «ანტისაბჭოლა აგიტაცია». შემდეგ ლაგერში 1942 წ. როგორც ინტელიგენტი მომაყოლეს იზოლაციაში და «ოსობი სოვეშანიემ» მომცა 10 წელი. ლაგერში თუ ვისმეს სერიოზული ბრალდება ჰქონდა ამ დროს სასამართლო არჩევდა. უკანასკნელი 48 წელს – დამაკლდა 10 კილო პური და ამიტომ მომისაჯეს 3 წელი უკაზით. ყველა ეს ვადა მოვათავე, ჩათვლები მომიყენეს და გავთავისუფლდი. ახლა სთხოვე გადასინჯონ საქმე და სახლში დაბრუნების საშუალება მომცენ.

აქედან მე ხვალ-ზეგ მივწერ მოსკოვში და საქართველოშიც. მთელი ამ ხნის განმავლობაში ლაგერში კარგი დახასიათება მაქვს რადგან ყოველთვის ვმუშაობდი კარგათ.

დღეს აქ გავიგე რომ ალიოშა წერეთელი სავსებით გაუნთავისუფლებიათ. ეგებ ნახო ვინმე – ან მიშა ან დავითი, ორიოდე სიტყვა დახარჯოს ცეკას მდივანთან – ნიკო არ იზავს,

2.

[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

შეიძლება ზაქარიამ უფრო გაბედოს და ყველაფერი ერთ თვეში გაკეთდება.

ასე იყავით კარგათ. წერილს მომწერთ მეორე წერილს რომ მიიღებთ.

14/XI/1954 წ.

ქ.კარაგანდა

დღეს მთელი დღე დავდივარ და ვერ მივაგენ ხურციას. განვაგრძობ ძებნას.



შვილო ირაკლი! ნინა!

მივიღე წერილი 2/XII გამოგზავნილი. კარგია, რომ განცხადება გაგიგზავნია, აქედანაც გავგზავნე, თუ რაიმე საშველია უნდა გათავდეს ჩემი ტანჯვა.

არ ვიცი როგორ ახერხებენ ან რა ნიშნით ათავისუფლებენ ზოგიერთებს. ახლახან მითხრეს, რომ ალიოშა წერეთელი და ვაწაძე გაუშვიათ – მართალია ისინი ინვალიდათ ირიცხებოდნენ, მაგრამ აქ ხომ უამრავი ინვალიდებია და მასთან წერა-კითხვის უცოდინარი – არავის არ უშვებენ – სხედან პერესილკაში. დიდი ხანია გათავისუფლდნენ, მუშაობა არ შეუძლიათ – სახლში მაინც არ უშვებენ. ზოგიერთებს კი რაღაც „ბედი სწყალობთ“ თუ სხვა რაიმე საქმეა, ვერ მივმხვდარვარ – უშვებენ – თუმცა მეტად იშვიათად. ერთი სიტყვით, ბედის უკუღმართმა ტრიალმან თუ ჟამთა ვითარებამ მეტად მძიმე საცხოვრებო რეცეპტი გამომიწერეს – ვნახოთ, დავძლევ ამ უკუღმართობას თუ ის დამძლევს, ჯერჯერობით მძლევს, რა იქნება საბოლოოდ არ ვიცი.

შენი წასვლის 3 თუ 4 დღის შემდეგ გამომიძახეს, როდესაც მითხრეს, რომ ჩემი განაჩენები არ უდგება გადასახლებას და საერთო წესით უნდა გათავისუფლდეო – ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა – ვიფიქრე ამდენი ხნის შემდეგ მაინც მეღირსა და დავბრუნდები ოჯახში – მაგრამ მალე გამიქარწყლეს ეს უდროვო იმედი. 6 დღე მაწვალეს, იქით აქეთ მატარეს – შინ. საქმეთა სამინ. კარაგანდის განყოფილება არ მიღებდა, რადგან საქმის მიხედვით არ მეკუთვნოდა გადასახლება – ლაგერის სამმართველოს პროკურორი ხელს არ აწერდა საერთო წესით გათავისუფლებაზე – ასე პროკურორმა თავისი გაიტანა და დამტოვეს.

მართალი გითხრა არ ვგრძნობ თავისუფლებას. მოვეწყე სამუშაოთ, დროებით ათისთავად ვმუშაობ რადგან ადგილები არ არის, როდემდის იქნება ეს დროებით არ ვიცი. რამოდენიმე დღეა რაც გამატარეს შტატში.

2

ეს [illegible] [illegible]. [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] - [illegible]. [illegible]
[illegible]. [illegible]! [illegible] და
[illegible] [illegible] [illegible]! [illegible]
და [illegible] [illegible]-
[illegible]! [illegible] [illegible]
[illegible]! და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-
[illegible] - [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] და [illegible]
[illegible]. [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] და [illegible], [illegible]! [illegible]
[illegible] [illegible] და [illegible]. [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]! [illegible].
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] 5 [illegible].

ვცხოვრობ საერთო საცხოვრებელში, ერთ ოთახში 5 კაცი. პირობები ბევრათ არ განსხვავდება – ერთია, რომ თავისუფლად დავდივარ არავინ დამდევს.
ასე, ჩემო ირაკლი, ნინა, ლეილა, იყავით კარგათ, თუ რაიმე ხელი მიგიწვდებათ ნუ დაიზარებთ, აგზავნეთ საჩივარი, შეაწუხეთ ყველა, ეგებ გამომიხსნათ.
იყავით კარგად, ბედნიერად.
მოკითხვა ყველას, ოლას, გრიშას, მოხუცებს, გოგიას ცოლ-შვილით.
ახლა წერილი თავისუფლად შეგიძლიათ მწეროთ, ნურავის, ნურაფრის გეშინიათ.

7/XII/1954 წ. ლ.ციხისთავი



ნინა, ირაკლი!
რასა იქთ, როგორა ხართ, რაც "გავთავისუფლდი" მხოლოდ ერთი წერილი მივიღე ირაკლისაგან – ნაჩქარევად დაწერილი, ნინას ჯერ კიდევ ვერ მოუცლია – ეს ხუმრობით, არ გეწყინოთ. მე თვითონ ისეთი მდგომარეობა მაქვს ხშირად სულიერი და ფიზიკური, რომ ვერ ვახერხებ წერილის დაწერას. არავისთვის არ მიმიწერია – ვფიქრობ არ ეწყინოთ, ან რაიმე არ იფიქრონ, მე ხომ ამომშალეს ნათესავთა და მახლობელთა სიიდან და ახლა ხელახლა უკან დაბრუნება ძნელია, მითუმეტეს რომ გათავისუფლება თითქოს პირობითია, დისკრიმინაცია მაინც ძალაშია – სამშობლოში მოსვლის უფლება არ მაქვს – მაშასადამე არც ნათესავ მეგობრების ყოლის უფლება მაქვს – ანდა შებრუნებით მათი ვალდებულებაა ამომშალონ სიიდან. ერთი სიტყვით – ამ ქვეყნათ დავრჩი ორი მახლობლით შვილით და ცოლით – როგორ ხასიათზე იქნება ასეთ პირობებში მოხვედრილი ადამიანი.
განა მე რაიმეს ვგრძნობ – თავისუფლებისას, ერთია, რომ ხიშტით აღარ მდევენ მახლობლად – შორიახლოს ძალაში რჩება – თვეში ორჯერ ვალდებული ვართ გამოვეცხადოთ.
მეტად მოწყენილი და დაღონებული ვარ, არაფერი მახარებს – თითქოს უარეს მდგომარეობაში ვარ – ლაგერში რაღაც იმედი მქონდა, ველოდი გათავისუფლებას და ეს იმედი ყველას აცოცხლებდა, ახლა უსაზღვროებაში ჩავვარდი და არც თავი ჩანს და არც ბოლო.
ჯერ საჩივარზე პასუხი არ მიმიღია, ირაკლი მწერდა, რომ გადავბეჭდეთ და ყველას გაუგზავნეთო – საჭიროა თქვენით დასწეროთ, თქვენი სახელით აღძრათ საჩივარი.
ვცხოვრობ საერთო საცხოვრებელში – თითო ოთახში 4-5 კაცი ვართ – ხშირად საგიჟეთს გავს – ახალგაზრდა ავარებით არის სავსე. დილით ბნელში მივდივართ საღამოს ბნელში ვბრუნდებით სამუშაოდან. ბევრი არაფერი განსხვავებაა. თუ გაზაფხულამდე არაფერი მეშველა, ვფიქრობ სადმე – სადაც



ნებას მომცემენ – სავხოზში ან კოლმეურნეობაში წავიდე. გონებრივი სამუშაოს შოვნა ძნელია – საჭიროა დიდი ნაცნობობა – სხვა – როგორც ათისთავი და ამნაირი ოხრობა ისევ სავხოზში სჯობია. ერთი სიტყვით, თუ გავიზამთრე და არ მომივიდა პასუხი მოსკოვიდან – უეჭველად სავხოზში წავალ. სხვა რა მოგწეროთ, ვბრაზობ ჩემ თავზე, სულ იმას ვფიქრობდი გავთავისუფლდები და ეგებ ცოტა რამე დავეხმარო – ეს ჯავრი უფრო მკლავს რომ ცოცხალმა, შრომისუნარიანმა ადამიანმა იმდენი ვერ გამოიმუშაოს, რომ ორ სამ თვეში ერთხელ მაინც მიხედოს დიდი ხნის დაობლებულ ოჯახს – ჩემი საქმე კი ასეა, რომ თუ თავი გამოვკვებე კარგი საქმე იქნება. მაგრამ ვფიქრობ, შრომა არ მეზარება და პატარა რომ გამოზაფხულდება და გავალ გარეთ, ეგებ უკეთესი საქმე ვიშოვო და პატარა რამეს მაინც მოგხედოთ, ახლა ნუ დამემტერებით, თითონ უნიფხო ვარ.

ძალიან ვწუხვარ, რომ ირაკლი ამდენ ხანს უმუშევრათ არის, ნუთუ გაწყდა ყველაფერი, რომ მოეცათ ჩემთვის უფლება სადმე სამხრეთში ცხოვრების – თუნდაც ყაზახსტანში, ან უზბეგისტანში – იქნებ გამებედა მეთქვა – ჩამოდიო და აქ ვეწამოთ ერთად, მაგრამ ეს იქნებთქო – ნამდვილად კი ვერ გეტყვით წავიდოდი თუ არა ასეთ ნაბიჯზე. ძნელია, მოწყდე სამშობლოს მახლობლებს, ნათესავებს.

იყავით კარგათ ბედნიერად, ნუ დამივიწყებს მომწერეთ ხშირად – წერილი ამხნევებს ადამიანს. მომიკითხეთ ჩემი საცოდავი ლეილა.

გილოცავთ მომავალ ახალ წელს. გკოცნით ბევრს.

22/XII/1954 წ. ლ.ციხისთავი

ჩემო ძვირფასო! ნანა!

[illegible] 1945-55წ [illegible]

[illegible]

45-55 წ.

[illegible]

შვილო ირაკლი! ნინა!

მივიღე 19/XII-54 წ. გამოგზავნილი წერილი, ძალიან გამახარა, ნუ დამიგვიანებთ წერილს, პატარ პატარა ხშირად მომწერეთ. მე კარგათ ვარ, ვმუშაობ, მართალია შესაფერი სამუშაო ვერ ვიშოვე, მაგრამ ესეც კარგია, ათისთავად ვმუშაობ მშენებლობაზე.
ვწუხვარ, რომ აქამდე სამუშაო ვერ გიშოვია, უნივერსიტეტს მაინც არ დაანებო თავი, თორემ საშველს არ მოგცემენ, საითმე გაგაგზავნიან. როგორ გადაწყდება ჩემი საქმე ამ ორ-სამ თვეში – მაშინ ვიფიქროთ შემდეგ ცხოვრებაზე. ძალიან წინააღმდეგი ვარ, მაგრამ თუ კი გაწყრა ქვეყანა და ვერ მოეწყე მაშინ აქეთ წამოდით მით უმეტეს, თუ ჩემი საქმეც დადებითად არ გადაწყდა.
ვახტანგი გამოუშვეს, ცოლოც ჩამოუვიდა და აქ მოეწყვნენ – 45 კილ კარაგანდიდან ქალაქ სარანში. არაფერი სასიამოვნოა აქეთ გადმოსახლება და ნურც იფიქრებთ მეტისმეტ უკიდურესობამდე. ყოველი ზომები მიიღე, რომ მანდ დაბინავდე. ჩემი საქმეც ავათ თუ კარგათ ამ წელში გადაწყდება და მერე ვნახოთ.
იყავით კარგათ, მოკითხვა ყველას, პაპას, ბებიას, გოგიას ცოლშვილით და ყველა ნათესავს.

ლ.ციხისთავი

4/I/1955 წ.
განსაკუთრებული მოკითხვა დავითს და საშას, ოლა მწერდა მათგან მოკითხვას.

ნინო!

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნინა,

მივიღე პირველ იანვარს გამოგზავნილი წერილი. მეტად გამახარა ვრცელმა წერილმა. ბევრი რამ გამიგე, ბევრის გაგება ან არ გინდა ანდა დაგავიწყდი და ველარ მცნობ. განა მე დავმშვიდდები მანამ ცოცხალი ვარ და თავისუფალი ვარ, განა შემიძლიან წყნარად ვიფიქრო ჩემი ოჯახი შეეჩვია უჩემოდ ცხოვრებას, დე როგორც უნდა იყვნენ ოღონდ მე ჩემი თავი გამოვკვებო და სხვა.

ასე მე არ შემიძლიან ყოფნა და ცხოვრება და როდესაც ნაღვლიან წერილს გწერდით, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ისეთი თავისუფლება მხვდა ჯერჯერობით, რომელიც საშუალებას არ მაძლევს გამოვიყენო ცოდნა ენერგია დანიშნულებისამებრ – ამიტომაა რომ თავის გამოკვება მიჭირს, არა თუ ოჯახს მივხედო და ვაგრძნობინო, რომ მე მათზე ზრუნვა არასოდეს არ დამვიწყებია. ამის შემდეგ როგორ ფიქრობთ – შემიძლია გულდამშვიდებით ვიყო?

ერთი სიტყვით, ამ აზრისათვის ნუ დამძრახავთ, მე ვერ დავმშვიდდები, მანამ ცხოვრებას ისე არ ავაწყობ, რომ კაცი მერქვას, მანამდე ვერ მოვისვენებ სანამ შევძლებდე მზრუნველობას ვის წინაშეც ვალდებული ვარ როგორც ადამიანი და მოქალაქე.

ახლა რაც შეეხება ზოგიერთ ჩემს საქმეებს, არაფერი ახალი მანკი ჩემს ირგვლივ არ არის, აქ დატოვება გამოწვეულია საერთო წესით. ყველა აქ არის გარდა მეტად იშვიათი გამონაკლისისა, რომლებსაც მოსკოვიდან მოსდით ნებართვა წასვლისა არ ვიცი რა გზით – ასეთები მეტისმეტად ცოტაა. ამჟამად კარაგანდაში და მახლობლად ჩემისთანა 500-600 მეტი ქართველია – შეიძლება მეტიც. სხვა ერის ხალხს ვინ დათვლის. მაშასადამე ჩემი საქმის შველა მხოლოდ მოსკოვიდან ან საქართველოდან შეიძლება – გაიგეთ, როგორ გამოუშვეს პროფ. ვაწაზე ან ალექსანდრე წერეთელი.

სამსახური მეტად ძნელი და შეიძლება ითქვას აუტანელი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

მაქვს ათისთაობა თავისუფალ კარაგანდელ მუშებთან და აქაურ მშენებლობაზე ჯვარცმაა, მაგრამ არასოდეს გული არ გამტეხია და არც გამიტყდება, ყოველთვის უმჯობესს ველი მომავალში. ხელფასი 700 მან. მაქვს ხელზე დაახლოებით 570 მან. ვღებულობ. საჭმელად მეყოფა – აქ სულ სასადილოზე დამოკიდებულია ცხოვრება. ახლა ამ დღეებში ვიყავ ქალ. სარანში 40 კილ. აქედან. იქ ცხოვრობენ ბევრი ქართველები – ჩემისთანა, მათ შორის ექიმი ჯორჯაძე, წულუკიძე და სხვები. იქ ვშოულობ მგონი ცოტა წყნარ სამუშაოს, ამ ერთ თვეში გადაწყდება, ძალიან შემპირდნენ. ჩვენ პასპორტები არ გვაქვს და ჩემს სპეციალობაში სამუშაოს მონახვა ძნელია – სხვა რაიმე სამეურნეო დარგშიაც უპასპორტოდ და ნაცნობების გარეშე ძნელია. ახლა კი ზამთარია – უგზოობა სიცივე, ვერსად ვერ გახვალ და ვერავის ნახავ. ამიტომ გაჩერებული ვარ.
ირაკლის უმუშევრობა მაწუხებს – ერთხანს ვიფიქრე, ეგებ აჯობებდა თუ ასე გაუგრძელდა საქმე აქეთ ჩამოსულიყო – უცბათ იოლად თუნდა სამ განაკვეთზე მოეწყობა – ამის მე დიდი წინააღმდეგი ვარ, მეორეს მხრივ, ვფიქრობ ეგებ უკეთესი იყოს ერთხანს მაქედან წამოსვლა – ერთი სიტყვით ამის შესახებ ამ მოკლე ხანში მოგწერთ – ყველა მოსაზრებებს. გლახა ჭარიაშვილივით კიდევ უმეორებ, რატომ ცოლს არ თხოულობს – მით უმეტეს, რომ კვეხავთ, კარგათ გვაქვს საქმეო – მეტად მაწუხებს ეს ამბავი.
შენი აქეთ წამოსვლა სანახავად ძალიან სასიხარულოა, მაგრამ თავი შეიკავე მანამდე მოთბებოდეს ახლა ძალიან სიცივეებია – გაგრძელდება აპრილის ბოლომდე ან ნახევრამდე – მერე ვნახოთ, თუ კი არაფერი ეღირსა საქმეს ეგება აჯობოს მე ჩამოვიდე ზაფხულში – გვპირდებიან შვებულებას და უფლებას, სადაც გვსურს წავიდეთ შვებულებაში – თუ ასე იქნა ივლისში ან ივნისში ჩამოვალ.
სხვა რა მოგწერო – იმ წერილთან ერთად მივიღე ამანათის უწყება, ხვალ გამოვიტან, მივიღე აგრეთვე ნუცა ძალოს

[illegible]
[illegible]

1X.5.55. [signature]

Караганда 9.
Кирзавод № 2 с/п № 5.
Спасская ул. № 44 общеж. к 16. ком. 15.

წერილი, უგზავნი პასუხს – ამას წინათ ოლიას წერილი მივიღე და რადგან მისამართი არ ვიცოდი თქვენ მისამართზე გამოვგზავნე.
მართალი ხარ, ტანსაცმელი არა მაქვს და არც ყიდვის საშუალება მაქვს, რადგან სასადილოში სიარულით ყოველთვის მეტი იხარჯება – მშიერიც ხარ და არც არაფერი გრჩება – თუკი ირაკლის არ სჭირდება ძველი პალტო და ვარგა ჩასაცმელად, გამოაგზავნე – კოსტუმზე არ იფიქრო, განა რამდენი აქვს რომ ზედმეტი გამომიგზავნოს, თუ კი მოგეხერხებათ, ერთი იმდენი კიდევ უყიდე რომ მაგან მაინც გაიხაროს, მე უკოსტუმოთ კარგათ ვარ – მოვა დრო და ესეც მექნება.
მოკითხვა დედას, მამას, გოგიას, ოლას ქმარ-შვილით, რატომ გრიშა არ მწერს წერილს.
მოკითხვა დავითს და სხვა ჩემს ყოფილ მეგობრებს.

ლ.ციხისთავი
18/I/1955
Караганда 9 Кирзавод №2 СУ №5
Спасская ул. №44 общеж. №16. ком №15

[illegible]!

[illegible] Казахская ССР – Караганда 9.
п/о Кирзавод 2. СЧ № 5 Л. [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნინა, ირაკლი!
პირველად ყოვლისა რატომ მისამართს სწორად არ სწერთ – Караганда 9. пос. Кирзавод 2. СУ №5. Л. Цихистави.
მეორე, რა მიზეზით არ ვიცი დღეს – გუშინ საღამოს ისეთივე შეტევა დამემართა, როგორც 32 წ. მქონდა – შემეხუთა შარდი და გვერდი ამტკივდა. ეს ქვეყანა დაკარგულია. სწრაფი დახმარების მანქანა ვერ ვიშოვეთ – ამხანაგებმა ქუჩაში პირველი მანქანა დაიჭირეს და წამიყვანეს პოლიკლინიკაში. აქ დარაჯის მეტი არავინ იყო, საავადმყოფოში – არც აქ აღმოჩნდა ექიმი. მოწყალების დამ ვერ გაბედა მიღება. მომცა უროტროპინი და უკან წამიღეს ბინაზე. სხვა საავადმყოფოში წასვლა არ შეიძლებოდა, რადგან ბურანი იყო. დღეს კვირაა 30, ცოტა უკეთ ვარ. მაგრამ გრელკასაც კი ვერ ვშოულობ. ახლა ამას გთხოვთ, სასწრაფოდ გამომიგზავნე მედიკამენტები რაც საჭიროა. წყალი საირმე, ოხრახუში თუ ნიახური, უროტროპინი, სალოლი – ესენი მახსოვს. გრელკა და თერმომეტრი. ალბათ ასე დამეწერა, რომ ყოველთვის უნდა გაწუხოთ.
რისგან დამემართა არ ვიცი, ღვინო გემოთი არ მინახავს, რაც ლაგერიდან გამოველ ორი ჭიქა ძალით დამალევინეს, რაღაც პორტვეინი ერთი თვის წინ. არც მანამდე არც მერე არ მინახავს გემოთი ყოვლად უმსგავსობა – ხორცი აქ არ გვაქვს – რისგან დამემართა არ ვიცი – ერთი სიტყვით ასე ვარ ახლა უფრო მსუბუქად, მაგრამ მაინც ძალიან შემაწუხა.
დღეს ცოტა უკეთ ვარ, ხვალ კი სულ კარგათ ვიქნები. გწერთ იმიტომ, რომ შეიძლება ეს ქვები განმეორდეს – მეორე კვირას წავალ ჩვენს ექიმებთან სარანში და მაშინ დაწვრილებით მოგწერთ. დღეს უნდა წავსულიყავი ქორწილში – წულუკიძე ქირურგი ქორწინდება. ალბათ ნაწყენები დარჩნენ რომ ვერ მიველი.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ასე იყავით კარგათ. მართლა, მივიღე პასუხი საქართველოს «комитет госбезопасности» ვინმე წილოსანი აწერდა ხელს, რომ ირჩევა ჩემი საჩივარი და პასუხს მაცნობებენ.

30/I/1955 წ. ლ.ციხისთავი
ყარაგანდა

[illegible] !

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ირაკლი, ნინა!
კარგახანია წერილი არ მიმიღია თქვენგან. რასა იქთ, როგორ ხართ. ირაკლი მოეწყო თუ არა სამუშაოზე, ან როგორ ცხოვრობთ. მე ჯერჯერობით კარგათ ვარ – ვმუშაობ ისევ ათისთავად.
რას მირჩევთ არ ვიცი, ვაპირებ სადმე სოვხოზში მუშაობას – ცხადია კარაგანდის მახლობლად, რადგან შორს წასვლის ნებას არ იძლევიან. სოვხოზში შეიძლება უფრო წყნარი და მსუბუქი საქმე ვიშოვო უკიდურეს შემთხვევაში კოლმეურნეობაში.
აქ მეტად ნერვიული და ძნელი სამუშაოა. სხვა საქმეს იოლად ვერ იშოვის კაცი – ერთი, რომ პასპორტი არა მაქვს და მეორე – ვერავის ვიცნობ – უცხო ხალხია. ეგებ რომ მოთბება – გავიდე გარეთ და მოვნახო ვინმე ქართველო ან რუსი ნაცნობი. ახლა ვერავის ვხვდები.
ალბათ ელით რა პასუხს მივიღებ განცხადებაზე – მივიღე სწორედ ისეთი პასუხი, რომლის უკეთესს არასოდეს არ ველოდი – ყოველგვარი მოტივის გარეშე – უარი გამომიცხადეს. სად ვეძებო სამართალი ან ვისთან?
ჯერჯერობით არაფერს ვწერ, დაულოდინებ თქვენს პასუხს – რას მომწერთ, მერე ვნახავ, დავწერ შესაფერს და უკანასკნელს – ასლს მანდ გამოვგზავნი.
ვერ გავიგე რისთვის, რაზედ, რა დანაშაულისათვის მსჯიან მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ერთხელ მაინც გამომიცხადონ თუნდაც დაუმტკიცებლად, რომ ისჯები ამა და ამ საქმისთვის და სხვა.
ერთი სიტყვით ასეთია ჩემი საქმე. ახლა ვფიქრობ მაისში ან ივნისში შვებულებაში მაინც ჩამოვიდე თუ ნება დამრთეს, თითქოს უშვებენ ზოგიერთებს ერთი ერთნახევარი თვით – მანძილის მიხედვით – მე შევეცდები ავიღო, ამისათვის საჭირო იქნება ამ დროისათვის თქვენი დეპეშაც ვისიმე – ან შვილის ან ცოლის ავადმყოფობის შესახებ. მაშინ უფრო იოლად ავიღებ – ასე თუ მოხერხდა ერთი თვით მაინც ჩამოვალ გნახავთ მერე

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

6 III-55. [illegible]

PS. [illegible]

[illegible]

თუნდაც ასევე ცოცხლად გადამყლაპონ თავში ქვა უხლიათ. ამ ცოტახანში ძალო ნუცასაგან მივიღე წერილი – ისევ იმ სიმაღლეა თუ დაპატარავდა – მწერდა მეტად უთავბოლოდ არც ხელს აწერდა. ხელით და სახელებით ვიცან და უკან მისამართით, რომ მისგან დაწერილი იყო. განა თორნიკე დაჭერილი იყო? გიორგის შესახებ მწერს, ბევრს ვკითხულობ, მაგრამ არავინ არაფერი იცის არავის უნახავს. სხვებს რომ მწერს, არც ისინი სჩანან აქ.
ასე იყავით კარგათ, მომიკითხეთ სიდედრი, სიმამრი, როგორ არიან, რატომ წერილს არ მწერს, უთხარ იმაგრონ, მაის-ივნისში ეგებ ჩამოვიდე და კარგათ ჯანზე დამხვდნენ. მოკითხვა გოგიას ცოლით, შვილით, როგორ ხასიათზეა გურამი – როგორ სწავლობს – კარგი ბიჭი უნდა იყოს.
ოლას ახლახანს მოვწერე წერილი. კიდევ მოკითხვა – ყველა გოგოებს უჩემოდ დაათხოვებს, როგორც ვხედავ, ეს ჩვენი ყმაწვილი – ირაკლი რას აპირებს, ზედაზნის მონასტერში ხომ არ შედის ბერად – ნუ თუ ვეღარ მონახა ამ ქალთა ქვეყანაში – შენი საქმე მაკვირვებს, ჩიჩინი ძაან იცოდი, ახლა დაგავიწყდა თუ შენც თანახმა ხარ ასე იაროს. რას შვრება საცოდავი ლეილა – მომწერეთ ხანდახან მაინც მეტად მოწყენილი და დარდიანი ვარ.
ორიოდე წიგნი – ახალი გამომიგზავნეთ თუ ახალს ვერ იშოვით, ჩემი წიგნებიდან აიღეთ ისტორიიდან, ლიტერატურიდან და გამომიგზავნეთ – აქ მოვიარე ყველა წიგნის მაღაზიები ვერაფერი ვნახე, ალბათ იმიტომ, რომ შორსაა ჩემგან და მანამ მე მივდივარ თვეში ერთხელ-ორჯერ, იქ არაფერი რჩება.
მოკითხვა ყველას, ვინც მკითხულობს.

5/III/1955 წ. ლ.ციხისთავი

P.S. ხვალ არჩევნებია აქ – მეც ვირჩევ, ხმის უფლება მაქვს.
ლ.ციხისთავი



ნინა! ირაკლი!
რასა იქთ, როგორა ხართ, რატომ ირაკლი არაფერს მწერს სად მოეწყო ან როგორ, კმაყოფილია თუ არა.
ან იქნება ოლიამ მომატყუა – გული გამიკეთა. აქ ხმები მოდის, რომ ბევრია თქვენი და სხვა პროფესიის ხალხი ტფილისში უმუშევრად, ალბათ მართალია. გარდა ამისა, აქ ზოგიერთ ჩამოსულ სპეკულიანტ ქართველებისაგან გავიგეთ რომ ცვლილებები მომხდარა საქართველოს მთ-ში[5]. ამბობენ მჟავანაძის მაგივრად სტალინის შვილი არისო, მართალია თუ არა. ირაკლი, დააგროვე ხოლმე გაზეთი კომუნისტი და ზარია და თვეში ერთხელ ბანდეროლით გამომიგზავნე – გადავიკითხავ და გავიგებ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში.
მე ამას წინად გწერდით, რომ სამუშაოს თავი დავანებე, რადგან მეტად მძიმე იყო ჩემთვის, მართალია, ხელფასიც მომიმატეს, პატივსაც მცემდნენ, მაგრამ მეტად ძნელი შაიქმნა მუშაობა, რადგან ხან მასალა არ არის და არც კვალიფიციური მუშები ყავთ იმ სამმართველოში, უვიცებთან და ნაყარ შეგროვილ ხალხთან ძნელია მუშაობა, ბევრმა დაანება თავი და მეც უტიე. თავი დავანებე 20 აპრილს დღემდე ვეძებ შესაფერ საქმეს, მანამ არ ვიშოვნი, არ დავიწყებ მუშაობას იქამდე თუნდაც კარაგანდის ქალაქის გარეთ მომიხდეს გასვლა – რაიონში. ცხადია დიდ ხანს არ გაგრძელდება ჩემი ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, ერთ ორ კვირაში ასე, თუ მოვეწყობი. თუ კარგი საქმე ვერ ვიშოვე – რადგან ჩვენ პასპორტებს (უბრალო მოწმობა გვაქვს) მეტად ზევიდან დაჰყურებენ – შავი საქმე ხომ ბევრია. ერთი სიტყვით სულ დიდი – თვის ბოლომდე – პირველიდან საქმეზე ვიქნები.
ეს არის ამ გარემოებამ ერთში შემიშალა ხელი. შვებულებაში ჩამოსვლა მინდოდა ივნისში. ახლა ცოტა მომიხდება გადავწიო რადგან სახსარი არ არის, ჯერ ერთი 300-500 მან. დახარჯვა უნდა, რომ შვებულება (ნებართვა წამოსვლის) მივიღო

[5] იგულსხმება მთავრობა (რედ.)

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]

13 V-55 წ.

კომენდატურისაგან. მერე გზა. ერთი სიტყვით, როგორმე აგვისტოში ან სექტემბერში მოვახერხებ.

ახლა რაღაცას მეუბნებოდით ტელეფონით ჩემი საქმის გარჩევის შესახებ – რამდენ ხანს უნდა არჩიონ, რა ისმის. ჯერ ძველ ბინაზე ვარ.

მოკითხვა ოლიას შვილებითა და შვილიშვილებით, მოხუცებს, გოგიას ოჯახით. ძალო ნუცას და ყველას, ვინც მკითხულობს.

13/V-1955 წ. ლ.ციხისთავი

[illegible]!

[illegible]

[illegible]

[illegible]

23-V-55 წ. [illegible signature]

[illegible]!

[illegible]

23-V-55. [illegible signature]

ნიკო!
ამ ბარათის მომტანი, ლუკა კალმახელიძე, მუშაობს კარაგანდის ოლქში, მეტად კარგი ქართველია და ამიტომ გადავწყვიტე, შეგაწუხო.
შვილის მოწყობა უნდა უნივერსიტეტში – გთხოვ რაც კი საშუალება გაქვს ნუ დაზოგავ მოეხმარე, ღირსია რომ მისმა შვილმა მიიღოს განათლება. უდაოდ დიდი საქმეა აქეთ გადმოხვეწილთა შვილებს ხელი შეუწყოთ, რათა ღირსეული მამულიშვილები აღიზარდნონ.

იყავით კარგათ, გწერ ტემირ-ტაუდან
23/V/1955 წ. ლ.ციხისთავი

შვილო ირაკლი! [6]
ნიკოს ვწერ პატარა ბარათს, შენც მიიღე ყოველგვარი ზომები, რომ ამ მეტად კარგ ქართველს მოეხმაროთ შვილის მოწყობაში უმაღლეს სასწავლებელში.

23/V/1955 წ. ლ.ციხისთავი

---

[6] მინაწერი იმავე გვერდზე (რედ.)

[illegible] !

[illegible]

[illegible]

[illegible]

შვილო ირაკლი!

რამოდენიმე დღის წინ მივიღე შენი წერილი, დღეს შენგან გამოგზავნილი ფულიც მივიღე. ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ რატომ დაგჭირდა ფულის გამოგზავნა, შენ ახლახანს დაიწყე მუშაობა, ცხადია უნდა შენ მოიკლო და მე მიგზავნი, უკიდურესად რომ მიჭირდეს დასაშვებია, ახლა კი არაფერი საჭიროება არ მქონდა და ჩემი გულისათვის შენ მოიკელი უკანასკნელი.

ჯერ ვერ მოვეწყე სამუშაოზე, როგორც გწერდი რიგიან სამუშაოზე შეუძლებელია მოწყობა, მით უმეტეს ჩემი მდგომარეობის კაცისათვის, იცით ალბათ ყველგან შემცირება მიდის. მე მაინც ვეძებ შედარებით შესაფერსა და რამოდენიმეთ იოლ სამუშაოს – ვეძებ საკმაო დაჟინებით – ვნახოთ. როცა სამუშაოს თავს ვანებებდი ყველაფერი გათვალისწინებული მქონდა – როგორც სამუშაოს შოვნის ისე მატერიალური მდგომარეობის მხრივაც, დავაჩქარე თავის დანებება იმიტომ, რომ მოყავთ ახალგაზრდა სპეციალისტები და ადრე თუ გვიან ჩემნაირ კაცს, რაც არ უნდა კარგად ემუშავნა მაინც სცვლიან. ასეა, შეიძლება კიდევ ერთი ორი კვირა მომიხდეს ძებნა, თუ გაწყრა ყველაფერი, შავი სამუშაო ხომ ჩვენთვის არის შემონახული – ამას ქვიან ჩვენი თავისუფლება. არც განათლება, არც პრაქტიკა არ თამაშობს როლს – პატარა დისკრიმინაციის მსგავს მდგომარეობაში ვართ, ცხადია არა რასიული არამედ სხვა. ამაზე ბევრს აღარ მოგწერ ასე თუ ისე დავაბოლოვებ საქმეს ათიოდე დღეში.

მე გახარებული ვარ შენი კარგათ მოწყობით და ძალიან გთხოვ, გამოიყენო შენი პატრონის ცოდნა, გამოცდილება და მეტის გულმოდგინებით მოკიდო ხელი მუშაობას რომ მალე გაიწაფო ხელი. ჩემს ამბავზე ნაკლებად იფიქრე შვილო, როგორც იქნება გავიტან თავს მანამ ცოცხალი ვარ და ჯანმრთელობა არ მღალატობს, ერთია რომ მიწამ რომ ყბები გააღოს და ჩაყლაპა დამიპიროს მაინც თავს მონურად ვერავის მოუხრი, მაინც ვერ

[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible signature]

24.[illegible]55 წ.

[illegible]

[illegible]

[illegible]

გადაუხვევ იმ გზიდან და მიზნიდან, რომელზედაც ვდგევარ, რომელსაც ვემსახურები. ჩემს ცხოვრებას კარგახანია ჯვარი აქვს დასმული თუ შევძელ მოგლეჯა, ხომ კარგი და თუ არა და, ჩემი ნუგეში შენი კარგათ ყოფნა და ბედნიერება იქნება ყოველთვის.

ირაკლი, აქ ჩემთან ერთად ცხოვრობს ჩემსავით ერთ ბედს ქვეშ მყოფი შენგელია იროდი – აგროტექნიკი – მუშაობს ხარაზათ არტელში – სახლში დატოვებული ყავს ორი ობოლი ბავშვი – არც დედა ყავთ. წუხს საწყალი, უფროსი ვერ მოწყობილა უმაღლესში და აგერ აგერ გაავარების გზას დაადგებაო, სწერს და, რომელიც მზრუნველობს ამ ბავშვებზე. მე გადავწყვიტე დავითს ლორთქიფანიძეს მივწერო წერილი მოეხმაროს ამ ბავშვს პედინსტიტუტში მოწყობაზე – თუ მთლად არ დავავიწყდი ეგებ შემისრულოს ეს თხოვნა, პირადად ჩემთვის არასოდეს არავისათვის არ მითხოვია და არც ვთხოვ, ასეთ გაჭირვებულ და დაცემული კაცისათვის კი ყოველთვის მივდივარ დათმობაზე და ვბედავ თხოვნას.

ამიტომ შენც გთხოვ, მოუწყო ხელი, ჩამოვლენ შენთან და აჩვენე ან ასწავლე დავითის მისამართი – ჩემს ბარათს გადასცემენ. შენც თუ მოიცლი, მაშინ მათთან ერთად უთხარ ორიოდ სიტყვა დავითს – ეს არის ჩემი თხოვნა.

სხვა ხომ ყველა კარგად ხართ, მოკითხვა ბებრებს, გოგიას ოჯახით, ოლას გოგოებით დიდებითა და პატარებით, და ყველა ნაცნობ მეგობრებს.

24/V/1955წ. ლ.ციხისთავი

[illegible]! [illegible]!

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნინა! ირაკლი!
რამოდენიმე დღის წინ გამოგიგზავნეთ წერილი ფოსტით, ახლა ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი აქ ჩამოყვანილი სამუშაოდ მოდის შვებულებაში, სწორედ მანდ, თქვენთან ახლოს ცხოვრობს.
ჩემი საქმე ჯერ ისევ უძრავათ არის, თვენახევარია თითქმის, რაც დავეძებ სამუშაოს ყველა დაწესებულებებს შემოუარე, ქალაქის ნაპირა სოვხოზებშიც ვიყავი, ყველგან ჭარბად ყავთ ხალხი – პირიქით ამცირებენ, შავ სამუშაოზე – ცხადია ყველგან შეიძლება მოწყობა. ჯერჯერობით ვჯიუტობ, ერთ ორ კვირას კიდევ დაუცდი – მერე კი მეტი გზა არ არის, შავ სამუშაოზე უნდა წავიდე. ქალაქიდან შორს წასვლის ნება არა მაქვს რომ მე თვითონ მოვნახო საქმე – შორეულ რაიონებში ცხოვრებაც უკეთესია და ადგილებიც ბევრია. თუ კი აქაურ მთავრობას მიმართე ისინი თვითონ სიამოვნებით გვაგზავნიან – მაგრამ "ცელინაზე", სადაც თვითონ სურთ – არც ესაა მთლად ცუდი მაგრამ დამოკიდებულია სად მოხვდება კაცი – შეიძლება ისეთ უდაბურსა და უვარგის ადგილას მოხვდეს რომ ხორცი იგლიჯოს. ჩვენნაირი ხალხი კი უდაოა, ოფიციალური ორგანოების მიერ ასეთ ადგილს გაიგზავნება.
თანაც შორს წასვლა არ მინდა ჯერჯერობით, რადგან ველი საჩივრის პასუხს – თქვენ რომ მწერდით. მოსკოვიდან როგორც უკვე გაცნობეთ, უარი მივიღე – ახლა თქვენზეა, თქვენ უნდა დააძალოთ. ერთი სიტყვით, ვაპირებ პირველიდან დროებით მაინც დავიწყო ერთ ერთ "შახტაში", ზევით მხოლოდ – ქვესკნელში ვერ ჩავალ და არც მიმიღებენ – მუშაობა. შემდეგ ვნახოთ რა იქნება.
უკიდურეს შემთხვევაში ვფიქრობ, როგორმე ინვალიდობის მოწმობა ვიშოვო ეგებ მაშინ თუ სახლში არ გამომიშვეს ყაზახსტანის სამხრეთ ოლქებში მაინც გამიშვან. სხვათა შორის, ვინახულე ვაწაძე – ინვალიდთა სახლშია, კარგათ არის ისიც საჩივრის პასუხს ელის და შემდეგ ფიქრობს იხლაფოთოს

[illegible] 15-2 [illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]

[illegible]

სამხრეთ ოლქებში გაშვებაზე. ასეთია ჩემი მარადჟამს არეული საქმე. ჩემნაირმა მეტად ბევრმა მოიყარა თავი ამ დასანგრევ ქალაქში, ჩვენს გარდა სხვადასხვა მიზეზებით გამოძევებულნი ცენტრალური ქალაქებიდან ჩვენზე მეტი მოაწყდა – შემცირებისა და სხვა მიზეზების გამო. ერთი სიტყვით, გეგმაა.

ასე იყავით კარგათ მოკითხვა ყველას. მე არაფერი მიჭირს ჯერჯერობით. შემაწუხა მეტად ირაკლის მიერ გამოგზავნილმა 300 მან. განა მას ამისი საშუალება აქვს ახლა, ანდა მე მჭირდება? მეტად მცირე მყოფნის და იმ მცირედან დაზოგვით, რომელიც მუშაობის ხუთი თვის მანძილზე დამიგროვდა კიდევ 1,5 – 2 თვეს გავძლებ უმუშევრად. ისე რომ ძალიან გთხოვთ, ნურაფერს მოიკლებთ, მეც მეყოფა გაჭირვება, თქვენ მაინც იყავით კარგათ.

26/V/1955 წ. ლ.ციხისთავი

[illegible]

[illegible]

ნინა! ირაკლი!
წინა წერილში გწერდით, რომ კიდევ უმუშევარი დავდივართქო. მეტად გაჭირდა რიგიანი სამუშაოს შოვნა, არ დამიტოვებია არც ერთი დაწესებულება. ახლა როგორც იქნა ვიშოვე სამუშაო, ცხადია არა ისეთი, როგორიც მინდოდა, მაგრამ მეტი გზა აღარ არის.
დღეს მოვეწყე ქვანახშირის ტრესტში – სადაც ლაგერი იყო, იმის ახლოს, პირდაპირ რომ იღებენ ნახშირს უმაღაროოთ. მიმიღეს ათისთავათ იმ პირობით, რომ ორი თვით ხვალიდანვე უნდა წავიდე მათ საშეფო კოლმეურნეობაში 200 კილ. მანძილზე. მაძლევენ 30 კაცს და სასილოსე ორმოები და ოთხიოდე ოთახი – თიხის აგურით – "სამანკა" უნდა ავუშენო მწყემსებს. ამ საქმეს მოუნდებით ორ თვეს ან თვენახევარს. დავბრუნდები და შახტაში – ზევით დავიწყებ მუშაობას ათისთავად. მეტს ვერაფერს გავხდი – ამ ბოლო ხანებში უამრავი ხალხი მოდის რუსეთიდან შემცირების გამო და ცხადია, მათ აძლევენ უპირატესობას ჩვენთან შედარებით. არ შველის არც ცოდნა, არც გამოცდილება.
ასე ხვალ 3/VI, საღამოს 5 საათზე გავემგზავრები. წერილს ჯერ ნუ მომწერ, მანამდე ჩემგან არ მიიღოთ, თუ შეიძლება ახალი მისამართით მომწერე – ამ ხანში კიდევაც დავბრუნდები. ისე არა მიჭირს რა, ჯანმრთელად ვარ.
ეგ არის, შვებულებაში ოქტომბრამდე ვერ მოვახერხებ – ძნელად უშვებენ, დაწესებულებიდან როგორც იქნება ტყულით თუ მართლით მოვახერხებ, საქმე კომენდატურაზეა – მპირდებიან იქიდანაც, პატარა ქონით მომიხერხონ. ამას ყველაფერს შევძლებ სექტემბერ ოქტომბერში. რას შვრებიან ჩემი საქმისას – გამოვა თუ არა.
ბევრს მოსდის აქ თავისუფლების ცნობა, მეტად უფრო უკრაინელებსა და რუსებს. ახალ სამუშაოზე ჯამაგირი 1100 მან. დამინიშნეს, მპირდებიან მომცენ დამატებით სამივლინებო – რამდენი, არ ვიცი. ერთი სიტყვით სექტემბრისათვის მექნება

[illegible]

[illegible] 55 წ.

საშვებულებო და საგზაო ფული. ასე სხვა რა მოგწეროთ, იყავით კარგად, მოკითხვა ყველას.

2/VI/1955 წ. ლ.ციხისთავი

[illegible]!

[illegible]
[illegible]
[illegible] 25 [illegible] 2-3 [illegible]
[illegible]
[illegible] 70-100 [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 10 [illegible] 15 [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

17 [illegible] 55 წ.

ნინა, ირაკლი!

ალბათ მიიღეთ ჩემი წერილი კარკარალინსკიდან, ივნისის პირველ რიცხვებში მოვეწყე სამუშაოზე შახტში – კარაგანდაში, იქიდან უცბათ მომცეს 25 მუშა და გამაგზავნეს კოლმეურნეობაში 2-3 თვით საქონლის სადგომებს ვაშენებ. აგერ მეორე თვეა ვაშენებ, კარაგანდის უდაბურ ველში ვართ შემწყვდეული 70-100 კილ. მანძილზე მოსახლეობა არ არის, აქა-იქ თითო-ოროლა იურტა არის ჩადგმული, ცხოვრობენ მწყემსი ყაზახები – ესენიც თითქმის თვეში ორჯერ იცვლიან ბინას, შეკრავენ იურტას და ახალ ადგილზე გადადიან. ჰაერი კარგია, რძე ბლომად არის ისე რომ ამ ორ სამ თვეს ცოტას დავისვენებ.

სხვა რა ისმის ჩემი საქმის, რა გადასწყვიტა პროკურორმა, როდემდის უნდა ვიყო აქ.

როგორ ცხოვრობთ, როგორ ეწყობა ირაკლი ახალ სამუშაოს. თუ ნება დამრთეს ოქტომბერში შვებულებას ავიღებ სამუშაოდან და ჩამოვალ, მეტად ძნელად იძლევა ნებართვას კომენდატურა და სამინისტრო, მაგრამ ეგებ მოვაწყოთ როგორმე. სამსახურიდან თუნდა ორ თვეს მომცემენ.

მოკითხვა ყველას.

17/VII/55 წ. ლ. ციხისთავი

ნანუ!

[illegible]

[illegible]

31/ VII 63 წ.

ნინა!

დღეს კარაგანდაში ვარ, ჩამოველ ორი დღით საქმეების მოსაგვარებლად, ხვალ ვბრუნდები და სავსებით ჩამოვალ კარაგანდაში 6-7 დღის შემდეგ. მივიღე ოლიას წერილი, რომელშიც მაცნობებს ჩემი საქმის შესახებ. დავბრუნდები თუ არა კარკარალიდან მაშინვე დავწერ განცხადებას. გავიგე აგრეთვე ირაკლის მივლინებაში ყოფნის ამბავი – შეუთვალე მოკითხვა, ყოჩაღათ იყოს, ოლიას დიდი მადლობა და მოკითხვა ყველას შვილებით და შვილიშვილებით, ნიკოს და სხვებს. მივიღე წერილი აგრეთვე მარო ჯავახიშვილისგან. მოკითხვა ყველას და ბოდიში, ვერ ვწერ, რადგან მეტად დატვირთული ვარ საქმეებით, სულ ორი დღეა ჩემს განკარგულებაში, ამ წერილსაც რადიონს ვუტოვებ – ის გამოგზავნის.

მე კარგათ ვარ – შვებულებას ვაპირებთ ოქტომბერში, თუ მივიღეთ ნებართვა, ჩამოვალ.

იყავით კარგად ლ.ციხისთავი

31/VIII/1955 წ.



ნინო! ძვირფასო!

[illegible]

ნინა! ირაკლი!
მოგიხშირეთ წერილების წერა – ამით იგრძნობა მხოლოდ ჩემი თავისუფლება ჯერჯერობით. მიიღეთ თუ არა წერილები არ ვიცი. ახლა გიგზავნით ჩემი განცხადების ასლს, რომელსაც დღეს ვაგზავნი ხრუშჩოვთან. მაქედან თქვენ იმოქმედეთ. წინათაც გწერდით, რომ მე მეკუთვნოდა გათავისუფლება საერთო წესით ე.ი. სახლში გამოშვებით – ეს როცა ლაგერიდან წამიყვანეს პერესილკაში გასანთავისუფლებლად. მაგრამ, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ხალხი დატოვოს კარაგანდაში, ამიტომ დიდი დავის შემდეგ დამტოვეს აქ. არაფერმა არ გაჭრა – ერთად ერთი იმედი მოსკოვზეა.
და თუ იმოქმედებთ, ეგებ საქართველოდანაც გაკეთდეს. გავიგე ალიოშა წერეთელი გამოუშვიათ სახლში როგორ და რა გზით არ ვიცი. ეგებ მოახერხოთ მჟავანაძესთან მისვლა – აქებენ, სერიოზული და კარგი კაციაო და თუ ორიოდე სიტყვას დახარჯავს ვინმე მიშა ან ზაქარია – უფრო ახლოს არიან – მაშინ სულ უკეთესი.
მე კიდევ გავაგზავნი განცხადებას მინისტრთან, უზენაეს საბჭოში ჯერ ამ ერთით დავკმაყოფილდები, დაუცდი თქვენს წერილს.
მე კარგათ ვარ, ვწუხვარ როგორ დაბრუნდა ირაკლი, ვთხოვე, დეპეშა გამოეგზავნა და არაფერი არ ჩანს.
დიდი წვალების შემდეგ – თითქმის 10-12 დღის შემდეგ – გათავისუფლებიდან, მოვეწყე სააღმშენებლო სამმართველოში 5. ეს იმყოფება სადაც ლაგერია, რომელშიც მე ვიყავი იმ უბანში. ჯერ ბრძანებით არ ვარ დამტკიცებული – ამ დღეებში იქნება – ხელფასს მპირდებიან 600-800 მან. ათისთავის თანამდებობაზე. ბინა საერთო საცხოვრებელში მომცეს – 4-5 კაცი ერთ ოთახში – თბილა. სისუფთავეა. ასეთია ჯერჯერობით ჩემი დანგრეული ცხოვრება.

Каз. Караганда 9.

СУ № 5

пос. Кирзавод № 2.

[illegible]

სხვა რა მოგწეროთ. მომწერეთ ყველა ახალი და რაც შეიძლება მალე საჰაერო ფოსტით.
ლ.ციხისთავი

მისამართი: Караганда 9, СУ №5 пос, Кирзавод №2.
Л.Цихистави[7]

[7] თარიღი არ არის მითითებული დაახლოებით 1954-55 წლებია. (რედ.)

1

ნინო, ძვირფასო!

[illegible] 1500 [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible] 9-ე [illegible]
[illegible] #1 [illegible]
[illegible] 4 [illegible]
[illegible]
[illegible] № 2 [illegible]

ნინო! [illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] 600-700 [illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]

ნინა, ირაკლი!
ერთი წერილი ორი სამი დღის წინ გამოვაგზავნე ალბათ მიიღეთ. გამათავისუფლეს, ჯერჯერობით არ მიშვებენ სახლში, მაგრამ იმედია, რომ გამომიშვებენ. საჭიროა საჩივარი, აქედან მე დავწერ და ასლს გამოგიგზავნით, შეიძლება აქედან დააკავონ, რადგან დაინტერესებულნი არიან რაც შეიძლება მეტი ხალხი დატოვონ.
გავთავისუფლდი 9-ში ამ თვის. დღეს მხოლოდ – მოვეწყე სამუშაოზე, ისიც ჯერ კიდევ გარკვეული არ არის რა სამუშაოს მომცემენ. მივიღე ადგილი საერთო საცხოვრებელში. თითო ოთახში 4 კაცი ცხოვრობს. არა უშავს რა – სისუფთავეა. სამუშაოსაც დღეს ხვალ გამომიცხადებენ.
ბინა იმ უბანშია სადაც ლაგერია – Кирзавод № 2.
ნინა, ბევრი ვეძებე გალოგრე-ხურცია. ვერც ერთი ვერ ვიპოვე. დღეს მივდივარ ეგებ მივაგნო.
როგორ იმგზავრა ირაკლიმ – ვწუხვარ. მაცნობეთ ახლა ყველაფერი მომწერეთ. რაც ირაკლი ვნახე, მერე გავახალგაზრდავდი. ძალიან კარგი შვილი გაგიზრდია და უნდა დაამთავროო, დროა დაცოლშვილდეს – ხელფასს რას უყურებს – ყველა მდიდარი არ არის ამ ქვეყნად – მაინც ცხოვრობენ.
თუ მელირსა გამოძრომა ამ უბედურებიდან, ეგებ უკეთ წავიდეს საქმე და იმდენად აღარ გაგიჭირდეთ ცხოვრება.
სამუშაოზე მოეწყო თუ არა თბილისში, რაც შეხვდეს, აუცილებლად მოეწყოს, თორემ გაგზავნიან საითმე. ჩემი ჯავრი ჯერჯერობით ნუ გექნებათ, როგორმე ვიარსებებ – ყველაფერი მომცეს ლოგინი – საზამთრო ტანსაცმელსაც მომცემენ. ხელფასი 600-700 მან. მექნება თუ ათისთავად მოვეწყე და მეყოფა.
მთავარია მეცადინეობა რომ გამომიშვან. ასე ჯერჯერობით იყავით კარგათ სულ ორ სამ დღეში მოგწერთ ყველაფერს დაწვრილებით და საჩივრის ასლსაც გამოგიგზავნით.


[illegible]

[illegible] Караганда 9
Строительное управление № 5
Л. И. Никитаев

ლ. ციხისთავი
მისამართი: Караганда 9б Строительное Управление №5. Л.И. Цихистави[8]

[8] თარიღი არ არის მითითებული დაახლოებით 1954-55 წლებია. (რედ.)

ნანა!

[illegible]

ნინა!

მივიღე შენი წერილი მეტად ნაღვლიანი და დარდიანი, ასე იფიქრებს კაცი, რომ ცა ჩამონგრევია თავზე და შენისთანა უბედური და ცხოვრებაში დაჩაგრული, შეურაცხყოფილი, დამცირებული აღარავინ დაიარება. არა ხარ მართალი, ასეთ სასოწარკვეთილებას, უიმედობას თავი არასოდეს არ უნდა მისცე. ყველაფერი ხდება ადამიანთა ცხოვრებაში, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ერთნი ფუფუნებენ ყველაფრით კმაყოფილნი, ბედნიერნი, მეორენი ცხოვრობენ მცირეოდენ დროგამოშვებითი ნაკლოვანებით, სხვანი ძლივს ღონღილობენ და ასე შემდეგ – მიუხედავათ ამისა, ყველანი ამა თუ იმ სახით კმაყოფილნი არიან ცხოვრებით და ეს კმაყოფილების გრძნობა იბადება იქიდან, რომ ყველა უკეთესისათვის იბრძვის – ბრძოლის პროცესი აღრმავებს კმაყოფილებას ან მისდამი მიღწევის იმედს რაც სასურველსა და სანეტარს ხდის ადამიანის სიცოცხლეს და მის ხანგრძლივობის სურვილს.

ცალკეულ ადამიანთა ან ოჯახის ცხოვრებაში ხშირად ადგილი აქვს მრავალგვარ ხარვეზს მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ან მისი ოჯახის წევრები სასოწარკვეთილებაში უნდა ჩავარდნენ და თავი მოიხარონ ყოველგვარ სიძნელის გაჭირვების წინაშე, პირიქით ასეთ შემთხვევაში საჭიროა ასკეცი სიმტკიცე ბრძოლა და მოძრაობა, რომ ოჯახში მომხდარი ხარვეზი დარჩენილთ შეავსონ წასულის – დაღუპილ დაკარგულის – დანაკლისის ადგილი დარჩენილებმა დაიჭირონ და განაგრძონ ნორმალური ცხოვრება, ოჯახის ნორმალური ტრადიცია გააღრმაონ და გაამდიდრონ ეს უკანასკნელი. საცოდავია ის ოჯახი და პიროვნება, ვისაც ზემოაღნიშნულის მომქმედი არ რჩება და სამუდამოთ იკეტება კარი იშლება საზოგადოების სიიდან და დავიწყებას ეძლევა. ბევრს რამეს კიდევ გიქადაგებდი, მაგრამ ვიცი, არ გიყვარს ეს გრძელი ამბები, გეტყვი მოკლედ. რა გჭირს ასე სატირალი, ჯერ

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ერთი ჟამთავითარებით მარტო შენ და შენი ოჯახი არ არის შეურაცხყოფილ დამცირებული, შენისთანა და ბევრად შენზე უბედურს მდგომარეობაში მყოფი მილიონებია, ბევრს მთლად გამოეკეტა კარი, შენ ვაჟკაცი გამოგეზარდა მგონი არა სასირცხვილო, არ ვიცი, ყველა ასე მწერს და მეც, მცირე ხნით ნახვამ დამარწმუნა ამის სიმართლეში, ამ საქმის მთავარი მიზეზი შენ ხარ და ვფიქრობდი რომ საამაყო და სასიხარულო იყო შენთვის. შენ კი სასოწარკვეთილებას მიგიცია თავი და დედაბერივით წუწუნებ და სტირი არაფერმა გამიმართლაო – რაღამ უნდა გაგიმართლოს, თუ მე გყევარ მხედველობაში არა ხარ მართალი. მართალია, ჩვენი – ჩემი და შენი – მოვალეობა იყო შემცვლელის გაჩენა და აღზრდა, ეს მოხდა, თუმცა აღზრდა მარტოს დაგატყდა თავზე – განა ეს ისეთი უჩვეულო იშვიათობა რამ არის რომ ასე აგატირა? ასეთი რამ ხშირად ხდება ადამიანთა ცხოვრებაში, ან ერთი და ან მეორე უდროოთ სტოვებს მისდა დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო ასპარეზს, მაგრამ ეს არ აძლევს უფლებას დამჩომს წუწუნისას, პირიქით სასახელო და გმირობაა, ერთმა მიიყვანოს ბოლომდე ორის მიერ დაწყებული საქმე. ეს მშვენივრად შეასრულე, საამაყო გაქვს, შენ კი სტირი, სადაური ამბავია?
ჩემს თავს ჯანდაბა. წერილში ყველაფერს ვერ დავსწერ, ნუთუ ირაკლის კმაყოფილი არ ხარ ხასიათით, ზნით, ვაჟკაცობით, ადამიანობით – მე მგონი კმაყოფილი ხარ, მაშ რაღა გატირებს? ჩემი საქმე გაურკვეველ რებუსათ ჩათვალეთ, თუ გველირსა შეხვედრა ამ რებუსს ადვილად გაარკვევთ, თუ არა და მაინც მომავალი იტყვის, შენ თუ არა ირაკლი და მისი შთამომავალი გაიგებს – იყავი მხნეთ, როგორც გჩვევია და სწიე ულელი მანამდე ძალა გაქვს, ნურასოდეს ნუ იწუწუნებ და ცხოვრების სიმახინჯეს ნუ დაემორჩილები, ყოველთვის ებრძოლე მას, თუნდაც ათასხელ ძლიერი და ხელმიუწვდომელი იყოს შენთვის. ამაშია ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების არსი. სხვაგვარად ადამიანის ცხოვრება პირუტყვის ცხოვრებას



დაემსგავსებოდა – ამგვარი ადამიანი-პირუტყვები მეტად მომრავლდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ გაყვეს ყველა. მათ ხაჭაპურს არჩიე ხმელი შავი პური.
ასე ჩემო ნინო, იმაგრე, როგორც აქამდე, იმხნევე, ირაკლი დააყენე ორთავ ფეხზე, ამოუგდე თავიდან ჩემი ლოდინი, გაამრავლე ოჯახი და სიმხიარულეც მოგემატება – ეგებ გაჩერებთ სიღარიბე – ქვეყნის 80% თქვენსებრ მდიდარია, მაგრამ ოჯახზე უარს არავინ ამბობს, ყველაფერი თანდათანობით გამოკეთდება, ყველას თავისი ტოლი და სწორი მოეძებნება – ასევე თქვენს სიღარიბესაც ღარიბი მეგობარი შეიძლება მოუნახოთ, მე მგონი სრულიად მართალს გწერთ და გირჩევთ და გთხოვთ, სამსჯელოდ ნუ გახდით ამ რჩევას, იმოქმედეთ უკამათოდ.
ტელეფონზე შენ ვერ მოხველი, მითხრეს მორიგეობსო, ოლიამ მითხრა ირაკლი მუშაობსო. თუ მოეწყო მკვიდრათ, ხომ კარგი, თუ არა და გადაწყვიტეთ რამე ან აქეთ ან იქით – წავიდეს რაიონში – სხვა რესპუბლიკაში, უკიდურეს შემთხვევაში აქეთ. ასე ნუ ივლის უსაქმოდ. ცოტა სიზარმაცეს უშვი ხელი და ერთხელ სრულად მომწერე ყველაფერი, ყველა დარდები. თუ სამაგიეროს მიხდი, რომ მე არაფერს ჩემს უსიამოვნებას და დარდს არ გაგებინებდი ხშირად – დაანებე ამას თავი, მე მხოლოდ გიფრთხილდებოდი – გულწრფელად გეუბნები – ეგებ ვცდებოდი მაგრამ მე ასე მწამდა. შენ კი არაფერი გაქვს გასაფრთხილებელი – მე შორს ვარ და უნდა შემიცოდო, რომ ისე არ მოვკვდე, რომ არ ვიცოდე ჩემი ოჯახის ავკარგი, ოჯახის, რომელიც ჩემთან 20 წლის განშორების მანძილზე ერთი წუთითაც არ წყვეტს კავშირს, მომწერე ყველაფერი.
მე კარგათ ვარ და ვფიქრობ, გაუძლო კიდევ და ადრე თუ გვიან მეღირსოს მოსვლა.
წინა წერილში გწერდით, რომ სამუშაოს თავი დავანებე რადგან მეტად ნერვიული და ძნელია ახლანდელ პირობებში მშენებლობის ხელმძღვანელად მუშაობა, უკეთესია თვითონ

იმუშაო ფიზიკურად, მეტ ჯანმრთელობას შეინარჩუნებ და მატერიალურადაც უკეთესია. მეტად დავიკელი ამ 3-4 თვეში და ყველამ მირჩია, მიმეტოვებინა ეს საქმე. ახლა ვაპირებ პირველ მაისამდე ცოტა დავისვენო. პირველიდან და დღესაც ბევრგან მპირდებიან იოლს და უკეთეს საქმეს. ვნახოთ, პირველიდან აუცილებლად დავიწყებ მუშაობას, რადგან უსაქმოდ ყოფნა მიძნელდება – მარტოობა და უსაქმობა უფრო ძნელია.
ასე იყავით კარგათ, გულს ნუ გაიტეხ მოკითხვა ყველას.

ლ.ციხისთავი[9]

[9] სავარაუდოდ აპრილი, 1955 წელი (რედ.)



ნინა!

რამოდენიმე დღის წინ მოგწერე წერილი, მინდოდა ავიოფოშტით, არ მოხერხდა. ამ წერილს ავიოთი ვაგზავნი. შეიძლება ამ თვეში გამანთავისუფლონ უკაზით, მაგრამ ჩემს ბედზე ახალი ბრძანებაა, სახლში არ უშვებენ. ვერ გავიგეთ ეს საყოველთაო ბრძანებაა თუ ადგილობრივი ღონისძიება – ფაქტია, რომ უკანასკნელ დღეებში განთავისუფლებულებს სახლში წასვლის ნება არ მისცეს.

ერთი სიტყვით, ჩემი რიგი განთავისუფლებისა ამ თვეში უნდა იყოს თუ არაფერმა შეუშალა ხელი. განთავისუფლებულებს უმრავლესობას სტოვებენ კარაგანდის ოლქში, ვისაც გადასახლებული ყავს მშობლები, ნებას აძლევენ, წავიდნენ ოჯახთან.

არ ვიცი როგორ გადავწყვიტო, დავრჩე დროებით კარაგანდაში თუ მოვითხოვო სხვაგან (იძლევიან ალტაის მხარეს, ციმბირის ზოგიერთ ოლქს და მგონი შუა აზიას).

ჯერ ვიბრძოლებ, რომ გამიშვან სახლში, თუ არაფერი გამოვიდა, მაშინ ეგებ ყაზახსტანის რომელიმე სამხრეთ ოლქში წავიდე. აქ კარაგანდაში მეტად ცუდი ჰავაა და არ მინდა, თუმცა სამუშაოს მხრივ აქ უკეთესია, ვიდრე სხვაგან. თუ მოახერხებ, მომწერე ავიოფოსტით, მხოლოდ არა პასუხი ამ წერილზე, არამედ საერთოდ, რჩევა სად აჯობებს.

მოკითხვა ყველას. ლ.ციხისთავი

წინა წერილშიაც გწერდი, ამანათი აგვისტოში მივიღე, მერე არ მიმიღია.

ლ.ციხისთავი[10]

[10] თარიღი მითითებული არ არის, სავარაუდოდ 1954 წელი (რედ.)

ჩემო ძმაო!

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] - [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] 357 კმ. მანძილი [illegible]
[illegible] 25 წუთი და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], [illegible]
[illegible] 70 კმ. მანძილი [illegible] – [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] და [illegible], [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] – [illegible] [illegible]
[illegible] 50–60 კმ. მანძილი. [illegible] [illegible], [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] – [illegible] 15-ზე [illegible].
[illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] და [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
და [illegible] [illegible]! – [illegible] [illegible] [illegible]
«Военный [illegible] радио» [illegible] [illegible]
[illegible] [illegible], [illegible] [illegible]!
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 25 [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] – [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible]
და [illegible] [illegible]!

ნინა, ირაკლი!
როგორც უკანასკნელ წერილში გწერდით, სამუშაოზე მოვეწყე – მაგრამ პირველ საქტემბრამდე კარაგანდიდან 350 კილ. მანძილზე ვიქნები. მომცეს 25 კაცი და საშეფო კოლმეურნეობას საქონლის საზამთრო ბინებს ვუშენებ. ვიმყოფები კარკარალინსკის რაიონში, რაიონის ცენტრიდან 70 კილ. მანძილზე კოლმეურნეობა – ჯამბულის სახელით. მეჯოგეებია, სოფელი არა აქვთ და სახლ-კარი, ცხოვრობენ იურტებში, თექიდან არის გაკეთებული – ორ ორ სამ სამი კომლი 50-60 კილ. მანძილზე. ვაშენებთ გამალებით, რომ ეგებ ადრე მოვათაოთ და წავიდეთ კარაგანდაში. იმედია, აგვისტოს პირველ რიცხვებში მოვრჩებით – დიდი 15-მდე დავრჩეთ. ცხადია აქეთ არ წავიდოდი, მაგრამ თვენახევარი ვიარე და ვერსად რიგიანი სამუშაო ვერ ვიშოვე, ახლა ეს დაწესებულება შემპირდა და შტატშიც ჩამრიცხეს – ამ დაწესებულებას ქვია “Восточный вскрышной разрез», ქვანახშირს იღებენ პირდაპირ ზევიდან, მაღაროები არ არის.
აქ მეტად წყნარად ვარ, ჩვენი 25 კაცის მეტი არავინ არის უდაბურ ველში – კვირაში ერთხელ მოვა კოლმეურნეობის წარმომადგენელი – სურსათს მოგვიტანს, მასალას და ეგ არის. თქვენ რას შვრებით, როგორ ხართ. რა ისმის ჩემი საქმისა. თუ მანდ არაფერი გამოდის კიდევ მიმართეთ მოსკოვს თქვენი სახელით. მოკითხვა ყველას,

ლ.ციხისთავი[11]
ჩემი მისამართი პირველ სექტემბრამდე:

Казахская ССР
Карагандинская Область
КарКаралинский район
Колхоз им. Джамбула
Цихистави Л.И.
(Стр-во скотобаз)

[11] თარიღი მითითებული არ არის, სავარაუდოდ ზაფხულია, 1955 წელი (რედ.)



ნინა!
განცხადება გუშინ გამოგიგზავნე. ეს წერილი შიგ უნდა ჩამედო და ამ საღამოს ვნახე, დამვიწყებია. განცხადების მიღება უეჭველად მაცნობე.
მართლა გწერდი, ეგებ კანტორაში არ გამაჩერონ მეთქი და მართლაც არ დამამტკიცეს, ბევრსა ვცდილობ, როგორმე შევირჩინო ეს მუშაობა და ვნახოთ, ამ დღეებში გადაწყდება, უკიდურეს შემთხვევაში აქავე – კოლაში მაინც დავრჩები რომელიმე ბრიგადაში საერთო სამუშაოზე.
მალე მოგწერ დაწვრილებით, შენ იცი, როგორ მარჯვეთ მოიქცევი ამ განცხადებებით. მომწერე ხოლმე დაწვრილებით, რას გეუბნებიან, უკეთესია ვიცოდე. უფრო მშვიდათ ვიქნები.

ლ.ციხისთავი[12]

[12] თარიღი მითითებული არ არის (რედ.)





ნინა!

მწერ, შეიძლება აქ გაეწყოს რამე ჩემი ამ მდგომარეობიდან განთავისუფლების შესახებ – აქ მემგონი არაფერი გაეწყობა რადგან საქმე მოსკოვშია – ახლახანს მომივიდა პასუხი – от прокурора по надзору – რომ ჩემი საჩივარი გადაეცა МВД-ს СССР-ის და იქიდან მაცნობებენ პასუხს – ველი რა იქნება. საერთოდ კი უნდა გაცნობოთ, რომ იმედი მაქვს ნება დამრთან, თუ საერთო მდგომარეობის გართულებამ არ შეუშალა ხელი. თუ გაწყრა ღმერთი მაშინ ვნახოთ როგორ გადაწყვეტ საქმეს – შეიძლება თქვენმა აქეთ წამოსვლამ აჯობოს, ერთი სიტყვით ვნახოთ. მე ჯერ კარგათ ვარ, გაუძლებ კიდევ ბევრს გაჭირვებას, უფრო უკეთ ვიყავ ირაკლიმ რომ მნახა – ახლა ცოტა მოვიკელ, სამაგიეროთ ჯანზედ უკეთ ვარ – მინდა თამბაქოსაც თავი დავანებო, ღვინოს სრულიად არ ვეკარები – ჯანმრთელობა კარგი მაქვს – ცოტა თვალს მაკლდება ძალიან +2,5 უკვე სუსტია სათვალეები, საჭიროა +3.

ასე ხშირად მომწერეთ თორემ მეტად მოწყენილი ვარ – უფრო მეტად ვიდრე აქამდე. თქვენ ეს უცნაურად გეჩვენებათ და ვერც წარმოიდგენ, მაგრამ ეს ფაქტია. კიდევ მოკითხვა ყველას, ნუთუ ლეილას არაფერი ეშველა, ლაპარაკი მაინც ვერ ისწავლა.

იყავით კარგათ, ლ.ციხისთავი[13]

[13] თარიღი მითითებული არ არის (რედ.)

Заявление

Пятого ноября 1954 г. освободился в Песчаном лагере п/я № 12 гор. Караганда.

Вопреки ожиданию Управление лагеря не разрешило ехать на родину и оставило в гор. Караганда как ссыльного поселенца под гласным надзором спецкомендатуры.

Считая незаконными действия Управления лагеря по отношению ко мне, обращаюсь к Вам с просьбой проверить мое дело и дать соответствующее указание органам МВД Карагандинской области по отношению моей дальнейшей судьбы.

Срок наказания отбывал с 1937 г. Арестован был в июле 1937 г. и, после восьмимесячного содержания во внутренней тюрьме и учинения [illegible] допросов два раза, был осужден Тройкой НКВД Грузии к 10 годам заключения в ИТЛ по ст. «АСА».

Отбывая срок наказания в Усольлаге – Соликамский район, в 1942 г. был осужден Особым совещанием НКВД СССР сроком на 10 лет, с поражением в правах, по ст. 58-10 часть II – срок наказания отбывал там же – в Усольлаге.

Работая на лесу, всегда в первых рядах, выполняя честно трудовые обязательства, начальство лагеря неоднократно премировало и в 1948 г. [illegible] при раздаче хлеба, в 1949 г. по настоянию начальника [illegible], вопреки моему отказу, с лесных работ был переведен хлеборезом. С работой не смог справиться и по настойчивой просьбе через 16 дней был освобожден с переводом на свою работу в лесу. При сдаче не хватило одиннадцать кг. хлеба, за что осужден [illegible] по указу сроком на 8 лет с поражением правах.

Ни по первой, ни по второй и ни по третьей судимости не был приговорен к лишению прав [illegible] и к ссылке.

1950 г. из Усольлага был переведен в гор. Караганду в Песчанлаг где работал до освобождения – 5.XI-54 г.

В Песчанлаге, вплоть до освобождения, работал на [illegible] № 12

Заявление[14]

Пятого ноября 1954г. освободился с Песчаного лагеря л/о №12 гор.Караганда. Вопреки ожиданию Управление лагеря не разрешило ехать на родину а оставили в гор. Караганде как ссыльного поселенца под гласным надзором спецкомендатуры. Считая незаконным действие Управления лагеря по отношении ко мне, обращаюсь к Вам с просьбой проверить мое дело и дать соответствующее указание органам МВД Карагандинской области по отношению к моей дальнейшей судьбе.

Срок наказания отбывал с 1937г. Арестован был в июле 1937г. и после восьмимесячного содержания во внутренней тюрьме и учинения кратких допросов два раза, был осуждён Тройкой НКВД Грузии к 10 годам заключения в ИТЛ по ст. «АСА».

Отбывая срок наказания в Усольлага-Соликамский район, – 1942г. был осужден Особым совещанием НКВД СССР сроком на 10 лет, с погашением предыдущего, по ст.58-10 Часть II – срок наказания отбывал там же – в Усольлаге.

Работал я неплохо – всегда в первых рядах, выполняя честно трудовые обязательства, начальство лагеря относилось ко мне с уважением и в связи с большими хищениями со стороны з/к при раздаче хлеба, в конце 1947 г. по настоянию начальника и/о, вопреки моего отказа, с лесных работ был переведен хлеборезом. С работой не смог справиться и по настоятельной просьбе через 16 дней был освобожден с переводом на свою работу – в лес. При сдаче не хватило ОДИННАДЦАТЬ кг. хлеба за что осудили меня по указу сроком на 7 лет с погашением предыдущего.

НИ ПО ПЕРВОЙ, НИ ПО ВТОРОЙ И НИ ПО ТРЕТЬЕЙ СУДИМОСТИ НЕ БЫЛ ПРИГОВОРЕН К ЛИШЕНИЮ ПРАВА ГОЛОСА И К ССЫЛКЕ.

В 1950 г. из Усольлага был переведен в гор. Караганду в Пещанлан, где работал до освобождения – 5/XI/1954 г.

---

[14] გამოგზავნილია ლუკას მიერ გადასახლებიდან სავარაუდოდ 1955 წ. წერილთან ერთად. (რედ.)

и всегда, без исключения, был в первых рядах рабочих.

Отсидев [illegible] лет в лагерях, проработав честно, не имея, почти, ни одного прогула и отказа от работы, не имея за собой никакого правонарушения, – с неистощимой надеждой когда-нибудь вернуться к своей семье. [illegible] срока, совершенно неожиданно, получил новое [illegible] – не чувствуя за собой никакого правонарушения, кроме хорошей работы и честного отношения [illegible], – получил новое наказание ссылку. Новое наказание без суда и без Особого совещания – потому что в приговорах Тройки и Особого совещания не был приговорен ни к ссылке ни лишению прав человека.

Обращаюсь к Вам, прошу пересмотреть мое дело и дать мне возможность вернуться к семье проживающей в Грузии в гор. Тбилиси, дать мне возможность остаток своей жизни провести на родине с семьей и по мере возможности работать по специальности, дать мне возможность, остаток своей жизни, с непоколебимой верой в великое дело строительства коммунистического общества, провести в честном труде [illegible] и славу родины в [illegible] в мире социалистической родины.

P.S. Родился 1901 г. в Грузии. Окончил Тбилисский университет 1924 г. С 1924 г. вплоть до ареста работал по линии народного образования, с [illegible]-37 гг. в Тбилисском госуд. университете и в Кутаисском педагогическом институте; в качестве доцента [illegible] работы и зав. кафедрой истории Грузии. 192[illegible] г. был принят в кандидаты КП и в 1930 г. членом КП, в связи с арестом был исключен из партии.

[illegible]

Караганда 9.
[illegible]
Стройуправление № 5.

[illegible]

В Пещанлане, вплоть до освобождения, работал на л/о №12, и всегда, без исключения, был в первых рядах рабочих.
Отсидев семнадцать с половиной лет в лагерях, проработав честно, не имея почти ни одного прогула и отказа от работы, не имея за собой тяжкого преступления, – с нетерпением ждал конца срока, чтобы вернуться к своей семье. Дождавшись конца срока, совершенно неожиданно, получилось обратное – не чувствую за собой никакого преступления, кроме хорошей работы и честного соблюдения дисциплины с моей стороны – получил новое наказание – ссылку. Новое наказание без суда и без Особого совещания – потому, что в приговорах Тройки и Особого совещания не был приговорен ни к ссылке, ни лишению прав голоса.
Обращаясь к Вам, прошу пересмотреть мое дело и дать мне возможность вернуться к семье проживающей в Грузии в гор. Тбилиси, дать мне возможность оставшиеся годы жизни провести на родине с семьей и по мере возможности работать по специальности.

P.S. Родился в 1901 г. в Грузии. Кончил Тбилисский гос. университет в 1924г. с 1924 г. вплоть до ареста работал по линии народного образования. С 1930-37 гг. в Тбилисском гос. университете и в Кутаисском педагогическом институте – в качестве декана исторического фак-та и зав. кафедрой истории Грузии.

Л.Цихистави
Караганда 9.
Трест Кировшахтерская
СтройУправление №5
Л.И.Цихистави[15]

---

[15] იხილეთ დანართი #2 – შემორჩენილი ფოტოები, რომელნიც სპეციალურად გადაიღეს ლუკასთვის პატიმრობასა და გადასახლებაში გასაგზავნად (რედ.)

# არქივის მასალები[16]

[16] მადლობელი ვართ ყველა იმ ადამიანის, ვინც ამ საარქივო დოკუმენტების მოძიებაში დაგვეხმარა. მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ ზაზა ქორიძეს, საარქივო სამსახურის განყოფილების უფროსს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამსახური, 2005 წ). ჩვენს შემთხვევაში ბ-ნი ზ. ქორიძე სპეციალურად დაუკავშირდა ყაზახეთის რესპუბლიკის ნაციონალური უშიშროების კომიტეტს მასალების მისაღებად, რადგან საქართველოში საარქივო მასალების დიდი ნაწილი 1991 წ. ხანძრის შედეგად განადგურდა. (რედ).



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საარქივო სამსახური

ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა №72

№ 8/10/9-850

„6" „ოქტომბერი" 2005 წ.

ცნ. №1

ც ნ ო ბ ა

## საქართველოს სსრ

## შინსახკომის სამეულის
## (‘ტროიკა’-ს)
## 1937 წ. 24 ნოემბრის დედგენილებები

ლუკა ციხისთავი დააპატიმრეს
1937 წ. 13 ივლისს

-

‘ტროიკამ’ დადგენილება გამოიტანა
1937 წ. 14 დეკემბერს



ПРОТОКОЛ №

Сов. Секретно

Заседания тройки при Народном Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 29 XI 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Прокурор по спецделам

Секретарь

| Слушали: | Постановили: |
| --- | --- |
| Дело Гру.Гор.НКВД ГССР ...по обвинению ЦИХИСТАВИ ...а Исидоровича 1901 г. ...дения, ур. с. ... Тохлиаури ...на, б/член ВКП/б/ с ... г. исключенного из партии ...37 г.. Обвиняется в том, что Цих... с 1917 г. по ... г. являлся акт. членом ...организации м/м, в 1924 г. ...р. работу фин. Груз.ГПУ ...арестован и по болезни ...оредила после 7 месячного ...за из под охраны был освобожден. 10/VI 37 г. будучи ...на ул. г. Кутаиси ...им голосом ...ывал вождя и его руководителей. Будучи ... враждебно относился к ... предприят. ...заключенных ...ую ... агитацию ... по ... и ... | ЦИХИСТАВИ Лука Исидорович<br>Гиммаатель<br>Ч. С. ... 13/XI-37 |

Докладчик ... ДЕГРОВ

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ТРОЙКИ НКВД ГССР

ЧЛЕНЫ: 1.

2.

СЕКРЕТАРЬ ТРОЙКИ НКВД ГССР

СОВ. СЕКРЕТНО

ПРОТОКОЛ № 66

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР от 24 / XI / 1937 г. [17]

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Прокурор по спецделам

Секретарь

| Слушали: | Постановили: |
|---|---|
| -<br>Дело Кут. Горо НКВД ГССР 20680 по обвинению Цихистави Луки Иссидоровича 1901 г. рождения, ур. с. Пшави, Телавского района, б/члена КП/б/ с 1930 года, исключенного из партии 2/VII-1937 года, обвиняется в том, что Цихистави Л.И. с 1917 года по 1924 год является активным членом к/революционной организации м/м в 1924 году за к/р работу бывш. Грузю ГПУ, был арестован и по подаче декларации, после семи месячного ареста из под стражи был освобожден. 18/V - 1937 года будучи пьяным по ул. г. Кутаиси громким голосом похабными словами и уличною бранью ругал всю Красную Армию и ее руководителей. Будучи подвергнут аресту в камерах предв. заключения среди заключенных кр.троцкистов, вел гнустнуюкр. агитацию, заражал недовольство по отношению партии и правительства.<br><br>Докладчик т. Демуров | -<br>Цихистави Лука Иссидоровича<br><br>в ИТЛ на 10 лет, считая срок с 13/VII-1937 года. |

Подписи:

Председатель тройки НКВД ГССР

члены: 1.

2.

Секретарь тройки НКВД ГССР

[17] Орфография сохранена (ред.)

6

Выписка из протокола № [illegible]

[illegible] тройки при НКВД Грузинской ССР [illegible] декабря 19[illegible] года.

Слушали:

[illegible]

Постановили:

[illegible] года.

[illegible]

Верно: [illegible]

3

[illegible]

Выписка из протокола № [illegible]

Особого Совещания при Народном Комиссаре Внутренних Дел СССР от 9 декабря 194[illegible] года

| Слушали: | Постановили: |
| --- | --- |
| [illegible] | [illegible] |

Выписка из протокола[18] №66

Заседания тройки при НКВД Грузинской ССР 14 декабря 1937 года.

**С л у ш а л и:**

Дело Кут. Горо НКВД ГССР 20680 по обвинению Цихистави Луки Иосифовича 1901 г. рождения, ур. с. Пшави, Телавского района, б/члена КП/б/ с 1930 года, исключенного из партии 2/VII-1937 года, обвиняется в том, что Цихистави Л.И. с 1917 года по 1924 год является активным членом к/революционной организации м/м в 1924 году за к/р работу бывш. Грузю ГПУ, был арестован и по подаче декларации, после семи месячного ареста из под стражи был освобожден. 18/V - 1937 года будучи пьяным по ул. г. Кутаиси громким голосом похабными словами и уличною бранью ругал всю Красную Армию и ее руководителей.

**П о с т а н о в и л и:**

Цихистави Луку Иосифовича заключить в ИТЛ на 10 лет, считая срок с 13/VII-1937 года.

Будучи подвергнут аресту в камерах предв. заключения среди заключенных кр.троцкистов, вел гнустнуюкр. агитацию, заражал недовольство по отношению партии и правительства.

Верно:

Выписка из протокола №99-м

Особого Совещания при Народном Комиссаре Внутренних Дел СССР от 9 декабря 1942 года

| **С л у ш а л и:** | **П о с т а н о в и л и:** |
|---|---|
| 33. Дело № 1314/УНКВД Молотовской области / Оперотдел Усольлаге НКВД / по обв. Цихистави Луки Иосифовича, 1901 года рожд. урож. Цалавского р-на, Грузинской ССР, грузин, гр. СССР – профессор искории. | Цихистави Луку Иосифовича за участие в антисоветской группе заключить в исправительно-трудовой лагерь сроком на ДЕСЯТЬ лет, считая срок с 2 апреля 1942 года с поглощением неотбытого срока наказания по решению Тройки НКВД Груз. ССР от 1937 г. |

[18] Орфография сохранена (ред.)

Спецкомендатура МВД №  Анкета





АНКЕТА

| | |
|---|---|
| 12 [illegible] | — |
| 13 [illegible] | — |
| 14 Служба в Советской Армии, [illegible] | Не [illegible] |
| 15 [illegible] | Не был |
| 16 Проживал ли на временно оккупированной противником территории (когда, где, чем занимался или что служил) | Не проживал |
| 17 Был ли за границей (в какой период времени и чем занимался) | Не был |
| 18 [illegible] | [illegible] |
| 19 [illegible] | [illegible] 1930-35 г. |
| 20 В каких районах, областях, [illegible] республиках [illegible] | |
| 21 [illegible] | |

[illegible] [signature] [signature]

[illegible]

[illegible]

4

Дело № 150 копия

# П Р И Г О В О Р

ИМЕНЕМ СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

14 мая 1948 года Специальный Лагерный суд при лагере "АР" МВД СССР в составе: пред. Пятанова, нарзасед. Карпуховой и пименовой, при секретаре Осиповой.

В открытом судебном заседании в помещении УРЧ Кайрского ОЛПа рассмотрел дело по обвинению

ЦИКИТОВА Луки Иосифовича, 1904 года рождения, уроженца ГССР, Телавского р-на, из крестьян, по национальности грузин, с низшим образованием, судимого в 1937 году, по решению тройки по ст. КРА сроком на 10 лет, в 1942 году осужден по ст. 58-10 ч. I УК к лишению свободы сроком на 10 лет, и пр. пр. по ст. 128 п. В УК и по ст. 1 Указа Президиума Верховного Совета СССР от 4/VI-1947 г. об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества.

Как предварительным следствием, так и на судебном следств. установлено, что подсудимый ЦИКИТОВ отбывая наказание в Кайрском ОЛПе, с 1 по 27 ноября 1947 г. работал хлеборезом л/п Лагерном обнаружилась недостача хлеба 11,75 кг. и при проверке весов в складе, в которой находились гири было прикреплено подкладкой весом 40 грамм, которым был отпущен двум бригадам хлеб с недостачей 11,520 кг.

Факт недостачи хлеба и обвешивания потребителей подтверждается материалами дела, показаниями свидетелей, да и сам подсудимый отчасти не отрицает, а по этому суд полагает, что состав преступления у ЦИКИТОВА как по ст. 128 так и по ст. 1 указа Президиума Верховного Совета СССР от 4 июня 1947 г. "об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества" доказанным.

На основании вышеизложенного и руководствуясь 319-320 ст. ст. УПК

# П Р И Г О В О Р И Л

Подсудимого ЦИКИТОВА Луку Иосифовича подвергнуть по ст. 128 п. В УК РСФСР к лишению свободы сроком на ПЯТЬ /5/ лет и по ст. 1 Указа Президиума Верховного Совета СССР от 14 июня 1947 г. "Об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества" подвергнуть заключению в исправительно-трудовых лагерей сроком на СЕМЬ / 7/ лет без конфискации

Дело №150

копия

## П Р И Г О В О Р[20]

ИМЕНЕМ СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

14 мая 1948 года специальный лагерный суд при лагере «АМ» МВД СССР в составе: пред. Патапова, нарзасед. Карнауховой и Плисунова, при секретаре Осиповой.

В открытом судебном заседании в помещении УРЧ Каюринского ОЛПа рассмотрел дело по обвинению

ЦИХИСТОВА Луки Иосифовича, 1901 года рождения, уроженца ГССР, Телавсеого р-на, из кресьян, по национальности грузин, с высшим образованием, судимого в 1937 году, по решению тройки, по ст. КРА сроком на 10 лет, в 1942 году осужден по ст. 58-10 ч.1 УК к лешению свободы сроком на 10 лет, в пр.пр. по ст. 128 и В УК и по ст. 1 УКАЗА ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР от 4/VI 1947 г. об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества.

Как предворительным следствием, так и на судебном следст. установлено: подс. ЦИХИСТОВ отбывая наказание в Кокоринском СЛПо, с 1 –го по 27-е ноября 1947 года работал хлеборезом л/п нагорном обнаружилась недостача хлеба 11,75 кг. и при проверке весов в складе, в которой находились гири было прикреплено подпилок весом 40 грамм, которым был отпущен двум бригадам хлеб с недостачей 11,520 кг.

Факт недостачи хлеба и обвешивания потрнбителей подтверждается материалами дела, показаниями свидетелей, да и сам подсудимый отчасти не отрицает, а по этому суд находит, что состав преступления у ЦИХИСТОВА как по ст. 128 так и по ст. 1 указа Президиума Верховного Совета СССР от 4-го июня 1947 года «об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества» доказанным.

На основании вышеизложенного и руководствуясь 319-320 ст.ст. УПК

---

[20] Орфография сохранена (ред.)

имущества заложенным такового. А по совокупности по обоим преступлениям применить меру наказания заключение ИТЛ сроком на семь /7/ лет.

Неотбытый срок наказания по прежним приговорам на осн. ст. 49 УК поглотить данным приговором.

Начало срока отбывания наказания считать с момента вынесения настоящего приговора.

Меру пресечения осужденному на время кас. порядка избрать содержание в лагере.

Приговор может быть обжалован в кас. порядке в Верхсуд СССР в 72 час. срок.

П Р И Г О В О Р И Л

Подсудимого ЦИХИСТОВА Луку Иосифовича подвергнуть по ст. 128 п. В УК РСФСР к лишению свободы сроком на ПЯТЬ /5/ лет и по ст. 1 Указа Президиума Верховного Совета СССР от 4-го июня 1947 года «об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества» подвергнуть заключению в исправительно-трудовых лагерей сроком на СЕМЬ /7/ лет без конфискации имущества за неимением такового. А по совокупности по обоим преступлениям определить меру наказания заключение ИТЛ сроком на СЕМЬ /7/ лет.

Неотбытый срок наказания по прежним приговорам на основании ст. 49 УК поглатить данным приговором.

Начало срока отбывания считать с момента вынесения настоящего приговора.

Меру пресечения осужденному за время кас. периода избрать содержание в лагере.

Приговор может быть обжалован в кас. порядке а Верхсуде СССР в 72 часа. срок.



КОПИЯ.

ВЕРХОВНЫЙ СУД ГРУЗИНСКОЙ ССР

Адрес: Тбилиси, ул. Атарбекова, № 32 Телефон № 3-01-64

СПРАВКА 20 "декабря 1955 г.
№ 338

Верховным Судом Грузинской ССР 17 декабря 1955 года пересмотрено дело по обвинению ЦХЕКЕТАНИ ЛУКИ ИОСИФОВИЧА.
Постановление Тройки НКВД Грузинской ССР от 14-го декабря 1937 года в отношении ЦХЕКЕТАНИ Луки Иосифовича отменено, дело о нем производством прекращено и ЦХЕКЕТАНИ Лука Иосифович реабилитирован.

ЗАМ.ПРЕДВЕРХСУДА ГРУЗ.ССР- подпись /П.НАДИРАШВИЛИ /

М.П.

Верно

[illegible]



СПРАВКА

Гражданин [illegible]

1901 года рождения, уроженец(ка) [illegible]

осужденный(ая)

[illegible] 19[illegible] года по ст. [illegible] УК РСФСР

освобожден(а) от дальнейшего отбывания наказания [illegible] 1956 года на основании приказа Генерального Прокурора СССР, МВД СССР и КГБ при СМ СССР от 19 марта 1956 года.

Начальник Отдела УМВД

(печать)



# ლუკა ციხისთავის ბიოგრაფია

საბჭოურ პერიოდში საქართველოს განათლების სისტემაში ბევრი დიდბუნებოვანი, ნიჭიერი, სამართლიანი და ჭეშმარიტად ინტელიგენტი ადამიანი მუშაობდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება დოცენტი ლუკა ციხისთავი. იგი XX ს-ის 30-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ამ პერიოდს დაემთხვა ცვლილებები ახლად გასაბჭოებული საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში. ახალგაზრდა სპეციალისტმა კარგად აუღო ალღო მიმდინარე გარდაქმნებს. ალბათ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ იგი აღმოჩნდა ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სახელმძღვანელოების შექმნის სათავეებთან. სახელმძღვანელოების შექმნა და სრულყოფა იქცა ამის შემდგომ მისი ცხოვრების ძირითად მიზნად.

ლუკა ციხისთავი დაიბადა თელავის მაზრის სოფელ ფშაველში 1901 წლის 1 დეკემბერს იოსებ ციხისთავის ოჯახში. იოსები გერმანელი მაგნატის – ფონ ჰეიკენის საკუთრებაში არსებულ ტყეებს პატრონობდა თელავის მაზრაში. გერმანელი მესაკუთრე აფასებდა მის ერთგულებასა და პროფესიონალიზმს და სოლიდურ ჯამაგირს უხდიდა. იოსებს გამართული ოჯახი ჰქონდა და სერიოზულად ზრუნავდა შვილების აღზრდა-განათლებაზე.

მშობლებმა ლუკა 1912 წელს თელავის სასულიერო სემინარიაში მიაბარეს. მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ლუკა და მისი დაძმა, გრიგოლ და ოლღა ციხისთავები, საშუალო განათლების მიღების შემდგომ გაეგზავნათ გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად. საამისოდ თანხაც ჰქონდათ შეგროვილი და შენახული სათავადაზნაურო ბანკში. თანაც, მათი ახლობელი ადამიანი – ფონ ჰეიკენიც ამასვე ურჩევდა ოჯახს და თითქმის ყველაფერი მზად იყო, რომ არა ჯერ 1917 წელს თავს დატეხილი რევოლუციები რუსეთის იმპერიაში, შემდგომ კი საქართველოს გასაბჭოება. ამ გარემოებებმა ყველა გეგმა საბოლოოდ ჩაშალა.

1918 წელს ლუკამ დაამთავრა სემინარია, 1920 წელს კი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 1924 წელს[21]. მისი თანაკურსელები იყვნენ შემდგომში ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, ი. ცინცაძე, გ. გოზალიშვილი, ვ. კოტეტიშვილი და სხვა.

[21] იხილეთ დანართი 3

ლუკას ჭაბუკობა დაემთხვა დიდ კატაკლიზმებსა და რევოლუციებს. ეს იყო დრო ფასეულობათა გადაფასებისა, რომელმაც ჯერ მძლავრად შეარყია რუსეთის იმპერია, ხოლო საბოლოოდ კი დაანგრია იგი. ამ დროს რუსეთი თავით ფეხებამდე სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში იყო ჩაფლული. ომში, რომელმაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სწორედ ამ დროს, 1918 წლის 26 მაისს, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და აღდგა თითქმის 100 წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა. იგი ნელ-ნელა იკრებდა ძალებს და დგებოდა ფეხზე.

ლუკას სტუდენტობის პირველი წლები საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს დაემთხვა. ალბათ, ამანაც განაპირობა მისი მუდმივი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ და თავისუფლების სიყვარული. ეს უკვე მაშინ გამჟღავნდა, როდესაც ქვეყანა აღმოჩნდა დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროების წინაშე. 1921 წლის თებერვლის დასაწყისში, პირველსავე მოწოდებაზე, ეხსნათ სამშობლო, ლ. ციხისთავი მეგობრებთან ერთად სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ისინი უთანასწორო ბრძოლაში გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ წითელ ურდოებს კოჯრის მისადგომებთან, მაგრამ მოგეხსენებათ, ძალა აღმართს ხნავს.

1921 წლის 25 თებერვალს დასრულდა თავისუფლების ხანა. საქართველომ იმ გაუცნობიერებელ “წითელ სამყაროში” შეაბიჯა, რომელშიც ცოტა ხნით ადრე შევიდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა ხალხები. დადგა დრო დოგმატური, ხისტი აზროვნებისა. მთელი ძალით შეეჯახა ერთმანეთს ორი მსოფლმხედველობა, ორი კონცეფცია, აქამდე უფრო აღიარებული – ევოლუციური და რევოლუციური – ანუ თავსმოხვეული, ძალადობრივი. ბოლშევიკური მთავრობა მოსახლეობაში მეთოდურად ნერგავდა მეორეს. ამ ჭიდილმა მოიტანა დაპირისპირება, რეპრესიები და სისხლი ხალხში, რომელმაც უკვე იგემა თავისუფლება. ქართული ინტელიგენცია არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. რეპრესიებისა და დევნის მიუხედავად მან მაინც მოახერხა კონტაქტის დამყარება პარიზში ემიგრირებულ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობასთან და დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისთვის მზადება. 1924 წლის აგვისტოს ბოლოს დაწყებული აჯანყება კომუნისტებმა სისხლში ჩაახრჩვეს. მისი შედეგი საყოველთაოდაა ცნობილი. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი დახვრიტეს, სხვები კი ციხეში ჩაყარეს ან გადაასახლეს.

პირველწყაროების არქონის გამო ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ მონაწილეობდა ლ. ციხისთავი ამ აჯანყებაში, მაგრამ ფაქტია, რომ იგი დააპატიმრა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით და იგი პატიმრობაში იყო 7 თვე. დაპატიმრებული იყო თბილისში, სასჯელი მოიხადა მეტეხის ციხეში (1924 წ.)[22].

1925-1928 წლებში ლ. ციხისთავი მუშაობდა ჯერ მუხრანის, ხოლო შემდგომ ქვემოჭალის საგლეხო-ახალგაზრდულ სკოლებში ჯერ პედაგოგად, ხოლო მოგვიანებით – დირექტორად. 1928 წელს იგი თბილისში გადმოიყვანეს და პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. აქვე ასწავლიდა იგი ისტორიას. ასეთია მისი სკოლაში მოღვაწეობის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

1931 წელს ლ. ციხისთავი დააწინაურეს. იგი განათლების სამინისტროში გადაიყვანეს ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ კადრების სამმართველოს უფროსად, ბოლოს კი სამეცნიერო სამმართველოს უფროსად[23]. იმავდროულად იგი შეთავსებით მუშაობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დირექტორად (1931-1932 წ.წ.). ლუკა ციხისთავი იყო სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრი[24].

როგორც ჩანს, თავისი ცოდნისა და ერუდიციის ხარჯზე სწრაფად განვლო მან იერარქიული კიბე რიგითი პედაგოგიდან მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე. ყოველივე ზემოთქმული, ნიჭის გარდა, აშკარად მეტყველებს მის შრომისმოყვარეობაზე, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობასა და უსაზღვრო ენერგიაზე.

1933-1937 წლებში ლ. ციხისთავი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, 1934 წლიდან[25] კი ისტორიის ფაკულტეტის დეკანად[26]. იმავდროულად იგი იყო ჟურნალ “ელხი”-ს დირექტორის მოადგილე და ისტორიის სექციის გამგე.

---

[22] იხილეთ დანართი #4 – ლუკას მიერ მეტეხის ციხეში (1924 წ.) გამოთლილი საწერი კალმის ტარი, ფოტო. კალამი ინახება ოჯახში.

[23] ასეა მითითებული ლ.ციხისთავის პირად საქმეში.

[24] მონაცემები შეგროვილია ლუკა ციხისთავის პირადი არქივიდან.

[25] იხილეთ დანართი #5

[26] იხილეთ დანართი #6

1936 წელს ქუთაისში დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი (მოგვიანებით იგი ა. წერეთლის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა). მის ფეხზე დასაყენებლად ახალგაზრდა ნიჭიერი კადრი იყო საჭირო. ამიტომ ლ. ცისხისთავი სხვებთან ერთად ქუთაისში წავიდა სამუშაოდ. თავდაპირველად იგი დაინიშნა ისტორიის კათედრის გამგედ, მოგვიანებით კი – ისტორიის ფაკულტეტის დეკანად.

ერთი თვალის გადავლებით, ლ. ცისხისთავის ცხოვრების პირველი პერიოდი იმ ბედისნებიერა ჩინოვნიკის ცხოვრებას ჰგავს, რომელიც სწრაფად დაწინაურდა სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. ამაში ვრწმუნდებით მაშინ, როცა გადავხედავთ ლ. ცისხისთავის იმ შრომათა ნუსხას, რომელიც აღნიშნულ პერიოდს ეკუთვნის. ასე რომ XX ს-ის 30-იან წლებში, სამეცნიერო წრეებში, უკვე იცნობდნენ მას.

ლ. ცისხისთავის ცხოვრებაში მკაფიოდ იკვეთება ორი პერიოდი. პირობითად მას შეიძლება ვუწოდოთ ასე – გადასახლებამდე და გადასახლების შემდგომი.

ბედი, რომელიც წილად არგუნა განგებამ XX ს-ის 20-30-იანი წლების ქართული (და არა მარტო ქართული) ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს, მართლაც რომ დრამატულია. კომუნისტები ნაღებივით ხდიდნენ საზოგადოებას, მის საუკეთესო და აქტიურ ნაწილს, ალბათ, მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ტვინს. ასე ხომ საზოგადოება მომავალში უფრო მორჩილი და მართვადი გახდებოდა. ასეთ საზოგადოებაში კი ადვილი იყო ყოველგვარი ექსპერიმენტის გატარების მცდელობა. თავისუფალი და კომპეტენტური აზრის გარეშე, დემაგოგიური, მაგრამ ომახიანი მოწოდებებით შეგულიანებული საზოგადოება ხომ სიმღერითა და მარშით გაემართებოდა წინ "დიადი მიზნისკენ" – კომუნიზმისკენ და ზედმეტი კითხვაც აღარ გაუჩნდებოდა (გაუჩნდებოდა და.....).

ამ მეტად მძიმე პერიოდს ქართველი ერის ისტორიაში იმიტომ შევეხეთ, რომ ლ. ცისხისთავი, სხვა მრავალ გამოჩენილ მოღვაწესთან ერთად, მოხვდა ამ საშინელ მორევში. ამ წლებმა კარდინალურად შეცვალა მისი ცხოვრება.

1937 წლის 13 ივლისს ლ. ცისხისთავი ქუთაისში დააპატიმრეს. დეკემბერში იგი თბილისში გადაიყვანეს, გაასამართლეს, მიუსაჯეს 10 წელი და გადაასახლეს ურალზე – სოლიკამსკში.

დაიწყო გადასახლების მძიმე დღეები. იქ მას მონაწილეობა მიუღია ბანაკის ადმინისტრაციის წინააღმდეგ მოწყობილ საპროტესტო გამოსვლებში. ამის გამო 1942 წ. იგი კვლავ გაუსამართლებიათ, დაუმატებიათ კიდევ 10 წელი და 1 წელი კარცერში უმყოფებიათ. მოგვიანებით, 1948 წ. ხელახლა გაასამართლა ტროიკამ და მიუსაჯა 7 წელი თავისუფლების აღკვეთა.

პოლიტიკურ პატიმართა უმეტესობის მსგავსად, ლუკაც ძირითადად ხე-ტყის ჭრაზე მუშაობდა, ბოლო წლებში კი ბანაკის აგრონომად გადაუყვანიათ. საბოლოოდ იგი ყარაგანდაში მოხვდა ჩასახლებაში. მას სიცოცხლის ბოლომდე იქ ყოფნა ჰქონდა მისჯილი. საყოველთაო რეაბილიტაციის გამოცხადებისას იგი იქ მუშაობდა მშენებლობაზე. 1956 წლის მიწურულს ჯოჯოხეთგამოვლილი დაუბრუნდა იგი სამშობლოსა და ოჯახს.

დაბრუნების შემდგომ, ამდენი ჭირგამოვლილი ლ. ციხისთავი, ჩვეული ენერგიით შეუდგა მოღვაწეობას. 1957-1958 წლებში იგი მუშაობდა[27] ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ, 1958-1960 წლებში კი პედაგოგიკის ინსტიტუტში ისტორიის სწავლების მეთოდიკის განყოფილების გამგედ. 1961-1976 წლებში, გარდაცვალებამდე, იგი მუშაობდა ა. ს. პუშკინის სახელობის ქ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სსრკ. ისტორიის კათედრის დოცენტად. სხვადასხვა პერიოდში იგი იყო საღამოს სწავლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტის დეკანი. ამ მშრალი სტატისტიკიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ დაუღალავად შრომობდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ლ.ციხისთავი ამ ქვეყნიდან 73 წლის ასაკში წავიდა.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ლ. ციხისთავმა სამეცნიერო მოღვაწეობა ჩვეული გულისხმიერებითა და მუყაითობით განაგრძო. იგი წერდა და აქვეყნებდა წიგნებს, სახელმძღვანელოებს, სტატიებს. როდესაც ეცნობი ლ. ციხისთავის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გარდა, ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი არსებითი დეტალი. ვფიქრობთ, რომ ამის გარეშე არ იქნებოდა სრულად წარმოდგენილი მისი პორტრეტი. იგი საკმაოდ კარგი მეცნიერი და მოაზროვნე იყო. ეს კარგად ჩანს დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ მეცნიერული ალღოს გარდა მისი ნაშრომებიდან გამოსჭვივის დიდი სითამამე. ვფიქრობთ,

[27] იხ. დანართი #7

არ შევცდებით, თუ ვუწოდებთ მას სიმამაცეს (რა თქმა უნდა, იმ დროისთვის). მართლაც სიმამაცე იყო, როდესაც დიდ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც კომუნისტების მიერ, მსუბუქად რომ ვთქვათ, 'იგნორირებული' იყო, ლ. ციხისთავმა მიუძღვნა დიდი მონოგრაფია. მისი ოჯახის წევრების აზრით, სწორედ ეს ფაქტი იქცა მიზეზად ყველა იმ უბედურებისა და უსიამოვნებისა, რომელიც თავს დაატყდათ მათ. ვფიქრობთ, რომ ეს აზრი მართლაც ყველაზე მართებულია. სამწუხაროდ, დასახელებული ნაშრომი მისი დაპატიმრების შემდეგ გაქრა. მის არქივში გვხვდება მხოლოდ ეპიზოდური ფრაგმენტები ამ მონოგრაფიიდან.

საბჭოთა ხელისუფლებამ რეაბილიტირებული ლუკა ციხისთავის სამეცნიერო-პედაგოგიურ დარგში ღვაწლის აღსანიშნავად არაერთხელ დააჯილდოვა ის და მიანიჭა სხვადასხვა საპატიო წოდება და სახელმწიფო ჯილდოები.

ლუკა ციხისთავი იყო დიდი პატრიოტი. იგი აღმერთებდა სამშობლოს, მშობლიურ უნივერსიტეტს, უყვარდა და პატივს მიაგებდა სტუდენტებს. უშუალობითა და გულისხმიერებით გამორჩეული, უზიარებდა მათ ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მისი საინტერესო შრომები ისტორიის სწავლების მეთოდიკაში საქართველოს ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში კიდევ დიდხანს არ დაკარგავს მნიშვნელობას და სასარგებლო იქნება მომავალი თაობებისთვის.

**ლუკა ციხისთავის ბიოგრაფიის დეტალები მოძიებულია ისტორიკოსების – ნანა ციხისთავისა და გიორგი კიკნაძის მიერ (ლუკას შვილიშვილი და მისი მეუღლე) არქივის მასალებსა და ლუკა ციხისთავის პირად არქივზე დაყრდნობით სპეციალურად წინამდებარე წიგნისთვის 2005 წ.**

**დანართი #1**
ლუკა ციხისთავის პორტრეტი, დახატული ასევე რეპრესირებული მხატვრის მიერ 1948 წ. სექტემბერში.



**დანართი #2**
ლუკა ციხისთავის სიმამრი და სიდედრი – ნიკო გუჩმაზაშვილი და სოფიო ოთიაშვილი.



**დანართი #3**
სპეციალურად გადაიღებული ფოტოები ლუკასთან პატიმრობაში, გადასახლებაში გასაგზავნად



ლუკას ოჯახი, 1940 წ. ირაკლი (მეორე რიგში), ლეილა (შუაში), ლიზა - ლუკას დედა (მარჯვნივ) და ნინა - მეუღლე (მარცხნივ).



ლუკას დედა – ლიზა ჩაღათაშვილი, 1939 წ.

**დანართი #3**
ლუკა ციხისთავის დიპლომი, სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1924 წ.



**დანართი #4**

ლუკას მიერ მეტეხის ციხეში (1924 წ.) გამოთლილი საწერი კალმის ტარი, ფოტო. კალამი ინახება ოჯახში.



კალმის ტარის ზომა: 15,5 სმ. სიგრძე; 3,5 სმ. სიგანე

მასალა - ძვალი

კალმის ტარზე წარწერები:

1 მხარე - **“Segui il tuo corso, e lascia dir le genti”. Dante**

(თარგმანი - “შენს გზას მისდიე და ხალხმა რაც უნდა ისა სთქვას”. დანტე ალეგიერი

2 მხარე **– 1924; მეტეხი, ლ.ც.**

(ლუკა ციხისთავის ინიციალები)

**დანართი #5**

ლუკა ციხისთავის დოცენტის დიპლომი, საქართველოს სსრ ნარკომპროსის საკვალიფიკაციო კომისია, 1933 წ.



Решением

(протокол N )

УТВЕРЖДЕН В УЧЕНОМ ЗВАНИИ ДОЦЕНТА

ПО КАФЕДРЕ

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии

**დანართი #6**

ლუკა ციხისთავის დოცენტის მოწმობა, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1936 წ.




**დანართი #7**

ლუკა ციხისთავის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი 1959 წ.



**დანართი #8**
ახლადშეუღლებულები – ლუკა და ნინა ციხისთავები, 1927 წ.



## ამბავი წერილებს მიღმა[28]



ნინა ციხისთავი, 1927 წ.

***ბებიაჩემი*** ნინა ციხისთავისგან ხშირად მომისმენია ლუკა პაპას ამბები. მოუყოლია სხვადასხვა – როგორ სრულიად მარტო იყო დარჩენილი და ზურგშექცეული, სანამ ლუკა ციხეში იჯდა, როგორ მუშაობდა ხუთი სამსახურში ქირურგ-გინეკოლოგად, სტენოგრაფისტად, ბიო-ქიმიურ ლაბორატორიაში, თან სახლშიც მიჰქონდა შეკვეთები ღამე სამუშაოდ – განავლისა და შარდის ანალიზი და სხვა, რომ როგორმე ოჯახი გამოეკვება და პატიმარი ქმრისთვის ეპატრონა – მისი თქმით ყოველი ამანათის გაგზავნა მეუღლისათვის მაშინდელ მშიერ დროს დიდი საქმე იყო. იმავდროულად, არაჩვეულებრივი ხელსაქმე იცოდა ბებიამ – ჭრა-კერვა, ქსოვა, ქარგვა – ან კი როდის ასწრებდა ამდენს.

განსაკუთრებით დამახსომდა ბებიას მონაყოლი მატარებლით მგზავრობის ამბავი – როდესაც ორჯერ წავიდა **ლუკას სანახავად ციმბირში** (მეორე მსოფლიო ომის მიწურულს). მიყვებოდა, სპეციალურად როგორ ჩაეწერა მოხალისე ექიმად ტყვეებისა და ჯარისკაცების ეშელონის გამყოლად, ოღონდ ლუკასკენ მოხვედრილიყო ტერიტორიულად და რამდენი ტანჯვა გამოიარა, სანამ შინ დაბრუნდა. და ვერცერთხელ ვერ მოახერხა თავისი მეუღლის - ლუკას მონახულება. მიყვებოდა, რომ მატარებელი სავსე ყოფილა ბაღლინჯოებით და დილას რომ იღვიძებდა ტანისამოსი (ტანსაცმლით ვიძინებდიო), ხელები და სახე სულ სისხლით ჰქონდა ხოლმე მოსვრილი - ძილში უნებლიეთ გაჭყლეტილი ბაღლინჯოების სისხლით.

მეორე ამბავი, რომელიც ბებიამ მიამბო, იყო **სტალინ-ბერიას რეჟიმის მეთოდი ადამიანების წამებისა.** სტალინის რეჟიმის დროს რეპრესირებულებს (ოჯახებს) განსაკუთრებით სასტიკად ეპყრობოდნენ. ციხესა და გადასახლებაში წამების ერთ-ერთი ფორმა იყო წერილების ჩამორთმევა, ამანათიდან მათი ამოღება, დამალვა

[28] რედაქტორის განმარტება.

– რომ რეპრესირებულებს – პატიმრებს, გადასახლებულებს თავი სრულიად მიტოვებულად ეგრძნოთ, ამით მეტი ტანჯვა განეცადათ და არც კი ეფიქრათ, რომ ვინმე ჰყავთ მხარდამჭერი. ასე იყო ლუკასა და ნინას შემთხვევაშიც – ნინა, რა თქმა უნდა, წერდა თავის პატიმარ მეუღლეს წერილებს, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ლუკამდე ვერ აღწევდა და მხოლოდ ამანათები კი მიეწოდებოდა ნორმით დადგენილი რაოდენობით – თუმცა ამაზე და კიდევ მრავალ სხვაზე ლუკა უკვე გადასახლებიდან დაბრუნებული, განაწამები, განახევრებული და დატანჯული – მხოლოდ 20 წლის შემდეგ გაიგებს. ამით აიხსნება ის, რომ ლუკა თავის წერილებში ხშირად საყვედურობს თავის ოჯახს – რატომ არ მწერთ წერილებსო...



**ლუკა ციხისთავი, 1935 წ.**

**ლეილას ამბავი** - 1937 წლის ზაფხულში ნინა ბაკურიანში იყო ბავშვებთან ერთად. 13 ივლისი იყო, როდესაც შეატყობინეს, რომ ლუკა ქუთაისში დაიჭირესო. ნინამ 5 წლის ლეილა და 9 წლის ირაკლი სახლის მეპატრონეს დაუტოვა და სასწრაფოდ გაემგზავრა ქუთაისში. ნინამ ქუთაისში ვერც ქმარი ნახა და ვერც ის გაიგო, თუ რა მიზეზით დაუჭირეს მეუღლე. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ნინა ბავშვებთან დაბრუნდა ბაკურიანში, ცუდი ამბავი დაახვედრა სახლის მეპატრონემ: ლეილა მძიმე მდგომარეობაში გადაეყვანათ საავადმყოფოში დიაგნოზით – ვირუსული მენინგიტი. საავადმყოფოში ძლივს მიუსწრო ლეილას მაშინ, როცა ის უგონო მდგომარეობაში გადაჰყავდათ მორგში. ნინამ გადადებული ბავშვი გამოიხსნა საავადმყოფოდან (თავისი ექიმობა აქ დაეხმარა) პირადი პასუხისმგებლობით და ცოცხალ-მკვდარი ლეილა თბილისში წაიყვანა. იმ დღიდან ლეილა 5 წლის ბავშვის გონებრივი განვითარებით დარჩა და კიდევ 32 წელი იცოცხლა ავადმყოფობასა და წვალებაში.

ლუკა კი ქალიშვილის დაავადების ამბავს უკვე ციხეში გაიგებს, თუმცა, მხოლოდ 20 წლის შემდეგ, მასთან შეხვედრისას, ნახავს იმ მძიმე რეალობას, რომელთან პირისპირ აღმოჩნდნენ ნინა და პატარა ირაკლი, ლუკას დაპატიმრების დღიდანვე.

## დანართი #9

## ლუკა ცისხითავის გარემოცვა პოლიტპატიმრობაში

## Окружение Луки Цихистави во время политзаключения[29]

«Дорогая Нина, Лука Иосифович близкий мой знакомый, мы были вместе в политическом заключении на 12 отделении Песчаного лагеря КГБ под Карагандой с 1949 по 1954, затем я был этапирован на вечную ссылку в Кокчетавскую область. Мы состояли в одном кругу друзей, его очень близким другом был Павел Гольдштейн, скончавшийся в Израиле в 80-х годах. По многу часов мы проводили вместе время, и слышали много рассказов от Луки Иосифовича, он был намного старше нас всех. С ним был его друг Чечия, интеллигентный человек из Тбилиси, он был в его бригаде. Лука был бигадиром бетонщиков на строительстве завода Горно-шахтного оборудования, а я бригадиром каменщиков. После освобождения Павел имел письма от Луки, а после кончины Луки мне написал его сын, и я ответил ему письмом. В настоящее время я проживаю в Германии, так как этнический немец.

Дорогая Нина! Я его хорошо знал. Мы много с ним беседовали. После освобождения в 50-х годах, в Москву приезжал Ваш отец, его сын Ираклий, и встречался с нами, мы делилсь воспоминаниями об его отце. Сын мне в Лениград написал письмо, кроме того в Москве он встречался с нашей подругой Агдой Шор[30]. Цихистави пользовался большим авторитетом среди заключенных, был знатоком истории Грузии. До сих пор хорошо помню его большие

---

[29] Из личной переписки с Леонидом Боде (псевдоним Евгений Сомов), 2010 г. Леонид Леонидович Боде опубликовал книгу «Обыкновенная история в необыкновенной стране» (2001), где рассказывает о своей жизни в политзаключении. В книге он вспоминает всех своих друзей и знакомых в ссылке. Среди них отмечает Луку Цихистави. Экземпляр книги, присланный по почте Леонидом Боде, хранится в семье Цихистави. (Ред).

[30] Агда Шор – известный художник (была в близком кругу Иосифа Бродского), приезжала в Тбилиси навестить своего друга Луку Цихистави в 1969 г. На память о ее пребывании в нашей семье остались два портрета написанные Агдой Шор внучек Луки Цихистави – Наны и Нино Цихистави. Портреты хранятсяч в семье Цихистави. (Ред).

выразительные глаза.

Если Вас интересует моя книга о Песчлаге, политическом лагере особого режима под Карагандой, то я мог бы Вам её выслать. В лагере я был совсем юношей, нас осудили целую группу за создание молодежной подпольной антисоветской организации. В этой книге история этого дела и жизнь в лагере. По профессии я врач, в Институте экспериментальной медицины в Ленинграде я был завотделом фармакологии, однако КГБ продолжало меня преследовать, так как я продолжил борьбу и был связан с диссидентскими кругами в Москве. Мой друг, с которым я сидел в лагере, и дружил до его отъезада в Израиль в 1974 году, был Павел Юрьевич Гольдштейн, возможно вы слышали это имя от дедушки и даже от папы. Агда умерла с Москве в 90-х годах, до последнего со мной вела переписку. Возможно что там еще живет её сестра Геда.

О Вашем деде мог бы много рассказать и написать, так как у нас в лагере образовался круг знакомых по духу людей, и мы собирались для обсуждений очень часто. Из грузин помимо Вашего деда, помню Чёчиа, Месхишвили.

Желаю Вам успехов.

Ваш Л.Л. (Leo Bode)»

*Посвящается светлой памяти*
*отца – Ираклия Цихиставы,*
*деда Луки и бабушки Нины*

**На память о жизни**
**и политзаключении**
**Луки Иосифовича Цихиставы (1901-1976)**

**59 писем**
**из 20-летнего**
**политзаключения**

*«В любом случае я раб,*
*но никогда и ни при каках*
*обстоятельствах не преклоню*
*колена перед рабовладельцами».*

*Лука Цихистави*

# Письма семье

## (1937-1957)

Под редакцией
**Нины Цихистави-Хуцишвили**

Книгу составили внучки Луки Иосифовича Цихистави:
**Нана Цихистави**
**Нина Цихистави-Хуцишвили**
**Тамара Цихистави**

Издатель
**Георгий Хуцишвили**

НА ОБЛОЖКЕ:
Письмо Луки Цихистави из ссылки – Караганда, 1953 г.
Фотография молодоженов – Лука и Нина Цихистави, 1927 г.

ISBN: 978-9941-0-2697-3

© Нина Цихистави-Хуцишвили, 2011

